# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 27 აპრილი 2000 №78 (1100) | ფასი 50 თეთრი


საერთაშორისო ამხანაგური მატჩი

## სომხეთი 0:0 საქართველო

26 აპრილი. 18 საათი. ერევანი. რაზდანი. 22 ათასი მაყურებელი

# მშვიდობას გაუმარჯოს?

## უგოლო ფრემ სამივე მწვრთნელი დააკმაყოფილა


კობა ინასარიძე

ერევნიდან




მატჩი ახალდამთავრებული გახლდათ, ნაცნობი კოლეგა, ერევნის „არარატის“ პრეს-ატაშე რომ შემხვდა. ისე მომესალმა, ვიფიქრე, მის თავს რაღაც ცუდი ამბავია-მეთქი. ამაზე მეტი საფიქრალ-სადარდებელი არ მოგცეთ ღმერთმა, რაც თურმე ამ სომეხს ჰქონია. გუშინ მოსკოვიდან დამირეკეს და საგაზეთოდ ამ მატჩის რეპორტაჟის გადაცემა მთხოვეს. უსიტყვოდ დავთანხმდი, მეგონია საწერი ბლომად მექნებოდა. ახლა კი რაღა ვქნა, არ ვიცი, რა დავწერო? ამასაც თუ ფეხბურთი ჰქვია, მაშინ... შენ რა გიჭირს, ბოლო-ბოლო, თქვენმა ახალგაზრდებმა მაინც მოიგეს, ამას დაწერ, ძველ 7:0-ს გაიხსენებ და რაღაც გამოგივა — აი, ასე შემომჩივლა კოლეგამ და საპრესკონფერენციო ოთახისკენ იმ იმედით გამიძღვა, იქნებ მწვრთნელებმა მაინც თქვან რამე საინტერესოო.

მე კი ახლა მართლაც არაფერი მიჭირს. ჩემთვის, წყანარად მივჯდომივარ საწერ მაგიდას და... იმ კოლეგისა კარგად მესმის. ახლა ალბათ ისიც ჩემს დღეშია, ფიქრობს და ვფიქრობ, რა დავწეროთ ისეთი სომხეთ — საქართველოს მატჩზე, მკითხველი რომ დავაინტერესოთ...

თამაშმა ერევანში მართლაც საკმაო ინტერესი გამოიწვია. ქომაგებს „რაზდანის“ ცენტრალური ტრიბუნის ქვედა იარუსი პირთამდე შეევსოთ, ზედა იარუსი ავარიულ მდგომარეობაში ყოფილა და ხალხს იქ დასხდომის უფლება არ მისცეს. სანახევროდ სავსე იყო საპირისპირო ტრიბუნაც, სხვა სექტორების სკამები კი აქაურებს აყრილი აქვთ. ერთი სიტყვით, სტადიონზე, როგორც ადმინისტრაციაში გვითხრეს, დაახლოებით 22 ათასი ქომაგი იყო. და რა ნახეს? ერთობ უინტერესო თამაში, იმედგაცრუებულები დარჩნენ.

ძველი, მეტოქეების საერთაშორისო მატჩი გახლდათ და სამი წლისწინანდელი სირცხვილისთვის ღირსეულ რევანშს ელოდნენ სომხეთის ნაკრების ქომაგები, სტადიონს კი ნირწამხდრები სტოვებდნენ. ბილეთში გადახდილი ათას ხუთასი თუ ორი ათასი დრამის ფასი „რაზდანზე“ ვერაფერი ნახეს.

ძალიან სუსტი ნაკრები ჰყოლიათ სომხებს. რევანში კი არა, ქართველებს გუშინ თავისი უძლიერესი შემადგენლობით რომ ეთამაშათ, ვინძლო 1997 წლის 30 მარტი განმეორებულიყო. პრესკონფერენციაზე დავით ყიფიანს ერთმა აქაურმა ჟურნალისტმა ჰკითხა, საქართველოს ნაკრებში ყველა ლეგიონერის თამაშით რაიმე თუ შეიცვლებოდაო. ჩვენი ეროვნული გუნდის მწვრთნელთაგანმა ჩაიცინა, ალბათ მოერიდა და მხოლოდ ეს უპასუხა, უფრო ლამაზი, საინტერესო მატჩი იქნებოდაო. მერე ძოძუაშვილს შეხედა, მხარი გაჰკრა, ქართველ ჟურნალისტებს კი თვალი ჩაგვიკრა. ჩვენც თავი დავუკარით... რა მოხდა მერე, ხომ შეიძლება, ათასში ერთხელ ქართველებიც ისევე მოვიქცეთ, როგორც თბილისში ჩამოსული საქართველოს ნაკრებზე გაცილებით ძლიერი გუნდების მწვრთნელები და თანმხლებნი მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე.

შეხვედრა ფრედ კი დამთავრდა, მაგრამ აშკარა იყო, ფაქტობრივად ექსპერიმენტული შემადგენლობით მოთამაშე საქართველოს ნაკრები მასპინძლებისას ყველა საფეხბურთო კომპონენტში სჯობდა.

ამის დასტური? თუნდაც ის, რომ სომხები მთელი მატჩის განმავლობაში ჩვენებურთა კარს სახიფათოდ მხოლოდ ერთხელ დაემუქრნენ. მაშინაც, გრიშიკაშვილისგან ხუთი-ექვსი მეტრით დაშორებული ხოჯოიანის დარტყმული ბურთი აუტში გადაგორდა. აი, სულ ესაა, რაც მასპინძლებმა ჰქნეს. სხვა შემთხვევებში, როცა სომხები შეტევისმაგვარს წამოიწყებდნენ, ქართველი მცველები ყოჩაღობდნენ.


იხილეთ მეორე გვერდი




გუშინ ერევანში: სომხეთი — საქართველო 0:0.
გივი დიდავა (№16) და კარენ ასატრიანი

# დღე, როცა ყველა ამხანაგია



იტალია — პორტუგალია 2:0. მასპინძლები ფიორე (№7), კონტე (№8), ძამბროტა და კანავარო (№5) ფილიპო ინძაგის (№9) პირველი გოლის გატანას ულოცავენ

*მაშინ, როცა საქართველოს ნაკრები ერევანში სომხეთს მართლა ამხანაგურად, უგოლოდ დასცილდა, ჩვენმა მომავალმა მეტოქე იტალიამ რეჯო დი კალაბრიაში პორტუგალიას ორი უპასუხო გოლი გაუტანა, ყოფილი თანაჯგუფელი სლოვენია კი "სენ დენიზე" საფრანგეთს ბოლო წუთამდე გაუძალიანდა. ის კი არა, მეცხრე წუთზე უკვე 2:0 იგებდა, მაგრამ ბოლოს მაინც 3:2 მასპინძლებისა იყო. მოულოდნელი მარცხი შეიმთხვია ანდორაში ბელარუსმა, მთლად ჯუჯა სახელმწიფოთა „ჯახი“ კი ლიხტენშტაინს ნასტუმრებმა ფარერებმა მოიგეს.*


იხილეთ მეთექვსმეტე გვერდი

# მშვიდობას გაუმარჯოს?

საერთაშორისო ამხანაგური მატჩი

## სომხეთი 0:0 საქართველო

26 აპრილი. 18 საათი. ერევანი. რაზდანი. 22 ათასი მაყურებელი

დასაწყისი პირველ გვერდზე

მართალია, თამაშის დასაწყისში შეუთამაშებლობის გამო ერთი-ორჯერ შეცდნენ, მაგრამ მერე და მერე ყველაფერი გამოასწორეს. განსაკუთრებით დებიუტანტ თოდუაზე ღირს ორი სიტყვის თქმა. მეტოქეს ერთობ ხისტად, უჯარიმოდ მეურვეობდა, კორპუსს კარგად ჩაუდგამდა ხოლმე, უშიშრად თამაშობდა, საჭიროების შემთხვევაში შეტევაშიც ერთვებოდა და თანაფლანგელსაც მნიშვნელოვნად უიოლებდა საქმეს. თუ ასე გააგრძელა, არა მგონია, ნაკრების მწვრთნელთაგან შემდგომ უყურადღებოდ დარჩეს. დებიუტანტის ერთი-ორი შეცდომა სათქმელად არც ღირს.

საიმედოდ თამაშობდა ლევან სილაგაძეც, რომელმაც არამ აკოფიანს ღირებული არაფერი გააკეთებინა და ვარუჟან სუკიასიანს მეორე ტაიმის შუისკენ შეაცვლევინა კიდეც. ზურაბ ხიზანიშვილს კი, თავიდან საყრდენად რომ გამწესებულიყო და მერე თამაში მიქაძის ადგილას რომ გააგრძელა, სომხებმა კოჭებში იმდენი ურტყეს, ვიდრე არ დააშავეს. ზურაბის ფლანგზე გადასვლის შემდეგ და მის შეცვლამდე ჩვენებურთ მარჯვნივ პრობლემა აღარ ჰქონიათ. უჩვეულოდ ინერტული იყო რატი ალექსიძე, რომელიც მეორე ტაიმის დაწყებიდან ათიოდ წუთში შეცვალეს კიდეც. ძალიან ბევრი, სასარგებლოდ იშრომა თენგიზ სიჭინავამ და მასთან 34-ე წუთიდან შეწყვილებულმა ალექსანდრე რეხვიაშვილმა. ამ ორმა, ფაქტობრივად, დაიპყრო მოედნის ცენტრი.

კარგად ჩაერთო თამაშში ზურაბ იონანიძე, გვარიანად ანერვიულა მცველები და ერთხელ სამ სომეხს ერთდროულად თავზე რომ გადუგდო ბურთი, მეკარის საჯარიმოსთან მისულს დემეტრაძისთვის დაეგორებინა, უკეთესი იქნებოდა. გიორგი დემეტრაძემ ბევრი ირბინა, მაგრამ ისეთი ვერ იყო, რომ სჩვევია. პირველ ტაიმში ხშირად ყაველაშვილს უცვლიდა ხოლმე ადგილს და ფლანგზე თამაში არ გამოსდიოდა.

გიორგი ნემსაძემ ერთხელ უზუსტოდ

**სომხეთი**

1. აბრამიანი
4. ოვსეპიანი
5. ვარდანიანი
2. სუკიასიანი
6. ხაჩატრიანი
3. ხოჯოიანი
11. პეტროსიანცი
8. ვოსკანიანი
7. პეტროსიანი
10. შაჰგელდიანი
9. არამ აკოფიანი

9. ჩალაძე
10. დემეტრაძე
11. ყაველაშვილი
8. ალექსიძე
4. სიჭინავა
13. ხიზანიშვილი
2. სილაგაძე
5. თოდუა
15. ლ. მიქაძე
7. ნემსაძე
1. გრიშიკაშვილი

**საქართველო**

შეცვლა: მიქაძე — 17. რეხვიაშვილი (34), ჩალაძე — 14. იონანიძე (46), ალექსიძე — 18. მენთეშაშვილი (55), პეტროსიანცი — 13. არტავაზ ქარამიანი (56), ხიზანიშვილი — 16. დიდავა (72), არამ აკოფიანი — 15. არმან ქარამიანი (68), პეტროსიანი — 18. ასატრიანი (79)

გაფრთხილება: ყაველაშვილი (79)

მსაჯები: გ. იაკუბოვსკი (ბელარუსი); კ. ბალიანი, ვ. შაროიანი; გ. ოგანესიანი (ყველა სომხეთი)

გადააწოდა, მაგრამ შეცდომა მაშინვე გამოასწორა, ახალგაზრდა პარტნიორებს ამშვიდებდა, დაზღვევისასაც საიმედო იყო. მიხეილ ყაველაშვილი კი სომხებმა მეკარე არუთუნ აბრამიანთან ერთად მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, ძალიან სასარგებლოდ თამაშობდა და სომხები სულ გაწამაწიაში ჰყავდა. პირველ ტაიმში სამ მცველს წაჰგვარა ბურთი, მაგრამ მერე კარგად ველარ დაარტყა და მეკარემ ზურგსუკან დაიჭირა კარისკენ გაგორებული. სოსო გრიშიკაშვილზე მოკლედაა სათქმელი — უშეცდომოდ ითამაშა.

რევაზ ძოძუაშვილი და დავით ყიფიანი მატჩისას ფეხბურთელებს ხშირად უნაცვლებდნენ ადგილებს. მოულოდნელი თუმცა ეფექტური იყო თავიდანვე სამი თავდამსხმელით დაწყება, საწყის 15 წუთში ჩვენებურებს ოთხი-ხუთი კარგი მომენტი ჰქონდათ, სტოპერი ხაჩატრიანი რას აკეთებდა, თავად არ იცოდა, ორჯერაც ბურთი საჯარიმოსთან ჩალაძეს ჩააბარა. ნაკრებს მწვრთნელთა ხელი მეორე ტაიმში უფრო ეტყობოდა. 20 წუთი ჩვენებურები მეტოქის ნახევარზე იყვნენ დასახლებულნი, თუმცა მერე, ალბათ, დაიღალნენ და სომხებს გაათანაბრებინეს თამაში.

საქართველოს ნაკრებს ამ მატჩში ბევრი ხელსაყრელი მომენტი ჰქონდა, მაგრამ ბიჭები ბურთს ნამეტანს აყოვნებდნენ და...

რეზიუმედ კი ვიტყვი — ნაკრებმა ნორმალურად ითამაშა. შემადგენლობისა და მატჩისწინა ინტრიგის გათვალისწინებით არა უშავდა.

აი, მე სულ ეს დავწერე. იმ სომეხი კოლეგისა კი რა გითხრათ...

### მატჩის შემდეგ

*დავით ყიფიანი, საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელი:*

— მწვრთნელები რასაც ვითხოვთ, დღეს ნაკრებმა იმის 25 პროცენტი აჩვენა. ყველამ კარგად იცით, რა ძნელიც არის ქართველთათვის ერევანში თამაში, ამ ახალგაზრდებს კი წარბიც არ შეტოკებიათ, ეს ძალიან კარგია. სომხებთან თამაშმა დაგვანახა, რომ საქართველოს ნაკრებს რეზერვი ჰყავს. ბირთვი ჩამოყალიბებულია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს გუნდში სხვა ღირსეულისთვის ადგილი არ მოიძებნებოდეს.

*რევაზ ძოძუაშვილი, საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მთავარი მწვრთნელი:*

— ფეხბურთელებმა თავიანთი შესაძლებლობები მაქსიმალურად ვერ გამოიყენეს. მოგება შეგვეძლო, მაგრამ მოგებას გოლი სჭირდება, ამის საშუალება კი მასპინძლებმა არ მოგვცეს.

*ვარუჟან სუკიასიანი, სომხეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი:*

— თამაშის ხარისხით უკმაყოფილო ვარ. ფიზიკურად ორივე გუნდი კარგად გამოიყურებოდა, საქართველოსთან წაგებული მატჩების შემდეგ დღევანდელმა ფრემ ხასიათი ოდნავ გამომიკეთა. ქართველთა გუნდის ნაკლზე კი სჯობს ძოძუაშვილსა და ყიფიანს ჰკითხოთ.



ქართველთაგან მიხეილ ყაველაშვილი (№11) გამოარჩიეს



აშოტ გრიგორიანი (№2) და ლაშა ჯაკობია

# თერთმეტი თანატოლი და ერთი უფროსი

არტაშატი
26 აპრილი
13 საათი
ცენტრალური
1 000 (ტევადობა 5 000)

**სომხეთი 0:1 საქართველო**

ახალგაზრდულები

0:1 წიტაიშვილი (30)

**სომხეთი:** ბაბაიანი, გრიგორიანი, თადევოსიანი, დავიდიანი (ნავოიანი 61), ნარიმანიანი, გ. გრიგორიანი, დ. ჯენებიანი (მელიქიანი 54), ალექსანიანი (ნ. ერზრუმიანი 48), ს. ერზრუმიანი (ე. აკოფიანი 83), არა აკოფიანი, გ. აკოფიანი

**საქართველო:** ლომაია, საჯაია, ხიზანეიშვილი, წერეთელი, დევიძე (შაშიაშვილი 64), ქემოკლიძე (გ. შენგელია 46), კვარაცხელია (რუხაძე 46), დილმელაშვილი (აბრამიძე 74), ჯაკობია (მ. ბობოხიძე 80), წიტაიშვილი, ლ. გვაზავა

**გაფრთხილება:** ჯაკობია (2), შენგელია (53), წერეთელი (70)

**მსაჯები:** ს. კაზარიანი; ა. თადევოსიანი, გ. სიმონიანი (ყველა სომხეთი)

**კობა ინასარიძე არტაშატიდან**

თქვენ წარმოიდგინეთ თურმე, ძველი საბერძნეთის ოლიმპიური თამაშების ბოლო ჩემპიონი, შეჯიბრი მაშინ მუშტებით ერთმანეთისთვის თავ-პირის მტვრევაში რომ იყო, სწორედ არტაშატიდან ყოფილა, ქალაქიდან, რომელიც ერევნიდან საათის სავალზეა და რომლის მოსახლეობასაც, ამ ჩემპიონი კაცის წარმომავლობით სატრაბახოს გარდა, მგონი, არაფერი აქვს.

აი ამ ქალაქში, რომლის სტადიონსაც ტრიბუნა მხოლოდ ერთ მხარეს არტყია, საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა მურთაზ ხურცილავას ხელმძღვანელობით ზედიზედ მეთორმეტე მატჩი ჩაამთავრა წაუგებლად, თუმცა „წაუგებლობა“ რა მოსატანია, როცა ჩვენებურებმა გუშინ თერთმეტი თანატოლი და ერთიც მათზე ძალიან უფროსი ერთად დაამარცხეს. ის ერთი მსაჯია — სლავიკ კაზარიანი, რომელმაც მატჩს სამი წუთი რომ თითების ჩვენებით დაამატა, ორი ამდენიც ზედ მიაყოლა, ფეხბურთელებმა ჩემი წამზომით 99 წუთი ითამაშეს.

კაზარიანს გულით ეწადა თავისიანებს ანგარიში როგორმე გაეთანაბრებინათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, ბოლოს კი, ალბათ მიხვდა სინდისიც რომ კარგი საქონელი არის, ერთხელ მძლავრად ჩასტვინა და მატჩიც დაამთავრა.

ძალიან კარგად ითამაშეს გუშინ არტაშატში ახალგაზრდა ქართველებმა. მათ თავიდანვე პრესინგს მიმართეს და მეტოქეს შესვენებამდე ერთის მეტად ლომაიასკენ არ დაარტყმევინეს. თავად კი მატჩის დაწყებიდან ნახევარ საათში შეაგდეს — საჯაიას მარცხნიდან ჩაწოდებულ ბურთზე თავის დარტყმა ჯაკობიას რომ შეეძლო, შეგნებულად არ ქნა, ბურთი გაატარა, წიტაიშვილიც, კარიდან სამ მეტრში იდგა, არ დაიბნა, მეტოქეთაგან უყურადღებოდ დარჩენილმა ბურთი გააჩერა და ბაბაიანს კუთხეში გაუტანა.

მეორე ტაიმში ხურცილავამ საყრდენი კვარაცხელია და მცველი ქემოკლიძე გამოცვალა, მარჯვენა ჰავბეკობა რუხაძეს დაავალა, თავდამსხმელებს, წიტაიშვილს და ჯაკობიას კი მესამეც — შენგელია დაუმატა. ჩვენებურებმა შუა მოედანი მეტოქეს შეგნებულად დაუთმეს, კონტრშეტევებზეააწყვეს თამაში და ცოტა იღბალი რომ ჰქონოდათ სომხებისთვის სამოთხჯერაც უნდა გაეტანათ.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების დაცვა საიმედოდ თამაშობდა. განსაკუთრებით, ლიბერო ოთარ ხიზანეიშვილი, რომლის აქ ჩამოსვლასაც ხურცილავა აღარ ელოდა, თუმცა შუალამით იმ სასტუმროსთვის მიუკითხავს, სადაც გუნდი დაბინავებულიყო. ხიზანეიშვილის გადამკიდე სომხებმა ვერაფრით მოახერხეს მატჩის გადარჩენა. ისე კი, შესვენების შემდეგ ლომაიამაც რამდენჯერმე იყოჩაღა. ძალიან აქტიურობდა ლაშა ჯაკობია, მასპინძელი მცველებიც დააწიოკა და თანაგუნდელებს დაცვაშიც ბევრჯერ დაეხმარა. ყველა ბურთისთვის იბრძოდა, არაფერს ერიდებოდა და ქართველთაგან ერთ-ერთი საუკეთესოც იყო.

### მატჩის შემდეგ

*სერგო კუტივაძე, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის თანაშემწე:*

— დღეს ძალიან ცხელოდა და თამაშიც გაძნელდა. თანაც ბიჭები დაღლილები იყვნენ, გუშინ ჩამოვედით და ხეირიანად არც გვიძინია. კი, მართალია თამაში მასპინძლების უპირატესობით წარიმართა, მაგრამ გოლი ვერ გაგვიტანეს და დამარცხდნენ. მცველებით კმაყოფილი ვარ, კარგად ითამაშეს, მათი დიდი დამსახურებაა რომ მოვიგეთ.

*არმენ გულბუდარიანცი, სომხეთის ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი:*

— ჩემი ხელმძღვანელობით ეს გუნდი პირველად შეიკრიბა და ამის კვალობაზე კმაყოფილი სულაც არ გახლავართ. ფეხბურთელების მადლობელი ვარ, მათ მოსაგებად ყველაფერი გააკეთეს, მაგრამ დღეს ძლიერმა იმარჯვა. გილოცავთ.

# ნაკრების მზადება თუ ვალის გასტუმრება?

ვლადიმერ გუცაევის მწვრთნელობიდან მოყოლებული, საქართველოს ეროვნულ ნაკრებს დებიუტანტები არ მოჰკლებია. რომ ჩამოვთვალოთ, საკმაოდ გრძელი სია გამოგვივა. იქნებ უცბად ყველა მათგანი არც გაგვახსენდეს.

ნაკრებში გამოძახებულ ახალწვეულთაგან ზოგი მართლაც რომ ღირსეული კანდიდატურა იყო, ზოგს კი მწვრთნელები სათავისო მიზნებისთვის იყენებდნენ.

ასე იყო გუცაევის დროს, ასევე გააგრძელა მისმა „მემკვიდრემ", ჰოლანდიელმა იოჰან ბოსკამპმა. ტრადიცია არც რევაზ ძოძუაშვილსა და დავით ყიფიანს დაურღვევიათ. ეროვნულ გუნდს სომხურ ვოიაჟში ოთხი დებიუტანტი გაჰყვა. დანარჩენები ასე თუ ისე ნაკრებს გაშინაურებულნი არიან.

„მისმინეთ, ჟურნალისტებო, ეს „ვიტა ჯორჯია" კარგი გუნდია, მაქედან ხო, ორი ფიზიკურად ისეთი ძლიერი ფეხბურთელია, ნაკრებს თავისუფლად გაქაჩავენ. მათ აუცილებლად გამოვცდით".

ეს სიტყვები ძოძუაშვილმა კარგა ხნის წინ თქვა ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე. მწვრთნელმა შერჩეული ფეხბურთელების ვინაობა და ნათქვამის შესრულება სამი თვის თავზე გვამცნო. „ვიტ ჯორჯიამ" ნაკრებში ორი მოთამაშე მიავლინა — მეკარე სერგო ჭურაძე და მცველი სევასტი თოდუა.

ვინც ეროვნულ ჩემპიონატს თვალს ადევნებს, ის ვერაფრით უარყოფს ამ ფეხბურთელების სწრაფ პროგრესს. ჭურაძე და თოდუა სერგო კოტრიკაძისთვის საიმედო მოთამაშეებად ითვლებიან. ეს ის ძალაა (რა თქმა უნდა, სხვებთან ერთად), რომელსაც „ვიტ ჯორჯია" ეყრდნობა.

ამ შემთხვევაში ძოძუაშვილს და ყიფიანს ვერც სამწვრთნელო ალღოს დავუწუნებთ და ვერც სხვა რამეს დავაბრალებთ. ორივე ვეტერინარი ღირსი იყო, ნაკრებში თავის გამოჩენის შანსი მიეცათ. ივარგებენ თუ არა, ახლა მხოლოდ მათზეა დამოკიდებული.

რიგით მესამე დებიუტანტი, ძოძუაშვილისთვის კარგად ნაცნობი, ლოკომოტიველი ლევან მიქაძეა. უცბად რომ დაფიქრდეთ, მიქაძის საფეხბურთო კარიერიდან რომელი ეპიზოდი გაგახსენდებათ?! სხვისი არ ვიცი, მაგრამ პირადად მე მისი ნაკრებში გამოძახება რომ გავიგე, მეთერთმეტე ეროვნულის პირველი ეტაპის სკანდალური მატჩი „დინამო" — „ლოკომოტივი" წარმომიდგა თვალწინ.

მაშინ „ეროვნულზე" გაცოფებული ლევან მიქაძე მსაჯ ასკაროლლის დასდევდა. კიდევ კარგი, არ მიუშვეს, თორემ თუ არ მოკლავდა, ასკაროლლი საავადმყოფოში დასაწვენი მაინც შეიქნებოდა.

მას აქეთ დიდი დრო გავიდა. მიქაძემ ფედერაციის მიერ მისჯილი დისკვალიფიკაცია მოიხადა, მერე თავი რუსეთის უმაღლეს დივიზიონში ალზევებ... მახაჩკალის „ანჟის" შეაფარა და გუნდთან ერთად შეკრებებიც გაიარა. თითქოს „ანჟის" წევრიც იყო, მაგრამ ბევრისთვის მოულოდნელად ს...ართველოში დაბრუნდა და „ლოკომოტივში" ...ანაგრძო თამაში.

დღეს რკინიგზელთა რიგებში თუ ვინმე გამოირჩევა, ერთ-ერთი მათგანი ლევან მიქაძეა. აშკარად ეტყობა, ძალიან მოხდენია ჯერ დასჯა, მერე „ანჟისთან" გავლილი მოსამზადებელი პერიოდი.

ვერც ამ შემთხვევაში დავძრახავთ მაინცდამაინც მწვრთნელებს. ერთი შანსის ღირსი ლევან მიქაძე იყო.

მეოთხე დებიუტანტი თბილისის „დინამოს" თავკაცის, ოთარ კორღალიძის ვაჟი ლევანი გახლავთ. ნაკრებში მისი გამოძახება ჩვენთვის (სხვა დანარჩენებისთვისაც) მეტად მოულოდნელი აღმოჩნდა. არა, ის კარგად ვუწყით, რომ ძოძუაშვილი რიგის „სკონტოს" ქართველ ლეგიონერებს მუდამ სწყალობს, მაგრამ იქნებ სჯობდა, ლევანი ჯერ ხურცილავას გამოეცადა და მერე ეროვნულ გუნდშიც მიგვეცა შანსი.

ლევან კორღალიძე ახალგაზრდა, ნიჭიერი მოთამაშეა. მეორე სეზონია, რიგის „სკონტოში" ირიცხება, თუმც ძირითადში სტაბილური თამაშით არ გამოირჩევა და მხოლოდ შეცვლებზე თუ შეიყვანს გამოცდილი სტარკოვი.

ესეც ეროვნული ნაკრების ოთხი დებიუტანტი, რომელთაც შანსი ეძლევათ, თავი გამოიჩინონ. ახლა თუ ვერ ითამაშეს, მომავლისთვის სტიმული მაინც გაუჩნდებათ.

ისე, მომავლისა მომავალმა უწყოდეს, დღეს ზემოთ ნახსენები ოთხეულის დადებით და უარყოფით მხარეებზე ვთქვათ. ისიც გავიხსენოთ, ვის სად და როდის უთამაშია ფეხბურთი და რა დამსახურებისთვის მიიწვიეს ნაკრებში. ბუნებრივია, შეფასებას მეკარით დავიწყებთ, მერე დანარჩენებზეც მოგითხრობთ.

## სერგო ჭურაძე

22 წლის მეკარემ საფეხბურთო კარიერა ეროვნული ჩემპიონატის მესამე ლიგაში „ავაზიდან" დაიწყო. მერე იყო მეორე ლიგა და ვანის „სულორი", საიდანაც გუგუშვილის „ზოოვეტს" შეეკედლა.

პირველ ჯგუფში ძალები „გურიას" რიგებში მოსინჯა, იქიდან კი ბულგარეთს გაემგზავრა და სამი წელიც იქაურ კლუბებში დაჰყო. ბულგარულ უმაღლეს ლიგაში ერთი მატჩი ითამაშა სოფიის „ლოკომოტივში". სწორედ ბულგარეთიდან მოიწვია ვლადიმერ გუცაევმა ახალგაზრდულ ნაკრებში და 1996 წლის 11 აგვისტოს ბათუმში, უკრაინასთან 2:1 წაგებულ მატჩში კარის დაცვა პირველ ტაიმში ჭუ...ძეს ანდო.

მაშინ სერგოს მაინცდამაინც მოსაწონი დებიუტი ვერ გამოუვიდა და ახალგაზრდულ გუნდში დასაბრუნებლად მთელი სამი წელიწადი დასჭირდა.

ხელმეორე დებიუტი ისევ უკრაინასთან შედგა. 1999 წლის 20 მარტს საქართველოს ახალგაზრდულმა გუნდმა სტუმარ თანატოლებს 1:0 მოუგო. ჭურაძემ 65 წუთი ითამაშა. მაშინდელმა მწვრთნელებმა, იმნაძემ და გაბელიამ, ტრავმის გამო შეცვალეს. ცოტა ნერვიულობა კი ეტყობოდა, მაგრამ მთლიანობაში უშეცდომოდ ითამაშა.

„ვიტ ჯორჯიაში" მისვლის დღიდან გუნდის ძირითად მეკარედ ითვლებოდა. ერთი პერიოდი (ხელის ტრავმა რომ მიიღო) მამარდაშვილს დაუთმო ადგილი და გამოჯანმრთელების შემდეგ, კიდევ კარგა ხანს, მის ჩრდილში იმყოფებოდა, მაგრამ კოლეგის კონკურენცია მაინც დაძლია და ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის მთელი სიმძიმე მის ზურგზე გადადის.

ჭურაძეს სიმაღლე არ დაეწუნება, ათლეტურია. მისი მთავარი კოზირი სწრაფი რეაქცია და საჯარიმოში თავისუფლად გადაადგილების უნარია. ძლიერია ხაზზე მოქმედებისას. ამ ბოლო დროს გამოსვლებზე გარჯაც დახვეწა. ფეხით თამაშისას შეფასება საშუალო ეკუთვნის, მაგრამ უფრო უკეთესიც სასურველი იქნებოდა.

მის სისუსტედ გამძლეობა შეიძლება ჩაითვალოს. ამ მხრივ მეკარეს მოღონიერება კიდევ უკეთესად წარმოაჩენდა, თუმც სერგო ჯერაც დაღვინების ასაკშია. ჭურაძის, როგორც მეკარის, ჩამოყალიბების პროცესი კიდევ სამ-ოთხ წელიწადს გაგრძელდება. ზუსტად ამ პერიოდის გავლის შემდეგ შეფასდება მისი ოსტატობის დონე.

## სევასტი თოდუა

თანაგუნდელზე ერთი წლით უფროსია. აქამდე არ ჰქონია შანსი, რომელიმე ასაკის ნაკრებში ძალები მოესინჯა. სულ ორ გუნდში უთამაშია, სამტრედიის „იბერიასა" და „ვიტ ჯორჯიაში". თბილისში გურამ რუხაძის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ გადმობარგდა.

სევასტი ფიზიკურად ძლიერი, ათლეტური აღნაგობის მცველია. კარგად ეხერხება თავით თამაში და მეტოქე თავდამსხმელის პერსონალური მეურვეობა. ერთი შეხედვით ზანტი ფეხბურთელი გეგონებათ, მაგრამ საკმაოდ სწრაფია.

მისი უარყოფითი მხარე დასწრებაზე თამაშია. მსგავს მომენტებში უპირატესობას მუდამ მომხდურს უთმობს და მერე ბურთის დასაუფლებლად დიდ ენერგიას ხარჯავს. თუ მაღალ დონეზე თამაში სურს, ამ ნაკლის სასწრაფოდ აღმოფხვრა მოუწევს.

ტექნიკური არსენალის გამდიდრებაც არ აწყენდა. თუ ამ სისუსტეებს სძლია, მაშინ ძლიერი მცველი შეგვემატება.

## ლევან მიქაძე

დებიუტანტებთან შედარებით ყველაზე ასაკოვანი 26 წლისაა და ცხადია, გამოცდილია. ფეხბურთი საქართველოს ჩემპიონატის მესამე ლიგიდან დაიწყო და მეორე ლიგის გავლით ძლიერთა შორისაც გაერია.

ერთი წლის მანძილზე ლეგიონერიც იყო, 1998 წელს პოლონური შეცინის „პოგონის" ღირსებას იცავდა. საქართველოში სოხუმის „გორდა" და „ცხუმი", სენაკის „ეგრისი" და ზუგდიდის „ოდიში" მოუვლია. ახლა თბილისური „ლოკომოტივის" წევრია.

მიქაძე ის მცველია, რომლის გამოყენება განსაკუთრებით ზონური დაცვის პირობებშია სასურველი. ლევანს ერთნაირი წარმატებით შეუძლია თამაში ფლანგებზეც და ცენტრშიც.

ძლიერი დარტყმა აქვს და თავითაც კარგად თამაშობს. დღემდე ბევრი და ბევრგან უთამაშია და ამიტომ გამოცდილებაც მის წისქვილზე ასხამს წყალს.

ნაკლი ის გახლავთ, რომ სუსტი აღნაგობისაა. გაცილებით მეტი ათლეტიზმი და ფიზიკურობა მის შესაძლებლობებს ერთიორად თვალსაჩინოს გახდიდა.

## ლევან კორღალიძე

ახალწვეულთაგან ყველაზე ახალგაზრდამ, 19 წლის კორღალიძემ ეროვნულ ჩემპიონატში ბურთაობა პირდაპირ უძლიერესთა რიგებში დაიწყო. „გურია" მაშინ ჯგუფიდან გავარდნის ზღვარზე იყო.

მერე „დინამო 2"-ში გადაბარგდა და გუნდთან ერთად ჯერ მეორე ლიგას გაუსინჯა გემო, შემდეგ მესამეც დააჭაშნიკა.

ისევ პირველი ჯგუფი, ოღონდ ამჯერად თბილისური „არსენალი". იქ მამამისის, ოთარ კორღალიძის ზედამხედველობით ირჯებოდა.

ლევანის სანაკრებო კარიერა გაგუას თექვსმეტწლამდელთა და კოპალეიშვილის თვრამეტწლამდელთა გუნდებში თამაშს ითვლის. კოპალეიშვილის თავკაცობით ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ და ფინალურ ეტაპზეც უთამაშია.

საშუალო სიმაღლის, ტექნიკური და აზრიანი ნახევარმცველია. პასის კულტურა აქვს, ოღონდ კიდევ უფრო დახვეწა სჭირდება.

ისე, დასახვეწ-დასამუშავებელი კიდევ ბევრია, მაგრამ ისიც გავითვალისწინოთ, რომ თითქმის ორი წელიწადია, მისი თამაში არ გვინახავს და არც ვიცით, ამ ხნის მანძილზე როგორ გაიზარდა. მის უპირატესობაზე კი ერთი რამ მეტყველებს, ლევანი დალაგებული, ცივილიზებული ქვეყნის გუნდში ვარჯიშობს, სადაც სანთლით არაა საძებარი ცხელი წყალი, ნორმალური მინდორი, ხელფასი თუ სხვა ათასგვარი წვრილმანი და მსხვილმანი. ვნახოთ, იქნებ გაამართლოს.

მაშ ასე, ეროვნულ გუნდში ოთხი დებიუტანტია. რატომაც არა, ორჯერ მეტი იყოს, ამხანაგური მატჩები ახალბედების გამოსაცდელად და სხვადასხვა ტაქტიკური ვარიანტების დასამუშავებლად არის მოგონილი.

თუმც ერთიცაა, ის ამხანაგური პაექრობაც და დებიუტანტების შემოწმებაც მხოლოდ ერთ მიზანს, ეროვნული გუნდის უკეთ მომზადებას უნდა ემსახურებოდეს და არა, ვთქვათ, ვალის გასტუმრების თავაზიან ჟესტს.

რა იყო სომხეთში სტუმრობის მთავარი მიზანი, ამას დრო გამოაჩენს.

**მამუკა ქვანტალიანი**



სერგო ჭურაძე



სევასტი თოდუა



ლე...ან კორღალიძე



ლევან მიქ...

# ბომბობანა

## ბათუმი გადარჩა, სტკ გაიბოლა

კიდევ ეს წყეული სატელეფონო ზარი... „შენობაში ბომბია“ — მეხივით გაისმა გუშინ ფიზკულტურის აკადემიაში და დამფრთხალმა პროფესორ-მასწავლებლებმა სტუდენტებთან ერთად სასწრაფოდ დატოვეს შენობა. იქნებ არც არის შემთხვევითი — მავანი ინფორმატორი სადისციპლინო ტექნიკური სხდომის მსვლელობის დროს რეკავს აკადემიაში და იქაურებს შოკისმომგვრელ ამბავს ეუბნება.

სტკ-ს ერთ-ერთ წინა სხდომაზეც მსგავსი რამ მოხდა, აკადემიის რექტორი და ამავე დროს სტკ-ს თავმჯდომარე ომარ გოგიაშვილი კომიტეტის სხდომას ამთავრებდა, როცა ანონიმური ზარის შესახებ ამცნეს. მაშინ გოგიაშვილის ძალისხმევას შედეგი არ მოჰყოლია — გამნაღმველებმა ბომბი ვერ აღმოაჩინეს. ალბათ ამიტომაც იყო, რომ გუშინდელ, მოულოდნელ ინფორმაციას სტკ-ს წევრები დიდად არ დაუპანიკებია, მაგრამ მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ გარკვეული საშიშროება მაინც არსებობდა. ფიზკულტურის აკადემიის შენობის მეოთხე სართული მოულოდნელად გაიბოლა. ამის მომსწრე თავად გახლდით, ბოლის სქელი ნისლი ჯერ მესამე სართულს მოედო, შემდეგ კი პირველსა და მეორესაც გადასწვდა. როგორც შემდეგ გაირკვა, მეოთხე სართულზე დენთი იწვოდა. ფაქტია, მავანმა დენთი მიმოფანტა და შემდეგ მას ცეცხლი წაუკიდა. ამ ინციდენტამდე სტკ-ს მთავარი საკითხები უკვე მოლეული ჰქონდა და სხდომაც საჩქაროდ დასრულდა.

დისციპლინართა გუშინდელი მუშაობის მთავარ თემას კი ბათუმში, მეექვსე ტურის მატჩის შემდეგ მომხდარი ინციდენტი (უფრო სწორად ინციდენტები) წარმოადგენდა...

14 აპრილს, „ბათუმი“ — „ვიტ ჯორჯიას“ მატჩის დასრულების შემდეგ ვაიგულშემატკივრებმა მსაჯთა ოთახს ქვები დაუშინეს და მინები ჩაამსხვრიეს. დებოშიორებმა არც სტადიონის მისადგომებთან მდგარი მსუბუქი ავტომანქანები დაინდეს, მოგვიანებით კი დაახლოებით ორმოცდაათკაციანი ჯგუფი ქალაქის გასასვლელთან სტუმართა ავტობუსს დაუხვდა და ქვების სეტყვა დააყარა. ვიტელთაგან არავინ დაშავებულა, რადგან მწვრთნელებმა და ფეხბურთელებმა მოასწრეს, ავტობუსის იატაკზე გაწვნენ და ზემოდან ჩანთები გადაიფარეს.

ბათუმში მართლაც სერიოზული ინციდენტი მოხდა და წესით და რიგით სტკ-ც მაქსიმალური ყურადღებით და მკაცრად უნდა მოჰკიდებოდა ამ საქმეს, მაგრამ პირიქით კი მოხდა, ამაში გუშინდელი სხდომის მსვლელობაც დაგარწმუნებთ:

სტკ-ს თავმჯდომარემ, ომარ გოგიაშვილმა, თავდაპირველად მატჩის დელეგატ გია ფირცხალავას მოხსენებითი ბარათი წაიკითხა. ფირცხალავას თქმით (რომელიც სფფ-ს საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარეა), ბათუმურმა მატჩმა უინციდენტოდ, მეტიც, იდეალურად ჩაიარა, ნამატჩევს გასახდელისკენ მიმავალი გუნდები მაყურებელთა ერთმა ნაწილმა თურმე ტაშითაც გააცილა. ფირცხალავამ ხაზი გაუსვა ადგილობრივი პოლიციის ოპერატიულობას. დისციპლინარებმა დაუყოვნებლივ აღკვეთეს მინების მსხვრეველთა თარეში, ირწმუნება მატჩის დელეგატი. ქალაქის გასასვლელთანაც ალბათ ეს ჯგუფი დახვდა ავტობუსს და დააზიანა იგი, თუმც ადგილობრივთა ძალისხმევით და თანადგომით სტუმრებმა მალევე დატოვეს ბათუმიო — ოქმში დაფიქსირებული ეს პოზიცია სტკ-ზეც დაადასტურა სფფ-ს საშეჯიბრო კომიტეტის თავკაცმა. ამის შემდეგ სტკ-მ მსაჯების მოხსენებითი ბარათებიც წაიკითხა, რომლებიც აბსოლუტურად ერთნაირი შინაარსის იყო: მშვენიერი მატჩი, ყველანაირი ინციდენტის გარეშე და ბოლოსკენ მომხდარი მცირე გაუგებრობაო — ირწმუნებოდნენ მსაჯები. შავოსნებს დისციპლინარები რამდენჯერმე დაეკითხნენ, თქვენზე ვინმეს პრეტენზია ხომ არ ჰქონიაო, რას ბრძანებთ, ხმა არავის გაუციაო, პასუხობდნენ თემიდის წარმომადგენლები.

სტკ-მ „ბათუმის“ პრეზიდენტ თემურ ბეჟანიძესაც მოუსმინა: — რა თქმა უნდა, უსიამოვნო ფაქტი მოხდა, მაგრამ იმ ხალხს ნამდვილ ბათუმელ გულშემატკივრებთან საერთო არაფერი ჰქონდათ. ძირითადად 12-13 წლის ბავშვები იყვნენ. ისინი ორმა-სამმა თავხედმა აიყოლია და... ჩვენც დავზარალდით, სამსაჯო ოთახის მინების გარდა, გუნდის ფეხბურთელი ლევან ხომერიკის და „ბათუმის“ ერთ-ერთი მწვრთნელის, იური მამინაშვილის მანქანებიც დაზიანდა. ამ დროს „ვიტ ჯორჯიას“ ავტობუსიც სტადიონთან იდგა და თუ იმის დამტვრევა ვინმეს განზრახული ჰქონდა, მაშინ დაამტვრევდა. რაც შეეხება მეორე ფაქტს, როგორც ჩანს, იგივე ჯგუფი მატჩის შემდეგ შინ რომ მიდიოდა, ქალაქის გასასვლელთან სტუმართა ავტობუსს წააწყდა და უდისციპლინობა ისევ განმეორდა. ალბათ ამით ერთგვარი, თავისებური პროტესტი გამოთქვეს. მომხდარის გამო გამოძიება იმ დღესვე დაიწყო და ყველაფერი მალე გაირკვევა.

სტკ-მ ბათუმის ვიცე-მერის ადეიშვილის, სფფ-ს პრეზიდენტის სახელზე გამოგზავნილი წერილიც წაიკითხა — დამნაშავეებს დავსჯით და პირობას გაძლევთ, მსგავსი რამ არც სტადიონზე და არც ბათუმში არ განმეორდებაო — იტყობინება ადეიშვილი. „ვიტ ჯორჯიას“ წარმომადგენელმა თამაზ ლომიძემ განაცხადა, რომ დიდი ყურადღება იგრძნეს მასპინძელთაგან და ის ინციდენტი რომ არ ყოფილიყო, ყველაფერი საუცხოოდ იქნებოდა. ლომიძის თქმით, ავტობუსში ქვებთან ერთად რკინის სამკუთხა ნაჭრებიც ცვიოდა და მძღოლის მინა რომ გატეხილიყო, შედეგი სავალალო იქნებოდა.

ოფიციალური ინფორმაციით, ვიტელთა ავტობუსს 9 შუშა ჩაემსხვრა. მათი დამზადება კი ჰოლანდიაში, ან თურქეთში ყოფილა შესაძლებელი და საკმაოდ ძვირიც — 10 ათას ლარამდე ჯდება.

ჯერი სტკ-ს გადაწყვეტილებაზე მიდგა და სიტყვა ომარ გოგიაშვილმა ითხოვა. ასე მგონია, ეს ინციდენტი უფრო სტიქიურია, ვიდრე ორგანიზებულიო, განაცხადა ბატონმა ომარმა. მან აღნიშნა, რომ „ბათუმს“ ამგვარი რამ პირველად შეემთხვა, თანაც დარღვევები სტადიონის გარეთ მოხდა და გუნდის ხელმძღვანელობამ და ადგილობრივმა პოლიციამ დიდი გულისხმიერება და ოპერატიულობა (პოლიციის ოპერატიულობას რატომღაც არაერთხელ გაესვა ხაზი გუშინდელ სხდომაზე) გამოავლინეს და ყველაფერი ასე თუ ისე მშვიდობით დასრულდა.



ომეგუჯა ფხაკაძის ფოტო

14 აპრილს ბათუმში: „დინამოს“ სტადიონის შორიახლოს პოლიციელთა სიმჭიდროვე

— ჩემი წინადადებაა, „ბათუმის“ სტადიონს პირობითი დისკვალიფიკაცია, გუნდის ხელმძღვანელობას საყვედური გამოვუცხადოთ და 1000 ლარითაც დავაჯარიმოთ — თქვა გოგიაშვილმა. თავკაცის წინადადებაზე დისციპლინარებმა თავიანთი მოსაზრება გამოთქვეს. გოგი დემეტრაძემ განაცხადა, „ბათუმმა“ ერთი მატჩი ცარიელი ტრიბუნების წინ ითამაშოსო. წინადადებამ ცხარე დისკუსია გამოიწვია — როგორ? ამ სტადიონზე მატჩებს 23-25 ათასი კაცი ესწრება და ნამდვილ გულშემატკივარს როგორ მოვაკლოთ თამაშზე დასწრების სიამოვნებაო. ერთ-ერთმა ხანშიშესულმა სტკ-ელმა დემოკრატიული პრინციპები დაივიწყა და ასეთი მოსაზრება წამოაყენა: „ბათუმის“ ხელმძღვანელობას დავავალოთ, რომ ხელში აიყვანოს, მოამართოს იქაური პრესა-ტელევიზია და საინფორმაციო წყაროების საშუალებებით ხალხს დისციპლინისკენ მოუწოდოსო.

ასე იყო, თუ ისე, სტკ საბოლოოდ შემდეგ გადაწყვეტილებაზე შეთანხმდა: პირობითი დისკვალიფიკაცია „ბათუმის“ სტადიონს და საყვედური გუნდის ხელმძღვანელობას. ამ ვერდიქტს ერთი პუნქტიც დაემატა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ „ბათუმმა“ „ვიტ ჯორჯიას“ ზარალი უნდა აუნაზღაუროს. რაზეც თემურ ბეჟანიძემ განაცხადა, აგერ ვარ, ბატონო, რაზეა ლაპარაკიო.

ასეა თუ ისე, „ბათუმი“ გადარჩა. საყვედური და პირობითი დისკვალიფიკაცია რასაც ნიშნავს ჩვენში, ყველას კარგად მოეხსენება. აქაოდა, კლუბს ისედაც ხარჯი ხვდება და ჯარიმას ნულარ დავუნიშნავთო, განაცხადეს სტკ-ელებმა. არადა, წინა სხდომაზე „სიონი“ — „ტორპედოს“ მატჩში მოედანზე შეგორებული ორი ცარიელი პლასტმასის ბოთლის გამო ბოლნისურ კლუბს 200-ლარიანი ჯარიმა გამოუწერა სტკ-მ. ინციდენტი მატჩის ბოლოს მოხდა და სტადიონი რა შუაშიაო, ირწმუნებიან დისციპლინარები. საკვირველიც კია ამგვარი მსჯელობა. ფაქტია, სამსაჯოს მინები ჩაიმსხვრა, მანქანები დაიმტვრა, ეს ყველაფერი ხომ იქაურმა მატჩზე ნამყოფმა გულშემატკივარმა (ვაი-გულშემატკივარმა) გააკეთა, რა მნიშვნელობა აქვს, რომ ეს მატჩის შემდეგ მოხდა. ვთქვათ, მატჩის დაწყებამდე ჩაედინათ ხულიგნებს ასეთი რამ, საინტერესოა, რას იტყოდა სტკ? თანაც ერთიცაა, თვითმხილველის, „სარბიელის“ კორესპონდენტის თქმით, უდისციპლინობა მატჩის დროსაც შეინიშნებოდა: „ყოველივე არ მოხდებოდა, პოლიცია უფრო ფხიზლად, უფრო მობილიზებული რომ ყოფილიყო. დროზე აღკვეთა ორიოდ კენჭისა და პლასტიკატის სკამის რამდენიმე ნატეხის ცვენა ჯერ კიდევ სტადიონზე და მერე, ალბათ, არც ქვების სეტყვა იქნებოდა“... „სარბიელი“, 15 აპრილი. ესეც თქვენი პოლიციელთა ოპერატიულობა. არ მესმის, რაში დასჭირდათ ამ სიტყვის ხშირად გამეორება სფფ-ს საშეჯიბრო კომიტეტის თავკაც გია ფირცხალავას, მსაჯებს და გუნდების წარმომადგენლებს. პოლიციელთა ამგვარი ქმედება ოპერატიულობაზე კი არა, ინერტულობაზე მეტყველებს. ისევ მატჩის თვითმხილველი სარბიელელის მოსაზრებას გაგაცნობთ: „ჯერ ვითომ პოლიციამ განმუხტა დაძაბული ვითარება, მაგრამ მაინცდამაინც დიდი გულმოდგინება არ შეგვიტყვია წესრიგის დამცველთათვის“... „სარბიელი“, 15 აპრილი.

ნურც საიმმატჩო მაღალ ორგანიზაციაზე დადებენ თავს. საკვირველია, მაგრამ პირველ რიგში ეს გია ფირცხალავამ აღნიშნა. იქნებ დაავიწყდა იმ მატჩის ინსპექტორს, რომ შეხვედრის ნახევარს წვიმაში მდგომმა ადევნა თვალი, საეჭვოა, რომ ეს ექსტრემალური სიტუაციით ყოფილიყო გამოწვეული. ფირცხალავას თქმით ხომ, ყველაფერი იდეალურად გამოიყურებოდა. საორგანიზაციო იდეალურობისგან შორს არის ის ფაქტიც, რომ სტუმრებმა სტადიონი მატჩიდან საათნახევრის, ხოლო ბათუმი ექვსი საათის შემდეგ დატოვეს.

ერთიც ვერ გამიგია, რატომღაც ბოლო დროს ხაზს უსვამენ სტადიონებზე მაყურებელთა მოზღვავების ფაქტს. ასეთ თემაზე მარტო მატჩის ოქმებით ხელმძღვანელობა სასაცილოა. გაოცდებით, ხშირად იქ მაყურებელთა ისეთ რაოდენობას წერენ. იმას რა სჯობს, თუ ეროვნული ჩემპიონატი ქომაგს მიიზიდავს, მაგრამ ამ პროცესის მარჯვედ მოქნეული კალმით დაჩქარება სხვა თუ არაფერი, თავის მოტყუებას ჰგავს. არაერთხელ ითქვა სტკ-ზე (გოგი დემეტრაძის მოსაზრებაც ცარიელ ტრიბუნებთან დაკავშირებით ამიტომ უარყვეს), რომ „ბათუმის“ ორ საშინაო თამაშს „ტორპედოსთან“ და „ვიტ ჯორჯიასთან“, შესაბამისად 25 და 15 ათასი მაყურებელი დაესწროო. „სარბიელის“ ვერსიით კი ეს ციფრები 15 ათასს და 5 ათასს (თანმიმდევრობა დაცულია) უტოლდება. ისე, ცნობისთვის, ბათუმური სარბიელი 20 ათას მაყურებელს იტევს. ერთიც არის, ამგვარი უხვგულშემატკივრიანი მატჩები თითებზე ჩამოსათვლელია ეროვნულ ჩემპიონატში. ამით კი ეროვნული პირველობის დონის ამაღლებაზე საუბარი ნაჩქარევია.

დაბოლოს, არავის ეგონოს, რომ „ბათუმის“ წინააღმდეგი ვარ. ამ ორგანიზებულმა, ჩემპიონობის მაძიებელმა გუნდმა ჩვენში ბევრი თაყვანისმცემელი შეიძინა. უბრალოდ, საქმე ის გახლავთ, რომ ფეხბურთის დონის ამაღლების ერთ-ერთი ფაქტორი უდისციპლინობასთან ბრძოლაცაა. ეფექტურ მოქმედებას კი ეფექტური, სამაგალითო გადაწყვეტილებების მიღება სჭირდება. სამწუხაროდ, სტკ-ს გუშინდელ მუშაობაში ამგვარი რამ ვერ შევნიშნეთ.

**პაატა ქვანტალიანი**

# მოსკოვს მწვრთნელების არ სჯერა

## გუცაევი რუსებმა 20 ათასი რუბლით გაალარიბეს

არცთუ კარგი ჩვეულება დასჩემდათ საქართველოში მოღვაწე მწვრთნელებს — წაგებული მატჩის შემდეგ „შეუძლოდ“ ხდებიან-ხოლმე. თანაც ისე „შეუძლოდ“, რომ საპრესკონფერენციო დარბაზამდე მისვლაც კი უჭირთ (ისე, საინტერესოა, სახლის კარამდე როგორ მიდიან ხოლმე), შიგ შესვლაზე, ხუთიოდე წუთით მეტოქე კოლეგის გვერდით მოკალათებაზე და ერთი-ორი დამადლებული პასუხის გაცემაზე ხომ აღარაფერს ვამბობთ. ისეც მომხდარა, დამარცხებული გუნდის თავკაცი კარგად ყოფილა, თუმცა ნამატჩევს რომ პრესკონფერენცია უნდა ჩატარებულიყო, „არ სცოდნია“ და სტადიონიდან გაპარულა. ჩემთვის არავის არაფერი უთქვამსო, ასეც ხშირად უმართლებიათ თავი.

კაცი რომ რამეს დაეჩვევი, გადაჩვევა ძნელია. ჰოდა, საქართველოს ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრებების ყოფილ მთავარ მწვრთნელ ვლადიმერ გუცაევსაც ასე მოუვიდა. მოგეხსენებათ, იგი ცოტა ხნის წინ ვლადიკავკაზის „ალანიას“ ჩაუდგა სათავეში. გუნდს უცხოური შეკრებები და კარგი პირობები არ დაჰკლებია, ალანიელებიც სეზონის წინ ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი და თავის ამბიციებსაც არ მალავდნენ. თუმცა... ხუთი ტურის შემდეგ „ალანია“ ორი ფრით და სამი მარცხით რუსეთის ჩემპიონატში ბოლოსწინა ადგილზე მყარად დამკვიდრებულა.

რუსეთში (მომავალი პირველობიდან ჩვენშიც ასე იქნებაო, სფფ-ში გვპირდებიან) ყოველი მატჩის შემდეგ პრესკონფერენცია ეწყობა. გუცაევიც მახაჩკალის „ანჟისთან“ საშინაო და ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივთან“ საგარეო შეხვედრების შემდეგ „ავად“ გამხდარა. პრესკონფერენციაზეც ორჯერვე მის ნაცვლად თანაშემწე (საქართველოს ნაკრებშიც) ვლადიმერ პანოვი გამოცხადდა.

ირაკლი ნიკოლაძის ფოტო



ვლადიმერ გუცაევს ჯიბე შეუთხელეს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან განსხვავებით, რუსეთის საფეხბურთო კავშირმა გუცაევს საზოგადოების უპატივცემულობა არ აპატია. 25 აპრილს გამართულმა საკონტროლო-სადისციპლინო კომიტეტის მორიგმა სხდომამ „ალანიის“ მთავარი მწვრთნელის საქციელი დაგმო და იგი 20 ათასი რუსული რუბლით დააჯარიმა.

ყოველივე ამის შემდეგ ძნელი წარმოსადგენია, გუცაევმა პრესკონფერენციაზე მისვლა კვლავ იუაროს.

ისე, საინტერესოა, საქართველოს ნაკრებში ვლადიმერ გუცაევის მემკვიდრე ამჟამად ბელგიური „გენკის“ თავკაცი ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპიც თუ სჩადის იგივეს, არადა, მისი ახლანდელი კლუბისთვის, მწარე წაგებები (თუგინდ სირცხვილის ჭამა დაარქვით) სულაც არ არის უცხო.

ბოლოს კი გავკადნიერდებით და ერთ რჩევას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასაც მივცემთ. კარგი იქნება, თუ სფფ-ც იზრუნებს იმაზე, რომ მწვრთნელები პრესკონფერენციებს დაესწრონ, ურჩებს კი სოლიდური ფულადი ჯარიმა დააკისროს. დამეთანხმებით, ფედერაციის პრესატაშეს ყოველი საერთაშორისო მატჩის შემდეგ მწვრთნელის ძებნა და ხვეწნა, შენი ჭირიმე, ორი წუთით წამობრძანდითო, არ უნდა სჭირდებოდეს.

**ვანო ოქროპირიძე**

# ვან-ჩესტერული ქაოსი

## მიიხედა, მოიხედა, გაიღიმა და თქვა: I LOVE IT!

ასწორებსო — უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ასე გამოხატა რუუდ ვან ნისტელროიმ თავისი აღფრთოვანება. ეს ის ადგილია, სადაც უნდა ვიყოო — დაუყოლებია. გასაკვირი არაფერია: „ოლდ ტრეფორდს" ხომ ოცნებათა თეატრს უწოდებენ, ჰოლანდიელი ბომბარდირი კი ცხოვრებაში პირველად მოხვდა ამ სტადიონზე და გადაირია. „საუცხოოა, საუცხოო" — ყველაფერზე ამას ამბობდა — „იაპ სტამი ხშირად მიყვებოდა აქაურ ამბებს. ყველაფერი მართალი გამოდგა. დღეს პირველად შემოვდგი ფეხი „ოლდ ტრეფორდზე" და, არ დაგიმალავთ, გულიც კი ამიჩქროლდა. აქ შთამბეჭდავი ატმოსფეროა. იმედია, ეს სარბიელი ჩემს სულიერ სახლად იქცევა".

ეს იყო ორშაბათს, „მანჩესტერისა" და „ჩელსის" თამაშზე. ბრიტანეთისთვის სარეკორდო თანხად, 18 მილიონ გირვანქად (28 380 000 დოლარი) ნაყიდი ჰოლანდიელი გელფრენდ ლეონტიენთან და თავის აგენტთან ერთად საპატიო სტუმართა ლოჟაში მოკალათდა, მაგრამ ვინ აცალა... „იუნაიტედის" ფანობა ფეხზე ამდგარი მიესალმა, ახლო მჯდომმა საზოგადოებამ გასაუბრება მოისურვა, ავტოგრაფი კი მანამდე არიგა, სანამ მარჯვენა ხელმა ლამის მარჯვენავე ფეხის ბედი არ გაიზიარა.

ჰოო, დასწყევლოს ღმერთმა ეს 9 მარტი და ის ამხანაგური მატჩი დანიურ „სილკებორგთან" — ალბათ ხშირად იმეორებს „ახალი ვან ბასტენი". მაშინ მიღებული ტრავმა დღემდე ხეირიანად ვერ მოურჩენია, „იუნაიტედის" შეფი მარტინ ედუარდსი კი ის კაცი არაა, ფეხმტკივან კაცთან კონტრაქტი გააფორმოს. თითქოს სამშაბათს ყველაფერი უნდა გარკვეულიყო და ვან ნისტელროის პირად კონტრაქტზე მოაწერა ხელი, მაგრამ საზეიმო ცერემონიის ნაცვლად ჟურნალისტებმა კლუბის ფინანსური დირექტორი დევიდ ჯილი იხილეს: „დამიჯერეთ, თავად ერთი სული გვაქვს, როდის გახდება რუუდი ჩვენი გუნდის სრულუფლებიანი წევრი, მაგრამ ჯერჯერობით კონტრაქტის გაფორმება გადაიდო. დრო გვჭირდება, რათა მისი ნატკენი მუხლი საფუძვლიანად გამოვიკვლიოთ. დღემდე ძირითადად სწორედ იმ მუხლის ამბავს ვიკვლევდით, ამიტომ სხვა სამედიცინო შემოწმებათა შეჯერება ვერ მოესწრო. კაცი, ვისაც მომავალ სეზონში სულ მცირე 50 თამაში აქვს ჩასატარებელი, დამეთანხმებით, სრულ მზადყოფნაში უნდა იყოს. ვფიქრობ, პარასკევისთვის ყველაფერი გაირკვევა".

გუშინ [illegible] მანჩესტერში „ეინდჰოვენის" ექიმი ვან დერ ჰუგენბანდიც ჩაფრინდა. სწორედ მან გაუკეთა ოპერაცია ვან ნისტელროის და მტკივანი


REUTERS მანჩესტერიდან

საუცხოოა, საუცხოო! რუუდ ვან ნისტელროი „ოლდ ტრეფორდის" საპატიო სტუმართა ლოჟაში

მუხლის ამბავიც ყველაზე უკეთ მოეხსენება: „ველოდით, რომ გარკვეული პრობლემები შეიქმნებოდა, თუმცა გარწმუნებთ — აღდგენის პროცესი ნავარაუდევს შეესაბამება".

არადა, როგორც ამბობენ, ფერგიუსონის მომავალ გეგმებში ვან ნისტელროის ცენტრალური ადგილი უკავია, თუმცა თავად სქოთი მწვრთნელი ამბობს: „გარანტიას ვერავის მივცემ. შეხედეთ, კიდევ ოთხი რა დონის თავდამსხმელი მყავს. ეს თავად რუუდსაც ვუთხარი, თუმცა არ შეშინებულა და მითხრა — ასეა ყველა დიდ კლუბში და მეც კონკურენციისთვის მზად ვარო. ისე, მე არცერთი თავდამსხმელის გაყიდვას არ ვაპირებ".

მარტინ ედუარდსი კი აპირებს. მართალია, ფერგიუსონისგან განსხვავებით, ის რაინდის ტიტულს სულაც არ ფლობს, სამაგიეროდ, იმის მფლობელია, რასაც „მანჩესტერ იუნაიტედი" ჰქვია. ამიტომ მისი სიტყვაა კანონი. ოთხშაბათს მან სერ ალექსს დაავალა ამოირჩიოს ერთი თავდამსხმელი, რომელსაც კლუბი გაყიდის და გამოასწორებს ოდნავ დარღვეულ ბალანსს. თან, არ დაგავიწყდეთ, ფერგიუსონს სოლ კემპბელის ყიდვაც განუზრახავს, „ტოტენჰემის" მცველი კი ჰოლანდიელ თავდამსხმელზე ბევრად ნაკლები არ ღირს. გუშინვე „ტოტენჰემის" ნორვეგიელმა თავდამსხმელმა შტეფან ივერსენმა ოსლოში განაცხადა, რომ მისი კლუბი დაინტერესებულია ოლე გუნარ სოლსკიაერის შეძენით. შეგახსენებთ, რომ ლონდონური [illegible]უბი შარშანაც ცდილობდა „სოლშას" გადაბირებას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა — ტრანსფერი „მანჩესტერმაც" [illegible]უარა და თვით ნორვეგიელმაც, რომლის მეუღლეც მანჩესტერის უნივერსიტეტის სტუდენტია.

ერთი სიტყვით, რა და როგორ, პარასკევს გეცოდინებათო, დაგვპირდნენ. ამასობაში ბუქმეიკერულმა „უილიამ ჰილმა", სამშაბათ დილით ვან ნისტელროის მომავალი სეზონის საუკეთესო ბომბარდირად რომ მიიჩნევდა, გუშინ მასზე ფსონების მიღება დროებით შეწყვიტა...

**გიგა ძოგახიძე**

## საქველმოქმედო ამხანაგური მატჩი

### ბოსნია 0:1 ფიფა

0:1 ბაჯო (83პ)

ბოსნია: ომეროვიჩი (გუსო 10, ბაჩირევიჩი 46), დური (კლაიჩი 46), კაპეტანოვიჩი (პიბიჩი 46), ბარბარესი (მუიჩინი 46), ვარესანოვიჩი, მუჯოროვიჩი, ბოლიჩი (კოდრო 46), სალიჰამიჯიჩი (აკრაპოვიჩი 46), ტოპიჩი (იტჯიარევიჩი 46), ბაჟდარევიჩი (სკორო 10, ულიევი 46), გლავაში (სილიჩი 10, საბიჩი 46)

ფიფა: ლამა (შორუნმუ 46), კლაუდიო სუარესი, ი. ჰოსანი (მაჰდავიკია 68), ალოიზიო ალვეში (სესარი 68), ვერლაატი (პელე 68), დუნგა, მ. ჰაჯი (სუმაოჟენი 46), რ. ბაჯო, დაეი (ა. კამარა 46), ნჯანკა (მ. ჰაჯი 80), ონოპკო (ვესტი 46)

25 000 მაყურებელი

ამ საქველმოქმედო მატჩს მყვირალა სახელი კი ჰქონდა: „ფეხბურთი მშვიდობისთვის" და 25 ათასი მაყურებელიც დაესწრო, მაგრამ სანახაობრივად ისეთი იყო, კაცს ჩაეძინებოდა. გოლიც ერთადერთი გავიდა — განელ ვეტერან აბედი პელეს მოცელვისთვის დანიშნული პენალტი რობერტო ბაჯომ გაიტანა. მეტი მომენტი ფიფას რჩეულთ არც შეუქმნიათ. ბოსნიელებმაც მხოლოდ ერთხელ გამოიდეს თავი, როდესაც რეალელი ელვირ ბალიჩის თავით დარტყმული ბურთი ხარიხას მოხვდა.

მთლიანად მატჩის მსვლელობისას 20 შეცვლა განხორციელდა. შემოსული ფულის ნაწილი კი სარაევოს ობოლთა თავშესაფარს გადაეცა, რომელიც ფეხბურთელებმა შეხვედრის დაწყებამდე მოინახულეს.


REUTERS სარაევოდან

ფიფას ნაკრებს ბრაზილიელი დუნგა (№6) კაპიტნობდა

## ფეხბურთის რუკასთან



**ჩეხეთის** ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იოჟეფ ჰოვანეცმა მიმდინარე კონტრაქტი გაახანგრძლივა. იგი გუნდს 2002 წლამდე უხელმძღვანელებს. წარმოშობით სლოვაკმა სპეციალისტმა ჩეხეთის ნაკრები 1998 წელს ჩაიბარა. მან დუშან უგრინი შეცვალა. 40 წლის ჰოვანეცის ხელმძღვანელობით ჩეხებმა 24 თამაშიდან 18 მოიგეს, ხოლო 3 ფრედ დაასრულეს. 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალისტებმა ევრო 2000-ის შესარჩევ ციკლში ფრანგების 8 წლის წინანდელი რეკორდი გაიმეორეს, ყველა მატჩი მოიგეს.

**რუსეთის ჩემპიონატი სულ ახლახან დაიწყო, სანკტ პეტერბურგის „ზენიტმა" კი მთავარი მწვრთნელი უკვე გაათავისუფლა. 46 წლის ანატოლი დავიდოვმა გუნდი 1998 წელს ანატოლი ბიშოვეცისგან ჩაიბარა. შარშან გუნდს რუსეთის თასი მოაგებინა, ხოლო ჩემპიონატში მერვე ადგილზე გაიყვანა. წლეულს „ზენიტმა" სეზონი არც თუ სახარბიელოდ დაიწყო და 6 ქულით მეათე ადგილზეა. „ვთვლი, რომ გუნდს ამჟამად ახალი ხელმძღვანელი სჭირდება" — განაცხადა დავიდოვმა. „ზენიტს" დამხმარე მწვრთნელი იური მოროზოვი უთავკაცებს.**

**ესპანეთის** ჩემპიონმა „ბარსელონამ" ქვეყნის თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩში თამაშზე უარი განაცხადა, წაგება ჩაეთვალა და ასპარეზობას გამოეთიშა. მომდევნო ეტაპზე მადრიდის „ატლეტიკო" გავიდა.. ადრეც გაუწყეთ, რომ კატალონიურ კლუბში მოასპარეზე ფეხბურთელთა უმეტესობა სანაკრებო შეკრებაზე გამოიძახეს და „ბარსელონას" მწვრთნელ ლუის ვან გაალს შემადგენლობის პრობლემა გაუჩნდა. არ არის გამორიცხული, კლუბს სხვა სანქციებიც დააკისრონ, რაზეც ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციას უნდა ემსჯელა, მაგრამ სხდომა რამდენიმე დღით გადაიდო.

**ფრანგი მსოფლიოს ჩემპიონი ფრანკ ლებეფი მომავალ სეზონში შესაძლოა სამშობლოში დაბრუნდეს და „ლიონში" ჩაირიცხოს. ინგლისური სააგენტოების ცნობით, ფრანგული კლუბი „ჩელსის" 4,5 მილიონ გირვანქას სთავაზობს. არ არის გამორიცხული, „ლიონმა" გაისად ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზოს და რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელის შეძენას გეგმავს. ლონდონური კლუბის კიდევ ერთ წამყვან მცველს, მარსელ დესაის „ლაციომ" დაადგა თვალი და სეზონის ბოლოს იქნებ გადაიბიროს კიდეც, თუმც ჯერჯერობით არც რომაულ და არც ლონდონურ კლუბებს ტრანსფერზე ოფიციალურად არაფერი უთქვამთ. შესაძლოა, „ჩელსის" კიდევ ერთმა ფრანგმა ლეგიონერმა, დიდიე დეშამპმა სამშობლოს მიაშუროს და თავის ყოფილ კლუბ მარსელის „ოლიმპიკს" დაუბრუნდეს.**

**იტალიური** „ფიორენტინას" პორტუგალიელ ლეგიონერ მანუელ რუი კოშტას ერთბაშად რამდენიმე წამყვანი ევროპული კლუბი აკვირდება. ფლორენციული პრესა ყველაზე ხშირად „მილანს", მადრიდის „რეალს", „მანჩესტერ იუნაიტედს" და „პარმას" მოიხსენიებს, თუმცა მათ შორის ფავორიტად პარმულ კლუბს მიიჩნევს. თუ „პარმამ" რუი კოშტა შეიძინა, არ არის გამორიცხული, დინო ბაჯო გაუშვას, რომელსაც ლონდონის „ჩელსი" იწვევს. „ფიორენტინას" კიდევ ერთ წამყვან მოთამაშეს, მორენო ტორიჩელის კი იტალიის ჩემპიონი „მილანი" ეპატიჟება. თუმცა შეთანხმების ოფიციალური მხარე ჯერჯერობით უცნობია. იუწყებიან, თითქოს „პარმას" სეზონის ბოლოს არიელ ორტეგა დატოვებს და „ბოკა ხუნიორსში" გადაბარგდება. პარმულ კლუბს კი ვალენსიელი ხავიერ ფარინოსისთვის დაუდგამს თვალი და იქნებ გადაიბიროს კიდეც.

**რუმინელმა ფორვარდმა ადრიან მუტუმ უარყო მოსაზრება, თითქოს „ინტერის" დატოვებას აპირებდეს. ინგლისური სააგენტოები ადრე იუწყებოდნენ, ახალგაზრდა პერსპექტიულ ფეხბურთელს ლონდონის „ჩელსი" იწვევსო, თუმცა თავად მუტუმ განაცხადა: „როცა იტალიაში ჩამოვედი, მჯეროდა, წარმატებას მივაღწევდი. ყველაფერს ვიღონებ ამისათვის. აპენინებიდან ჯერჯერობით არსად ვაპირებ წასვლას, თუმცა არაფერს გამოვრიცხავ. წინ დიდი დროა, ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს".**

**თურქულ** „ფენერბაჰჩეს" „მიუნხენ 1860"-ის ნახევარმცველის ჰარალდ ჩერნის გადაბირება სურს და უახლოეს მომავალში ალბათ საწადელსაც მიაღწევს. ავსტრიელი ფეხბურთელის აგენტი თურქული კლუბის ხელმძღვანელობას შეხვდა და მათმა შეთავაზებულმა პირობებმა დააკმაყოფილა. „ფენერბაჰჩეს" მწვრთნელ სელიმ სოიდანის თქმით, ჩერნი ჩინებული ფეხბურთელია.

**ესპანელ ნახევარმცველ ხოსება ეჩებერიას ბილბაოს „ატლეტიკო" უახლოეს მომავალში ალბათ ახალ კონტრაქტს გაუფორმდეს. „ატლეტიკზე" კარგი პირობები ჯერჯერობით არავის შემოუთავაზებია" — აცხადებს ეჩებერია. ესპანურმა პრესამ გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს ფეხბურთელს „ბარსელონა" იწვევდა, თუმცა ბასკური კლუბის პრეზიდენტ ხოსე მარია არატეს თქმით, ეჩებერიას გაყიდვას ჯერჯერობით არ აპირებს. კატალონიური კლუბი კი სეზონის ბოლოს, შესაძლოა პორტუგალიელმა სიმაო საბროსამ დატოვოს, რომელსაც რამდენიმე ევროპული კლუბი ეპატიჟება, თუმცა „ბარსელონას" ხელმძღვანელობას ჯერჯერობით არაფერი განუცხადებია.**

**იტალიელ** ფორვარდ ფილიპო ინძაგის ერთბაშად რამდენიმე აპენინური გრანდი ეპატიჟება. „რომამ", „მილანმა" და „ინტერმა" პიპოს შეძენის სურვილი გამოთქვეს. ტურინული კლუბი კი ამტკიცებს, რომ მომავალ სეზონში ძირითადი ფეხბურთელების შენარჩუნება სურს და ინძაგის გაყიდვას არ აპირებს. იტალიური პრესის ცნობით, „რომამ" „იუვენტუსს" ფილიპოს სანაცვლოდ დამიანო ტომაზი და დამატებითი თანხა შესთავაზა, თუმც ტურინელთა პასუხი ჯერჯერობით უცნობია. იმასაც ამბობენ, „იუვენტუსი" „ბარსელონას" ფორვარდ პატრიკ კლუივერტს და „სარაგოსას" თავდამსხმელ სავო მილოშევიჩს აკვირდება და შესაძლოა სეზონის ბოლოს გადაიბიროსო.

**ფრანგი რობერ პირესი აცხადებს, რომ მას „არსენალის" ხელმძღვა[illegible]ობა შეეხმიანა და ლონდონში მიიწვია, თუმც ფეხბურთელმა აღნიშნა, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირამდე არაფერს გადაწყვეტს. „ლონდონიდან" მართლაც დამირეკეს, ჩემი აგენტი მარწმუნებს, რომ არსენ ვენგერი თავის კლუბში მეპატიჟება. ჯერჯერობით არაფერი ვიცი. მარსელის „ოლიმპიკის" ხელმძღვანელობას სურს, რომ გუნდში დავრჩე, მაგრამ დაზუსტებით ვერაფერს ვპასუხობ. ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, ალბათ, საბოლოოდ მოვიფიქრებ, თუ სად წავიდე" — თქვა პირესმა.**

# რას ეწოდება ხულიგნობა?

პოლიციური ქრონიკის თანახმად გუშინ, ჰოლანდიის საპორტო ქალაქ იმუიდემში „რასისტული ქცევის“ გამო ორი შოტლანდიელი გულშემატკივარი დააპატიმრეს. დაპატიმრებულნი ნიუკასლიდან იმუიდენს დილით, ქომაგთა დიდ ჯგუფთან ერთად ჩასულან. უფროსს, რომელიც 53 წლის გახლავთ და რომლის სახელსაც არ იტყობინებიან, სახეზე ადოლფ ჰიტლერის რეზინის ნიღაბი აუფარებია და 29 წლის მეგობრათან ერთად რასისტული მისალმებებით შეუქცევია თავი.

როგორც მოგახსენეთ, ეს ორი უწყინარი შოტლანდიელი ჰოლანდიის პოლიციამ დაიჭირა და უკან, სამშობლოში გააგზავნა. გაგზავნამდე ხულიგნებს — შეადარეთ ეს ინციდენტი 6 აპრილს, სტამბოლში, „გალათასარაი“ — „ლიდსის“ მატჩის წინ მომხდარ მკვლელობებს — იმუიდენის ბიუჯეტის 400-400 გულდენით შევსება მოუხდათ. 400 გულდენი დაახლოებით 167 დოლარია.

ერთი დღის წინ, სამშაბათს, იმავე ქალაქში კიდევ ოთხი სქოთი ფანი დააკავეს. ისინი თურმე ერთობ თავაშვებულად იქცეოდნენ ბორანზე, რომლითაც ბრიტანეთიდან ნიდერლანდებს მიემგზავრებოდნენ.

როგორც იცით, წუხელ, არნემში ევროპის პირველობის ერთ-ერთი მასპინძელი და შოტლანდიის ეროვნული გუნდი, რომელიც შეჯიბრებას ინგლისთან წაგებულ შესარჩევ პლეი-ოფში გამოეთიშა, ერთმანეთს ამხანაგურ შეხვედრაში დაუპირისპირდნენ.

# ევრო 2000-ის მონეტა

საფეხბურთო ევროპა კონტინენტის პირველობის მოლოდინშია. ორგანიზატორი, გულშემატკივარი თუ ფეხბურთელი, ყველა თავისებურად ეგებება ტურნირს, რომელიც 10 ივნისს დაიწყება და 2 ივლისს ოთხწლეულის საუკეთესო ევროპულ გუნდს გამოავლენს.

თითქმის სამკვირიანი დღესასწაულისთვის მასპინძლები, ბელგია-ჰოლანდია, გამალებით ემზადებიან და სხვადასხვა ღონისძიებას მართავენ.

ჰოლანდიელები ევროპის ჩემპიონატს ახალ ხუთგულდენიან მონეტას მიუძღვნიან, რომელსაც ბრინჯაოსა და ნიკელისგან ჩამოასხამენ. მის ცალ მხარეს ნიდერლანდების დედოფალ ბიატრისს გამოსახავენ, თან მონარქის ხელმოწერით დაამშვენებენ.

2,5 მილიონი მონეტა კანონიერ ფულად ერთეულად 4 მაისს გამოცხადდება.

ვის ერგება პატივი ფეხბურთისადმი მიძღვნილი ჰოლანდიური გულდენის პრეზენტაციისა, თუ არა იოჰან კრუიფს?

მფრინავი ჰოლანდიელი ახალ მონეტას პირველი ჩაუშვებს ბრუნვაში.

# მდიდრები და უფრო მდიდრები

ჟურნალ „ფრანს ფუტბოლმა“ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელების ჯიბეებში ჩახედვა არ დაიზარა და შემოსავლები დაუთვალა. როგორც აღმოჩნდა, ყველაზე მდიდრები იტალიის სერია A-ში თამაშობენ. მათგან უმდიდრესი კი იუვენტუსელი ალესანდრო დელ პიერო გახლავთ. ტურინული კლუბი მას ხელფასის სახით წელიწადში 5,6 მილიონ დოლარს უხდის. ამას პრემიები და რეკლამით მიღებული თანხა დავუმატოთ და ჯამში 11 მილიონს მივიღებთ.

მეორე რონალდოა. ვერგამოჯანმრთელებული ბრაზილიელი წელიწადში 9,2 მილიონ დოლარს შოულობს. რონალდოს სულ რაღაც 2,7 მილიონით ჩამორჩება კიდევ ერთი ინტერელი, ასევე ტრავმამოუშუშებელი კრისტიან ვიერი.

სხვა ქვეყნებში მოთამაშეებიდან კი დევიდ ბექემს შეუძლია იამაყოს — თავხოტორა ვარსკვლავი 6 მილიონს გამოიმუშავებს.

# ადრევე უნდა ეფიქრათ

სეზონი იწურება, ევროპული ფეხბურთის გრანდებს კი თავსატეხი ემატებათ. მიუნხენის „ბაიერნის“ ამბავიც ასეა. ბუნდესლიგაო, გერმანიის თასის ფინალიო, ჩემპიონთა თასის ნახევარფინალიო — რამდენად უნდა გაიჭრას გუნდი? მიუნხენელთა პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი არჩევანის წინაშე დგას: რომელ ტურნირს მიანიჭოს უპირატესობა და შეალიოს მთელი ენერგია. ჩემპიონთა ლიგის წინა ფინალი გავიხსენოთ. რა გასაკვირია, თუ ბაიერნელებს ევროპის თასის მოგების დაუოკებელი სურვილი არ ასვენებთ. მით უმეტეს, „მანჩესტერის“ აღარ ეშინიათ.

მათ კალენდარსაც გადავხედოთ. 3 მაისს „ბაიერნს“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „რეალთან“ ელის შეხვედრა. საპასუხო მატჩი კი 9 მაისსაა დანიშნული. ცხადია, მადრიდელები ამჯერად იოლად არ დანებდებიან და ოტმარ ჰიცფელდის ბიჭებს ბლომად ოფლის ღვრა მოუწევთ. მაგრამ 6 მაისს რომ გერმანიის თასის ფინალია?

კლუბის კომერციული დირექტორი ული ჰიონესი ამბობს: „ჩვენი ფეხბურთელები რობოტები როდი არიან. კაცს ერთ კვირაში სამი უპრინციპულესი მატჩის გამართვა მოსთხოვო, დესპოტიზმია. ამიტომაც თასის ფინალში „ვერდერის“ წინააღმდეგ მეორე შემადგენლობის გაყვანას ვაპირებთ. უბრალოდ საოცარია, რატომ დანიშნა გერმანიის საფეხბურთო კავშირმა ფინალი ამ დღეს“.

საფეხბურთო კავშირის ჩინოვნიკები კი პასუხად მხრებს იჩეჩენ და ამბობენ: „ფინალის გამართვის თარიღი ყველა კლუბთან, მათ შორის „ბაიერნთანაც“, ადრევე შევათანხმეთ. ახლა რაღა უნდათ?“

## თურქეთი ევრო 2000-ზე

თურქეთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა მუსტაფა დენიზლიმ დაასახელა ის 22 ფეხბურთელი, რომლებიც სავარაუდოდ ზაფხულში ბელგია-ჰოლანდიაში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე ქვეყნის ეროვნული ნაკრების ღირსებას დაიცავენ.

*გუნდის ძირითად ბირთვს უეფას თასის ფინალისტის, სტამბოლის „გალათასარაის“ ფეხბურთელები შეადგენენ. მუსტაფა დენიზლიმ გუნდში მიიწვია ინგლისში, „ლესტერ სიტიში“ მოთამაშე მუსტაფა (მაზი) იზეტი, სამაგიეროდ, გუნდს გამოაკლდნენ მეკარეები — რუშთუ რეჩბერი და ენგინ იპეკოღლუ.*

*ჯერჯერობით კი მუსტაფა დენიზლის რჩეულნი ესენი არიან:*

*მეკარეები: ფევზი თუნქაი (ბეშიქთაში), ომერ კართიქი (გაზიანთეფსფორი);*

*მცველები: ფათიჰ აკიელი, ბიულენთ კორკმაზი, ჰაქან უნსალი (ყველა გალათასარაი), ალფაი ოზალანი, ოგიუნ თემიზქანოღლუ (ორივე ფენერბაჰჩე), მერთ კორკმაზი (გაზიანთეფსფორი), მურატ ოზათაქი (კონია ენდუსტრისფორი);*

*ნახევარმცველები: ოკან ბურუქი, ემრე ბელოზოღლუ, სუათ კაია, სერგენ იალჩინი, ერგუნ პენბე (ყველა გალათასარაი), ტაიფურ ჰავუტჩუ, აიან აქმანი (ორივე ბეშიქთაში), ტაიფუნ კორკუტი, აბდულა ერქანი (ორივე ფენერბაჰჩე), უმით ბოზკურტი (დენიზლისფორი), ალი აკდენიზი (სამსუნსფორი), მაზი იზეტი (ლესტერ სიტი, ინგლისი);*

*თავდამსხმელები: ჰაქან შუქური, არიფ ერდემი (ორივე გალათასარაი), აჰმეთ დურსუნი, ნიჰატ კაჟეკი (ორივე ბეშიქთაში), ოქთაი დერელიოღლუ (გაზიანთეფსფორი)*

## სამხრეთ ამერიკა

# კრიმინალური საკითხავი

## ამდენი დანაშაული ტარანტინოს ფილმებშიც არ ხდება

ცხადია, მედელინში

კოლუმბიაში უცნობმა პირებმა ფეხბურთელი გაიტაცეს. ამ ამბავს ჩვენ მივიჩნევთ აღნიშვნის ღირსად, თორემ ნარკობარონთა სამშობლოში ეს სრულიად ჩვეულებრივი ამბავია. სტატისტიკა გვამცნობს — კოლუმბიაში ყოველწლიურად სამი ათასი ადამიანი უგზოუკვლოდ უჩინარდება.

გატაცებული 33 წლის ანდრეს ესტრადა გახლავთ. ის ქვეყნის ჩემპიონ „ატლეტიკო ნასიონალის“ ნახევარმცველი და კოლუმბიური ფეხბურთის ვარსკვლავია. საქმის დეტალები კი ასეთია: ანდრეს ესტრადა ქალაქგარეთ იყო და შინ ბრუნდებოდა. მანქანაში მისი ათი წლის შვილიც იმყოფებოდა. როგორც კი ქალაქს მიუახლოვდა, ესტრადა ექვსმა შეიარაღებულმა პირმა გააჩერა, მათგან ოთხი ქალი იყო. დამხდურებმა შეშინებული ბავშვი გაუშვეს, ფეხბურთელი კი გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. პოლიციის ვარაუდით, გამტაცებლები იმ დაჯგუფების წევრები არიან, რომელიც თავს ეროვნულ-განმანთავისუფლებელ არმიას უწოდებს. ამგვარი მეთოდებით ეს ორგანიზაცია ვითომ მთავრობას ებრძვის, სინამდვილეში კი გამოსასყიდის თანხით გვარიანად ითბობს ხელს.

ჯერჯერობით პოლიციის ვარაუდი ვარაუდადვე რჩება, ესტრადას ოჯახს გამოსასყიდის თაობაზე არავინ დაკავშირებია. ეს დანაშაული კი კოლუმბიის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ მედელინში მოხდა. სწორედ იმ მედელინში, სადაც 1994 წელს ანდრეს ესკობარი მოკლეს.

### ფეხბურთელზე დაგეშილი ძაღლი

მავანმა არგენტინელმა გულშემატკივარმა კინოლოგიაში გადატრიალება მოახდინა. აქამდე ვიცოდით, რომ ძაღლი მონადირეს ეხმარებოდა, სახლს დარაჯობდა, ალპებში გაყინულ ტურისტებს, ხოლო ჩემოდნებში ნარკოტიკებს ეძებდა. ამ არგენტინელმა კი ოთხფეხა მეგობარი ფეხბურთელებზე დაგეშა.

ასე მოხდა: არგენტინის მესამე დივიზიონის გუნდები — „კომუნიკასიონესი“ და „ეხკურსიონესი“ თამაშობდნენ. მატჩის მსვლელობით უკმაყოფილო ქომაგები მინდორზე შეიჭრნენ და ფეხბურთელებზე საცემად გაიწიეს. ჩვენი „გმირი“ კი მშვიდად იდგა (ანკი გაქცეულ ფეხბურთელს როგორ დაეწეოდა) და კომუნიკასიონისელი ადრიან ბარიონუევო რომ დალანდა, ძაღლი მიუქსია. დაკბენილმა ბარიონუევომ თამაშის გაგრძელება შეძლო (რომელიც რის ვაი-ვაგლახით დასრულდა) და გოლიც გაიტანა, ხოლო მოყვარულ კინოლოგს ძაღლის ახალი ჯიშის გამოყვანისთვის, საეჭვოა, ჯილდო მისცენ.

ამ ამბის წაკითხვისას იქნებ გაგვეღიმოს კიდეც, მაგრამ ფეხბურთელთა წინააღმდეგ ძალადობის ფაქტები უკვე საგანგაშო ხდება. არგენტინის ფეხბურთელთა კავშირის გენერალური მდივანი სერხიო მარჩი ამბობს: „შექმნილ სიტუაციაში ერთადერთი გამოსავალიღა გვრჩება — პროტესტის ნიშნად თამაშზე უარი ვთქვათ. თუმცა ცხადია, რომ ამ აქციით პრობლემა არ მოგვარდება, ხელისუფალთა აქტიური ჩარევაა საჭირო“.

არგენტინელმა ფეხბურთელებმა შარშან უკვე მიმართეს პროტესტის ამ ფორმას. თითქოს ბედის ირონიააო, მაშინ ისინი სასამართლოს იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ, რომლის თანახმადაც არეულობების გამო დაბალი დივიზიონების მატჩები გადაიდო.

### მართლაც დერბი იყო

მოგეხსენებათ, დერბიში დაუძინებელი მტრები ხვდებიან ერთმანეთს და დიდი ბრძოლა იმართება ხოლმე, თუმცა, სამწუხაროდ, ზოგიერთები ბრძოლას პირდაპირი მნიშვნელობით იგებენ. კარიოკას (რიო დე ჟანეიროს შტატის ჩემპიონატი) ბოლო ტურში „ვასკუ და გამა“ და „ფლამენგო“ წარდგნენ ერთმანეთს პირისპირ. [illegible] ლობისას ჯერ ფლა[illegible] იშ ალბერტომ და ვასკუელმა ვიოლამ გამართეს მუშტი-კრივი, შემდეგ ბეტომ და ოდვანმა ვერ გაიყვეს რაღაც, ბოლოს კი ფაბიო ბაიანომ და ალექს ოლივეირამ ჩაწიხლეს ერთმანეთი. მსაჯი გულშემატკივართა რისხვას არ შეუშინდა და ექვსივე ფეხბურთელი მინდვრიდან მიაბრძანა. უწესრიგობები ამით არ დასრულებულა. მაგალითს დიდი ძალა აქვსო, ნათქვამია და სტადიონიდან მიმავალ „ფლამენგოს“ გულშემატკივართა ავტობუსს „ვასკუს“ ქომაგებმა ცეცხლი გაუხსნეს — ორი ადამიანი დაიჭრა და საავადმყოფოში მოხვდა.

მადლობა ღმერთს, არავინ დაღუპულა. არადა, ერთი კვირის წინ „სან პაულუს“ ქომაგებმა „კორინთიანსის“ მაისურიანი 18 წლის ყმაწვილი ზურგში გასროლით გამოასალმეს სიცოცხლეს.

### არაკრიმინალური ამბავი

კვლავ „ვასკუ და გამა“ — „ფლამენგოს“ მატჩს მივუბრუნდეთ. როგორც ზემოთ ვთქვით, ეს კარიოკას ბოლო ტურის შეხვედრა იყო. „ვასკუ“ მეორეადგილოსან „ფლამენგოს“ ხუთი ქულით უსწრებდა და ჩემპიონობა თითქოს განაღდებული ჰქონდა, მაგრამ მხოლოდ თითქოს. საქმე ის გახლავთ, რომ იქამდე „ფლამენგოსა“ და „კაბო ფრიოს“ მატჩში, რომელიც ფრედ დასრულდა, კაბოელებმა განუცხადებელი ფეხბურთელი ათამაშეს. ფლამენგოელები სასამართლოს გადაწყვეტილებას ელოდნენ, რომელსაც მათთვის გამარჯვება და ორი დამატებითი ქულა უნდა ჩაეთვალა. ამ შემთხვევაში „ფლამენგოს“ ჩემპიონობის შანსი უჩნდებოდა. თუმცა სასამართლოს (ბრაზილიაში ყოველგვარი საფეხბურთო დავა სწორედ ამ დაწესებულებაში ირჩევა) ჯერაც მიუღებელი ვერდიქტი უკვე ვეღარაფერს შეცვლის — „ვასკუმ“ 5:1 მოიგო და პირველობა იზეიმა. გამწარდა „ფლამენგოს“ პრეზიდენტი ედმუნდო სანტუშ სილვა — წაგება წაგებად და მის გუნდს რომარიომ ჰეთ თრიქი შეუსრულა. ეს ის რომარიოა, ამ ექვსიოდე თვის წინ თავად სილვამ რომ გააძევა კლუბიდან.

ეს რა კაცი გავუშვიო, გაიფიქრა პრეზიდენტმა, მაგრამ საკუთარ თავს ხომ არ დასჯიდა? დამნაშავეც უცებ მოიძებნა — მწვრთნელი პაოლუ სესარ კარპეჯანი. პარაგვაის ნაკრების ყოფილი თავკაცი სამსახურიდან დაითხოვეს, მან მხოლოდ ცხრამეტჯერ მოასწრო „ფლამენგოს“ მოედანზე გაყვანა.

**გიორგი დარჯანია**



ბობოქარი კარნავალი ტრიბუნებზე — „ვასკუ და გამა“ თამაშობს




გადავა ბატიგოლი „ინტერში"?

# ინტერნაციონალური ამბები

სეზონის დასაწყისში მილანის „ინტერი" არნახულად გაძლიერდა., გუნდიც გამოცდილმა მარჩელო ლიპიმ ჩაიბარა.

ბევრს ეგონა, რომ „ინტერი" წლეულს სკუდეტოს ხელიდან არ გაუშვებდა და „მილან" — „იუვენტუსის" ხანგრძლივ ბატონობას დაამხობდა.

სეზონი მიიწურა, მილანური გრანდი იტალიაში საუკეთესო ვერც წლეულს გახდა, მეტიც, პირველ ოთხეულში შესვლა და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაც კი უჭირს. ერთადერთ იმედად ქვეყნის თასის მოგება რჩება.

როცა „ინტერზე" ჩამოვარდება სიტყვა, ტრავმებიც უნდა ვახსენოთ. მილანელთა ახალშეძენილმა სუპერფორვარდმა კრისტიან ვიერიმ სეზონის უმეტესი ნაწილი სწორედ ტრავმის გამო გამოტოვა. იგივე ითქმის რონალდოზეც, რომელიც ჯერ კიდევ შარშან შემოდგომაზე დაშავდა, ცოტა ხნის წინ თითქოს მომჯობინდა, თამაში განაახლა, მაგრამ მოედანზე ექვსი წუთის შესული ისე დაშავდა, კარიერის გაგრძელებაც კი საეჭვო გაუხდა.

ისევ გაუჩნდა საფიქრალი „ინტერის" პრეზიდენტ მასიმო მორატის. ახალი თავდამსხმელები მილანურ გუნდში კვლავ აქტუალურ თემად იქცა.

ამ დღეებში „გაძეტა დელო სპორტი" იუწყებოდა, „ინტერმა" „ფიორენტინას" თავდამსხმელ გაბრიელ ბატისტუტას დაადგა თვალი და სეზონის ბოლოს გადაიბირებსო. გაზეთს სატრანსფერო თანხაც შეუტყვია, მილანელები ფლორენციელებს 17, 6 მილიონ დოლარს სთავაზობენო.

„ინტერისა" და „ფიორენტინას" შეთანხმების თაობაზე ჯერჯერობით სხვა არაფერი თქმულა, არც ის არის ცნობილი, შეელევა თუ არა „ფიორენტინას" პრეზიდენტი ვიტორიო ჩეკი გორი გუნდის ლიდერსა და ფლორენციელ ქომაგთა კერპ ბატისტუტას.

უფრო ადრე ხმები დაირხა, არგენტინელის ხელში ჩაგდებას ჩემპიონთა თასის მფლობელი „მანჩესტერ იუნაიტედი" ცდილობსო. მაგრამ „მანჩესტერში" რუუდ ვან ნისტელროის ჩარიცხვამ ეს ჭორი ნაწილობრივ გააქარწყლა.

და აი, გუშინ ამ ყოველივეს თაობაზე თავად 31 წლის არგენტინელმა სააგენტო „როიტერს" ეს განუცხადა: „ბოლო დროს, გაზეთია, ტელევიზორი თუ რადიო, ხშირად მესმის, თითქოსდა „ფიორენტინას" აუცილებლად დავტოვებ. მე კი ფლორენციაში თავს ჩინებულად ვგრძნობ და ვერ გამიგია, ვის სჭირდება ეს ჭორები. ისე კი, ცხადია, მსურს დანამდვილებით ვიცოდე, ვჭირდები „ფიორენტინას" თუ არა".

შესაძლო ცვლილებები „ინტერში" იტალიური მასმედიის სალაპარაკო თემად იქცა. ისინი სვამენ კითხვას, თუ ვინ შეინარჩუნებს ადგილს „ინტერში" და ცდილობენ, თავადვე უპასუხონ. მათი ღრმა რწმენით, რეკობა — სამორანო — ბაჯოს სამეულიდან სეზონის ბოლოს „ინტერს" რომელიმე დატოვებს. ალბათ, უფრო რობერტო ბაჯო. 33 წლის ფეხბურთელმა „ინტერის" სასტარტო შემადგენლობაში ადგილი თითქმის დაკარგა და არ არის გამორიცხული, მომავალი სეზონი რომელიმე სხვა კლუბში დაიწყოს. ბაჯოს თურმე „ნაპოლი" ეპატიჟება. 1990 წლის იტალიის ჩემპიონები გაისად შესაძლოა კვლავ დაუბრუნდნენ სერია A-ს და მაშინ, ალბათ, რამდენიმე ძლიერ ფეხბურთელსაც იყიდიან.

აქა-იქ იმასაც ამბობენ, ნეაპოლელებმა მილანელებს ბაჯოს სანაცვლოდ 3 მილიონი გირვანქა შესთავაზესო.

მილანელთა კიდევ ერთ ფორვარდ ივან სამორანოზე ყველაზე ნაკლებად საუბრობენ. დანამდვილებით არავინ იცის, აპირებს თუ არა სადმე გადასვლას ჩილელი თავდამსხმელი, თუმცა არჩევანიც ერთობ მწირი აქვს.

რაც შეეხება ალვარო რეკობას, მას არაერთი წამყანი კლუბი იწვევს, რომელთა შორის ყველაზე ხშირად „მანჩესტერ იუნაიტედს" მოიხსენიებენ. თუმცა თავად ურუგვაელმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, დარჩენილ ტურებში შეძლებისდაგვარად მეტი ქულა უნდა მოვიპოვოთ, რათა მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ვიასპარეზოთო.

„ინტერში" ტიტულების მოგება მსურს. ხელმძღვანელობასთან კი არავითარი პრობლემა არ მაქვს, მხოლოდ ზოგიერთი დეტალი უნდა დავაზუსტოთ და ამასაც მალე მოვაგვარებთ" — დასძინა რეკობამ.

**ნიკა ზუბლაძე**

# ნეკი ნეკისა, შერიგებისა...

ესეც ასე. სებასტიანო როსი, იტალიური „მილანის" ვეტერანი მეკარე, მწვრთნელ ალბერტო ძაკერონის შეურიგდა.

გუშინწინ კი მილანელოში, გუნდის საწვრთნელ ბაზაზე, ვარჯიშიც განაახლა.

— ბედნიერი ვარ, რომ კვლავაც მომეცა მშობლიურ გუნდში ვარჯიშისა და ალბათ სამომავლოდ თამაშის უფლება. ის 20 დღე ჩემთვის კოშმარული გახლდათ. ამ ხნის მანძილზე ჩემი მეგობრის, მაურო ტასოტის გუნდთან (მაურო ტასოტი, „მილანის" ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელია — გ.ვ.) კი ვვარჯიშობდი, მაგრამ გული მეთანაღრებოდა. არ ვიცოდი, რა მეკეთებინა, მე ხომ „მილანს" 11 წელია, ვემსახურები, რაც ცოტა დრო არ გახლავთ.

ჟურნალისტებს კი გთხოვთ, ჩემზე მეტს ნუღარ დაწერთ, რაც იყო, იყო, თუმცა ვთვლი, რომ ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანისთან და ალბერტო ძაკერონისთან სერიოზული უთანხმოება არც მქონია. მცირე შელაპარაკება მოგვივიდა.

მოხარული ვარ, რომ ძაკერონიმ მიხმო. ალბათ, ვჭირდები — განუცხადა 36 წლის როსიმ იტალიურ გაზეთ „ტუტოსპორტს".

რაც მოხდა მეკარესა და მწვრთნელს შორის, ალბათ გემახსოვრებათ. „იუვენტუსთან" 2:0 მოგების შემდეგ, როსი ძაკერონის შეედავა, რატომ არ მათამაშებო. მწვრთნელს მოკლედ უთქვამს — რა ვქნა, კრისტიან აბიატი ახლა ჩინებულ ფორმაშიაო.

თუმცა ისიც სათქმელია, რომ მწვრთნელის პასუხმა ვეტერან მეკარეს გული ატკინა. როსი აბიატიზე არ დაბოღმილა. ისინი მეგობრებად დარჩნენ.

— ჩემპიონატის დასასრულამდე სამი ტურია დარჩენილი, ყველა უნდა მოვიგოთ, რათა მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ვიასპარეზოთ. იქ კი „მილანს" დიდი მიზნები აქვს. პრეზიდენტმა სილვიო ბერლუსკონიმ განაცხადა, რადგან 2001 წლის ჩემპიონთა თასის ფინალი „სან სიროზე" ჩატარდება, ერთ-ერთი ფინალისტი ჩვენ უნდა ვიყოთო — დასძინა სებამ.

*„მილანში", მარჯვენა ფრთაზე დანიელი თომას ჰელვეგი თამაშობს. ის 29 წლის გახლავთ. 180 სანტიმეტრია და 81 კილოს იწონის. ოდენსეში დაბადებულ-გაზრდილს თავისი ქალაქის კლუბის გარდა იტალიურ „უდინეზეში" აქვს ძალა მოსინჯული, დანიის ნაკრებში კი მუდმივად იწვევენ. ქვემოთ, ჰელვეგი მთისას და ბარისას მოგვითხრობს.*

# ცნობისმოყვარე კაცი დიდ ქალაქში

**— თომას, თქვენ ფეხბურთელი ხართ და, ალბათ, ბევრს მოგზაურობთ. ხომ ვერ გაიხსენებდით საუკეთესო ტურნეს?**

— როგორ არა, ეს ჩემი თაფლობის თვე გახლდათ. მე და ჩემმა მეუღლემ, ნიკოლმა, ჯერ ნიუ იორკში დავისვენეთ, შემდეგ კი პოლინეზიაში გავემგზავრეთ.

**— რაკი ასეა, იქნებ იდეალურ საღამოზეც გვითხრათ ორიოდ სიტყვა?**

— მეგობრებთან დასვენება მიყვარს, თუმცა შინაც სიამოვნებით ვრჩები. ძალიან მიყვარს საღამოობით უახლოეს ადამიანებთან თამაში.

**— რას თამაშობთ?**

— სალონურ თამაშების. მე და ჩემმა მეგობრებმა თავად მოვიგონეთ ასეთი გართობა: ერთი ამბობს ტექსტს, მეორემ კი უნდა გამოიცნოს რომელი სიმღერიდანაა. მელოდიის არც წაღილინება შეიძლება და არც სხვანაირად მინიშნება.

**— კიდევ როგორ ისვენებთ?**

— კომპიუტერს ვუზივარ ან გოლფს ვთამაშობ. ყოველ შემთხვევაში, უქმად წამოწოლილი ვერ ვჩერდები. ინტერნეტით ყველაფერს ვკითხულობ. ძალიან მიყვარს იტალიური გოლფის საიტი, დანიურ გაზეთებს კი თავიდან ბოლომდე ვეცნობი. იცით, სამშობლოდან გაზეთი კი მაქვს გამოწერილი, მაგრამ, როგორც წესი, ოთხი დღის დაგვიანებით ჩამოდის და ამიტომაც ინტერნეტს ვუზივარ.

**— ბედნიერებაზე რა აზრისა ბრძანდებით?**

— ბედნიერებაა, როდესაც ადამიანებს ერთმანეთისადმი ნათელი, კარგი დამოკიდებულება აქვთ. მე თუ მკითხავთ, როდესაც ადამიანი თავს ბედნიერად გრძნობ, სხვებსაც უიოლებ ცხოვრებას.

**— მეგობარს რა თვისება უნდა ჰქონდეს?**

— მთავარია, როცა გჭირდება მაშინ დაგიდგეს გვერდით.

**— ქალს?**

— იგივე. კიდევ, პატიოსანი უნდა იყოს და მგრძნობიარე.

**— რომელ ისტორიულ პიროვნებად ისურვებდით ყოფნას?**

— მხოლოდ თომას ჰელვეგად.

**— რა ეპოქაში იცხოვრებდით?**

— პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. ეს ეპოქა ყოველთვის მაჯადოვებდა.

**— მილანში რომელი უბანი გიყვართ?**

— მართალი გითხრათ, ბევრს არ დავდივარ. ადრე, როდესაც უდინეში ვცხოვრობდი, ჩემი სახლიდან — ის კი ცენტრში იყო — მთელი ქალაქის მოვლა ხუთ წუთში შემეძლო. მილანში სან სიროდ წოდებულ უბანში ვცხოვრობ და აქედან მხოლოდ დაუმოზე გავდივარ (დაუმო მილანის ცენტრალური მოედანია, სადაც კათედრალური ტაძარი დგას). მართალი გითხრათ, დიდ ქალაქში პირველად ვცხოვრობ და მოვიხიბლე კიდეც.

**— მილანელთა თვისებებში რა გენიშნათ?**

— აქ სულ სხვა რიტმია ვიდრე დანიაში. თვალშისაცემი ხალხის თბილი ურთიერთდამოკიდებულებაც გახლავთ.

**— უარყოფით თვისებებზე რაღას გვეტყვით?**

— როდესაც რაღაცის გაკეთება დღესვე შეიძლება, რატომ უნდა გაკეთდეს ხვალ? ამ თვალსაზრისით დანიელები გაცილებით მოწესრიგებული ხალხი ვართ.

**— ზოგადად, ყველაზე მეტად რა გაღიზიანებთ?**

— ადამიანისადმი უპატივცემულობა და გაუნათლებლობა.

**— თქვენი კერპი სპორტში...**

— მეგოლფე ტაიგერ ვუდსი.

**— ყველა დროის საუკეთესო სპორტსმენი ვინ არის?**

— კარლ ლუისი.

**— მეტოქეთაგან ვინ მოახდინა განსაკუთრებული შთაბეჭდილება?**

— ჩემმა ახლანდელმა თანაგუნდელმა პაოლო მალდინიმ. „უდინეზეში" რომ ვთამაშობდი და „მილანს" ვხვდებოდით, მალდინისთან დაპირისპირების შემდეგ სულ ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, თითქოს მთელი მატჩის განმავლობაში საიდანაც სურდა, იქიდან მირბენდა წრეებს.

**— იტალიელ მსაჯებზეც გვითხარით თქვენი აზრი?**

— ფაქტია, რომ ისინი დანიელ მსაჯებს მნიშვნელოვნად აღემატებიან. ისიც ფაქტია, რომ მათი კლასი საშუალოევროპულზე მაღალია, მაგრამ ერთი რამ შევამჩნიე: როცა თავს დაჰყვირიან, უფრო მეტ შეცდომას უშვებენ. ვგონებ, ჩვენ, ფეხბურთელები მათ უნდა ვეხმარებოდეთ.

**— ხომ არ გაიხსენებდით ფილმებს, რომელთაც თქვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს?**

— „თამაში" მაიკლ დუგლასის მონაწილეობით და ბრუს უილისის „მეექვსე გრძნობა". ძალიან მიყვარს თრილერები, სადაც ბოლო წამამდე არ იცი რა მოხდება. არ მიყვარს, როდესაც იმთავითვე ხვდები ბოლოს რა იქნება. ახლა „ბლერელი ალქაჯის გეგმა" უნდა ვნახო.

**— მომღერლებსა და სიმღერებზე რაღას გვეტყვით?**

— ძალიან მიყვარს მადონა და მისი სიმღერა „მლოცველივით". კაცებიდან ბრაიან ადამსს ვცემ პატივს.

**— თქვენთვის ყველაზე სასიამოვნო ქათინაური რომელია?**

— როდესაც ვინმე მეტყვის, რომ კარგად ვითამაშე ან საქციელს მომიწონებს.

**— ათი წლის შემდეგ სად იქნებით?**

— არა მგონია მწვრთნელი გავხდე, თუმცა შესაძლოა ფეხბურთის სფეროში ვიტრიალო.

**— თქვენი კერპი ფეხბურთელები ვინ არიან?**

— ლოთარ მათეუსი და კევინ კიგანი.

**— თქვენი კარიერის უმნიშვნელოვანესი მატჩი რომელი იყო?**

— გასული სეზონის შეხვედრა „პერუჯა" — „მილანი". იმ დღეს სკუდეტო მოვიპოვე.

**— და ბოლოს, არის თამაში, რომელსაც თავიდან ჩაატარებდით?**

— არის. ეს გახლავთ სტამბოლში გამართული ჩემპიონთა ლიგის პირველი ეტაპის მატჩი „გალათასარაი" — „მილანი", რომელშიც 2:3 წავაგეთ. ის თამაში ასჯერ რომ გაგვამეორებინოთ, ასჯერვე მოვიგებთ.

**თარგმნა პაპუნა ძიდიამ**




თომას ჰელვეგი (მარცხნივ) ფრანჩესკო ტოტის წინააღმდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიდნეი 2000

Sydney 2000

## მირიან გიორგაძე: კარელინისაც არ მეშინია

*სიდნეის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს ოთხ თვეზე ცოტა მეტიღა გვაშორებს. თითქმის ყველა სალიცენზიო ტურნირი უკვე ჩამთავრებულია და სპორტსმენთა ის ძირითადი ბირთვიცაა გამოკვეთილი, რომელმაც სიდნეიში საქართველოს სახელი უნდა დაიცვას. სიდნეის ოლიმპიადაზე თუ ვინმესი გვეიმედება, მათ შორის ჩვენი ფალავნებიც არიან. ისინიც, ავად თუ კარგად, ემზადებიან, მოჭიდავეები გრძნობენ, რომ მათ სხვებზე მეტი პასუხისმგებლობა აკისრიათ და მათზე გაცემული ავანსების გამართლებას შეეცდებიან.*

*ჩვენი დღევანდელი რესპოდენტიც ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე მირიან გიორგაძე გახლავთ.*



— ჭიდაობის ანა-ბანა თერჯოლაში ვისწავლე — გვიამბობს მირიან გიორგაძე — სპორტი ძალიან მიყვარდა. არ ვიცი რატომ, მაგრამ ჭიდაობისადმი დიდ ინტერესს ვიჩენდი. ეს ბაბუაჩემმა შეამჩნია და უმალ ჭიდაობის სექციაში მიმიყვანა. ერთი თვის შემდეგ თბილისში ჩამოველი და ვარჯიში გლდანში, ოლიმპიური რეზერვების სკოლაში განვაგრძე. აი, ასე დაიწყო ჩემი სპორტული კარიერა.

**— ორიოდე კვირის წინ თქვენ ბაკურიანის შეკრებიდან დაბრუნდით...**

— ეს შეკრება ძალზე ნაყოფიერი და დროული გახლდათ. შეკრებით კმაყოფილი ვარ. ბაკურიანში სამი სპორტსმენი: მე, კობა გულიაშვილი და აკაკი ჩაჩუა ვიყავით და მწვრთნელი ვაჟა კრავეიშვილი გვავარჯიშებდა. ძირითადი ყურადღება ფიზიკურ მომზადებაზე გვქონდა გადატანილი, რადგანაც იგი წარმატების ერთ-ერთი მთავარი საწინდარია. საჭიდაო ხალიჩაზე ორ წუთში თუ ქოშინი აგიტყდა, მაშინ წასულია შენი საქმე.

ბაკურიანში წვრთნისა და დასვენებისთვის ნორმალური პირობები გვქონდა. ოლიმპიადამდე თუ კიდევ რამდენიმე მსგავს შეკრებას გაგვიხერხებენ, ეს უსათუოდ სასიკეთოდ წაგვადგება.

**— ვინ უზრუნველყო ფინანსურად თქვენი ბაკურიანული. შეკრება?**

— უპირველეს ყოვლისა ძალზე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გლდანის ოლიმპიური რეზერვების სკოლის ხელმძღვანელს ბატონ მერაბ მეტრეველს. ძირითადად მისი დამსახურებაა ამ შეკრების მოწყობა.

**— გავიგეთ, გიორგაძემ შეკრებაზე ტრავმა მიიღო და ევროპის ჩემპიონატიც იმიტომ გამოტოვაო.**

— ტრავმა მართლაც მაწუხებდა, მაგრამ აქ ბაკურიანი არაფერ შუაშია. პირიქით, იქ ფეხმტკივანი გავემგზავრე. საქმე ისაა, რომ წლეულს სამ სალიცენზიო ტურნირში დაშავებულმა ვიჭიდავე, რადგანაც ლიცენზია მოსაპოვებელი მქონდა. როცა მიზანს მივაღწიე, მწვრთნელებმაც ჩემი დასვენება გადაწყვიტეს.

**— მოსკოვში რომ გეასპარეზა, როგორ ფიქრობ, რას მიაღწევდი?**

— ყველამ მინდა იცოდეს, რომ მირიან გიორგაძე წასაგებად და უიმედოთ არც ერთ ტურნირზე არ მიემგზავრება. თუ ვგრძნობ, რომ ფორმაში არ ვარ, მაშინ შინ დარჩენა და ვარჯიში მირჩევნია.

რაც შეეხება ევროპის ჩემპიონატს, ვფიქრობ, რომ რუსეთის დედაქალაქში წარმატების მიღწევის კარგი შანსი მექნებოდა, მაგრამ როგორც გითხარით, ტრავმისა და ზედმეტი გართულებების თავიდან ასაცილებლად შინ დარჩენა ვამჯობინე.

**— სიდნეის ოლიმპიადამდე სულ უფრო და უფრო ცოტა დრო რჩება. როგორია თქვენი მომავალი მოსამზადებელი გეგმა. რაიმე ხელისშემშლელი ფაქტორები ხომ არა გაქვთ?**

— ყველაფერი რომ ისე არ არის, როგორც უნდა იყოს, ეს ალბათ, ყველასთვის ნათელია. იდეალური პირობებისგან ნამდვილად შორს ვართ, მაგრამ რას იზამ, როცა თავს ზემოთ ძალა არ არის. ჯერჯერობით შეკრებებს არა უშავს, თუმცა ძალზე მადლიერნი დავრჩებით, თუ ერთ მოსამზადებელ წვრთნას საზღვარგარეთ მაინც გაგვიხერხებენ. ამას მარტო ჩემთვის ხომ არ ვითხოვ, რადგანაც ოლიმპიადაზე წარმატებით გამოსვლა მთელი ქვეყნის ინტერესებში უნდა შედიოდეს.

საქმე ისაა, რომ ჩვენთან სპარინგ-პარტნიორების ნაკლებობას განვიცდით, საზღვარგარეთ კი ეს პრობლემა მოგვეხსნება, მაგრამ, რატომღაც მგონია, რომ ფუჭად ვლაპარაკობ. ჩვენ დღეს გვჭირდება ყველაზე მეტად მხარდაჭერა და მხარში დგომა. თუმცა, რომელ მხარში დგომაზეა საუბარი; როდესაც სპორტის დეპარტამენტში უკვე ხელფასი ერთი წელია არ აგვიღია. ყველაზე მეტად კიდევ ოლიმპიური კომიტეტი გვეხმარება. ვერ გამიგია, თუკი სათანადო ხელშეწყობა არ გვექნება, მაშინ შედეგს როგორღა უნდა მივაღწიოთ ან საერთოდ ვინ იქნება მასზე პასუხისმგებელი.

**— როგორ ფიქრობთ, ფინანსების გარდა კიდევ რა არის საჭირო ოლიმპიადაზე წარმატების მისაღწევად?**

— უპირველეს ყოვლისა ფიზიკური მზადყოფნა. თუ ამ მხრივ მოიკოჭლებ, მაშინ კაპიკია შენი ფასი. მარტო ოლიმპიადაზე კი არა, ნებისმიერ ტურნირზე ეს ფაქტორი აუცილებლად გასათვალისწინებელია. ამას გარდა, ფსიქოლოგიურადაც მზად უნდა იყო, აუცილებელია ის ფარმაკოლოგიური პრეპარატები, ურომლისოდაც დიდ სპორტში წარმატება წარმოუდგენელია. მაგრამ გამაგებინეთ, ეს ყველაფერი ჰაერიდან ხომ არ მოდის? ამიტომ საიდანაც არ უნდა მოვუაროთ, ბოლოს მაინც ფინანსებთან მივდივართ. ასე რომ, თუ იქნება ფული, იქნება სპორტიც.

**— თქვენს წონაში ლეგენდარული რუსი მოჭიდავე ალექსანდრ კარელინი ასპარეზობს. სავსებით შესაძლებელია მასთან ბრძოლამაც მოგიწიოთ. რა გრძნობა გეუფლებათ ამის გაფიქრებაზე?**

— ვერ გამიგია, ელეთ-მელეთი რატომ უნდა მომდიოდეს! მართალია, მძიმე წონაში იგი უდავო ფავორიტი გახლავთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასთან ყველანი განწირულნი ვართ. სპორტი ხომ სიურპრიზებითაა სავსე და ვინ იცის, ბედი ვის რას უმზადებს. ბევრი მოჭიდავე შეიძლება მასთან შეხვედრას გაურბოდეს, მაგრამ მე პირიქით, ერთი სული მაქვს კარელინს როდის დავეჭიდები. მისგან ხომ ბევრის სწავლა შეიძლება. დამიჯერეთ, მასთან შეხვედრის შემთხვევაში საჭიდაო ხალიჩაზე მუხლების კანკალით არ გავალ. ბოლომდე დავიხარჯები, მთელს ჩემს ცოდნასა და ნიჭს მას დავუპირისპირებ, უდიდესი ჟინითა და მონდომებით ვიჭიდავებ. დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს. ისე, ნათქვამია, ვინც ინდომებს, იმას გამოსდის კიდეცო. იქნებ ბედმა მეც გამიღიმოს და კარელინის წაუგებელი სერია შევწყვიტო.

**— მის გარდა თქვენს მთავარ კონკურენტებად ვინ მიგაჩნიათ?**

— ჩემს წონაში ბევრი კარგი ფალავანი ასპარეზობს. ისე კი უნგრელ და კუბელ მოჭიდავეებს გამოვარჩევდი. მათ ლიდერებს შევხვედრივარ და დამიმარცხებია კიდეც. რა თქმა უნდა, იგივეს გაკეთებას შევეცდები სიდნეიშიც.

საერთოდ, ოლიმპიური თამაშები ისეთი სპორტული შეჯიბრია, სადაც მცირე უყურადღებობაც კი შეიძლება ძვირად დაგიჯდეს. პირველ რიგში მეტოქის ძალების შეფასებაში არ უნდა შეცდე და ყველა მათგანთან მობილიზებული უნდა იყო.

**— რას ჰპირდები ქართველ გულშემატკივარს სიდნეიში?**

— უპირველეს ყოვლისა დიდ სიხარულს. ყველანაირად შევეცდები გულშემატკივრები გავახარო და შინ მედლით დავბრუნდე.

**— საზღვარგარეთიდან მიწვევები ხომ არა გაქვთ?**

— დიახ, გერმანულ კლუბში ასპარეზობას მთავაზობენ და ოლიმპიადის შემდეგ ალბათ წავალ კიდეც, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემი ქვეყნის სახელით ასპარეზობაზე უარს ვამბობდე. ეს გულში არც გამივლია და ჯერჯერობით არსად წასვლაზე არ ვფიქრობ.

**— სამწუხაროდ, ბევრი ქართველი სპორტსმენი და მათ შორის თქვენი კოლეგებიც, არჩეული პროფესიის გამო სინანულს გამოთქვამენ. თქვენც ხომ არ ნანობთ?**

— სამწუხაროდ, მართალი ბრძანდებით. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ცხოვრებაში ამაზე ცუდი არაფერია. სიმართლე ითქვას, ეს პრობლემა, საბედნიეროდ, არ მაწუხებს. სრულებითაც არ ვნანობ, რომ ჭიდაობას გავყევი. მიმაჩნდა და ახლაც იმ აზრზე ვარ, რომ საქართველოსთვის ყველაზე მეტი სარგებლის მოტანა სწორედ ჭიდაობით შემიძლია.

**— რომ არა ჭიდაობა, რა გზას დაადგებოდით?**

— ამაზე არც მიფიქრია. ჩემში იმდენად გამჯდარია ამ სახეობისადმი სიყვარული, რომ მის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენლად მიმაჩნია. ისე, პარარელურად იურიდიულზე ვსწავლობ.

ბაჩა ბერიძე

# დარჩა 141 დღე

## ოლიმპიური კომიტეტი ტურისტული ფირმა არ არის

*სოკ-ის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი ორიოდე დღის წინ დაბრუნდა სლოვენიური მივლინებიდან და კარსმომდგარ ოლიმპიურ თამაშებთან დაკავშირებით მასთან საუბარი, ვფიქრობთ, უინტერესო არ უნდა იყოს.*

— სლოვენიის დედაქალაქში გაიმართა ევროპის ოლიმპიური კომიტეტების (ეოკ-ი) კომისიის „მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში" სხდომა —გვიამბობს ემზარ ზენაიშვილი — ამ კომისიის წევრი მეც გახლავართ, თავმჯდომარე კი ეოკ-ის ვიცე პრეზიდენტი და სოკ-ის წევრი პატრიკ ჰიკი არის. ეს მეტად მნიშვნელოვანი კომისიაა, რომელიც აერთიანებს ევროპის 12 ქვეყნის, მათ შორის ირლანდიის, პორტუგალიის, პოლონეთის, ნორვეგიის, შვეიცარიის, ფინეთისა და სხვა ქვეყნების ოლიმპიური კომიტეტების ხელმძღვანელობას და ექსპერტებს. სხვათა შორის, ამ კომისიაში მონაწილეობის ხარჯები თავად ევროპის ოლიმპიურმა კომიტეტმა გაიღო.

სხდომაზე განიხილეს მომავალ ოლიმპიადასთან დაკავშირებული საკითხების ფართო სპექტრი.

მინდა მკითხველს ვაცნობო, რომ მომავალი სხდომა გაიმართება ამ ოქტომბერს თბილისში, ან 2001 წლის გაზაფხულზე. მიმაჩნია, რომ ეს მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული ოლიმპიზმისთვის, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს სოკ-ის ავტორიტეტზე;

აღსანიშნავია, რომ სხდომის ჩატარების სურვილი ფინეთს და ნორვეგიასაც ჰქონდა.

**— სამწუხაროდ, ქართულ სპორტში შექმნილი მძიმე ეკონომიური სიდუხჭირის გამო ზოგი ქართველი სპორტსმენი თავშესაფარს საზღვარგარეთ პოულობს. სავარაუდოა, რომ ჩვენ ათლეტთა მიგრაცია ოლიმპიადის შემდეგაც გაგრძელდება. ამის შესახებ რას იტყოდით?**

— საბედნიეროდ, ატლანტასთან შედარებით ამ ოლიმპიურ ციკლში სულ 2-3 სპორტსმენმა დაგვტოვა. სიდნეიში აზერბაიჯანის სახელით გამოვა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ხვიჩა ბიჩინაშვილი. ხვიჩა უდავოდ ნიჭიერი და პერსპექტიული სპორტსმენი გახლავთ. ჭიდაობის ფედერაციის ხელმძღვანელები და ჩვენც ვალდებულნი ვიყავით ანგარიში გაგვეწია მისი ინტერესებისთვის, რადგანაც ამ წონაში ლიცენზია უკვე მოპოვებული გვაქვს. მინდა მას წარმატებები ვუსურვო და ძალზე მოხარული ვიქნები, თუ ოლიმპიადაზე (მხოლოლდ ფინალში) ერთმანთს ორი ქართველი შეხვდება. ხვიჩა ბიჩინაშვილისთვის სიდნეიში საასპარეზოდ ჩვენგან ნებართვის მისაცემად მხოლოდ უმნიშვნელო ტექნიკური საკითხია მოსაგვარებელი, რის შესახებაც ჭიდაობის ფედერაციის ხელმძღვანელობა საქმის ვითარებაში გარკვეულია.

მიგრაციად არ შეიძლება ჩაითვალოს ქართველი მოკრივის კობა გოგოლაძის პროფესიონალებში გადასვლა. რა თქმა უნდა, მან რომ სიდნეიმდე ისურვა სამოყვარულო კრივიდან წასვლა, ეს ძალზე სამწუხაროა, რადგან კობა მწვანე კონტინენტზე უდავოდ მედლის მოპოვების ერთ-ერთი რეალური კანდიდატი გახლდათ.

კიდევ ერთი-ორმა კაცმა შეიძლება იასპარეზოს სხვა ქვეყნის სახელით, რადგანაც მათ საქართველოს ნაკრებში მოხვედრის შანსი პრაქტიკულად არ ჰქონდათ.

**— მართალია ხმები იმის თაობაზე, რომ ლიცენზიამოპოვებულ ჩვენს სპორტსმენებს სიდნეიში ოჯახებითურთ გამგზავრება სურთო?**

— სიდნეიში იქნება სპორტსმენთა ოჯახების მასპინძლობის პროგრამა „სამსუნგი 2000". სხვათა შორის, ანალოგიური პროგრამა ატლანტაშიც იყო და მას „ოჯახი ოჯახს" ერქვა და სიდნეისთან შედარებითაც უფრო დემოკრატიული და მისაღები გახლდათ.

სიდნეის პროგრამის გათვალისწინებით, ლიცენზიამოპოვებულ სპორტსმენებს შეუძლიათ სიდნეიში ოჯახის წევრებთან ერთად იყვნენ, მაგრამ აქ რამდენიმე მომენტია გასათვალისწინებელი. მგზავრობის ხარჯებს, რა თქმა უნდა, თვითონ სტუმრები იხდიან, ავსტრალიური ოჯახები კი მათ მხოლოდ 8 დღით მასპინძლობენ და უზრუნველყოფენ საუზმით. თამაშებზე დასასწრებ ბილეთებზე თავად სტუმრებმა უნდა იზრუნონ. რაც მთავარია, ვიზების მიღების საკითხში ავსტრალიელები არავითარ მხარდაჭერას არ იღებენ თავის თავზე. ამას დაუმატეთ როგორც მგზავრობის, ისე სამედიცინო დაზღვევის აუცილებლობა. ერთი სიტყვით, აქ უამრავი პრობლემაა და მეეჭვება ამ პროგრამაში მონაწილეობის მსურველი გამოჩნდეს. თუმცა, წინადადებებს ჩვენს შესაბამის სპორტულ ფედერაციებს შევთავაზებთ.

**— სიდნეიში ტურისტული ჯგუფების გამგზავრების თაობაზე რას იტყოდით?**

— სეოკ-ი ტურისტული ფირმა არ გახლავთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ტურისტული ჯგუფების წინააღმდეგნი ვართ. ამას წინათ „ლელოში" წავიკითხე, რომ საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია ამზადებს ტურისტულ ჯგუფებს, რასაც, რა თქმა უნდა, მივესალმებით. ჩვენ ამ ეტაპზე ყოველგვარი ტურისტული ჯგუფების ფორმირებისაგან თავს ვიკავებთ — უბრალოდ, ფიზიკურად ვერ ვახერხებთ.

თუმც, ერთ ფაქტორს მინდა თავიდანვე ხაზი გავუსვა. ყველას საკმაოდ სერიოზული პრობლემები შეექმნება ვიზის მიღებასთან დაკავშირებით, რადგანაც ავსტრალიის საელჩოს მოსკოვში ამ საკითხში ძალზე მკაცრი მოთხოვნები აქვს, რასაც მათი მხრიდან შესაბამისი არგუმენტები გააჩნია.

ბაჩა ბერიძე

### ოლიმპიური კურიერი

„ჩიკაგო ბულზის" 25 წლის ავსტრალიელი ცენტრალური თავდამსხმელი კრის ენსტი შესაძლოა ვერ გამოვიდეს სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში. ავსტრალიის კალათბურთელთა ნაკრების უფროსი მწვრთნელის ბარი ბარნსის თქმით, „ბულზი" თანახმაა ენსტი შეკრებაზე გაუშვას მხოლოდ 20 ავისტოდან, ეს კი ბარნს აშკარად ხელს არ აძლევს. „თუკი ენსტი საბოლოოდ შეუერთდება „ბუმერებს" (ავსტრალიელ კალათბურთელთა მეტსახელია), მაშინ ჩვენ ალბათ გავიმეორებთ ატლანტაში ნაჩვენებ შედეგს. კრისის გარდა ხომ ჩვენი ნაკრების ღირსებას დაიცავენ ლუკ ლონგლი და შეინ ჰილი, რომელმაც ატლანტაში აშკარად დაჯაბნეს გერი პეიტნი" — ამბობს ბარი ბარნსი. ავსტრალიის ნაკრები, რომელმაც ატლანტაში მეოთხე ადგილი დაიკავა, ივნისში მონაწილეობას მიიღებს სიდნეის ტესტ — ტურნირში, სადაც მასპინძლებთან ერთად იასპარეზებენ რუსეთის, კანადის, ახალი ზელანდიისა და იტალიის ლიგის საუკეთესო გუნდ „ფორტიტუდოს" კალათბურთელები.

# ფულები, ფულები ჩქარა



ახლახან ბუდაპეშტმა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა. უნგრეთის დედაქალაქში სხვებთან ერთად ქართველი ფალავნებიც ასპარეზობდნენ. როგორც ცნობილია, მათ იქ დამაჯერებლად იასპარეზეს და შინაც თავაწეულნი დაბრუნდნენ. თითო ოქროსა და ბრინჯაოს მედალი, და ორიც ოლიმპიური ლიცენზია, აი, ასეთია ჩვენი მონაგარი, რაც, ალბათ, ჩვენი დუხჭირი პირობების კვალობაზე ურიგო შედეგი არ უნდა იყოს.

შედეგით კმაყოფილი ვარ. ბუდაპეშტში თავი ნამდვილად არ შეგვირცხვენია. თუმცა, ამით იმის თქმა სულაც არ მინდა, რომ მეტის მიღწევა არ შეგვეძლო, — გვეუბნება საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზაზა თურმანიძე — უკეთ ასპარეზობა ალბათ შეგვეძლო, მაგრამ კონტინენტის პირველობაზე აშკარად ვერ გაამართლეს ელდარ კურტანიძემ და დავით პოლოსიანმა, რომლებიც სიდნეიში მედლის მოპოვების ერთ-ერთ კანდიდატებად გვევლინებიან (ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამის იმედი გვაქვს, ხოლო ოცნებას, მოგეხსენებათ, კაცი არ მოუკლავს). სამწუხაროდ, დღესდღეობით ორივენი კრიზისს განიცდიან. თუმცა, გვჯერა, რომ ოლიმპიური თამაშებისთვის ოპტიმალურ ფორმაში იქნებიან. სამაგიეროდ, იმედი გაგვიმართლა ემზარ ბედინეიშვილმა და გურამ მჭედლიძემ, რომლებმაც შესაბამისად ოქრო და ბრინჯაო მოიპოვეს. ამ უკანასკნელმა ოლიმპიური ლიცენზიაც დაისაკუთრა, სიდნეიში ასპარეზობის უფლება მოიპოვა აგრეთვე ოთარ თუშიშვილმაც.

— ემზარ ბედინეიშვილის წარმატების იმედი ნამდვილად მქონდა. მან უნგრეთში დამაჯერებლად იასპარეზა და ოქროც დამსახურებულად მოიპოვა. აი, მჭედლიძე თუ ასეთ დონეზე იჭიდავებდა, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. მან ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა. გურამი წლების განმავლობაში უკრაინაში ვარჯიშობდა და შინ სულ ახლახან დაბრუნდა. ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო და გამორიცხული არ არის, მან თავი სიდნეიში ისახელოს".

ღმერთმა ქნას, მართლაც ასე მოხდეს, ჩვენც ხომ ეს გვინდა, მაგრამ წარმატებებიც რომ თავისით არ მოდის და მითუმეტეს ოლიმპიური თამაშებისდარ შეჯიბრებებზე, ამას, ალბათ, ბევრი ფიცი მტკიცი არ სჭირდება. სპორტსმენი რომ კარგად მოემზადოს, ამისთვის მყარი ფინანსური უზრუნველყოფაა საჭირო. სპორტის მოყვარულთათვის ცნობილი იქნება, რომ საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ქართველ სპორტულ საზოგადოებრიობას ქვეყნის პრეზიდენტი შეხვდა და მანაც უპირობო დახმარება აღუთქვა. აღდგომა და ხვალეო, დრო კი არ ითმენს. ოლიმპიადამდე 154 დღით ადრე წინასაოლიმპიადოდ საჭირო თანხები ჯერჯერობით არა ჩანს და როდისღა უნდა მოესწროს ნაყოფიერი მომზადება, გამოცანად რჩება.

— „იმას, რასაც ჩვენ საერთაშორისო ასპარეზზე ვაჩვენებთ, ნამდვილად გმირობის ტოლფასია. არ გქონდეს ელემენტარული სავარჯიშო პირობები, შეკრებები გენატრებოდეს, კუჭი გიხმებოდეს, მაგრამ მაინც ასე თუ ისე დამაჯერებლად ასპარეზობდე, ეს ნამდვილად სასწაულია. ეს კიდევ ერთხელ გვარწმუნებს ქართველი კაცის ნიჭიერებაში" — აგრძელებს ბატონი ზაზა — ოლიმპიური თამაშები გვიახლოვდება, ჩვენ კი რამდენიმე საწვრთნელი შეკრება უსახსრობის გამო ჩაგვივარდა. მართალია, ქვეყნის პრეზიდენტი დაგვპირდა, დაგეხმარებითო, მაგრამ ეს ყველაფერი ჯერჯერობით მხოლოდ სიტყვებია, საქმე კი არ ჩანს, თუმცა ვიმედოვნებ, რომ ბატონი ედუარდ შევარდნაძე დახმარების ხელს გამოგვიწვდის.

ნათქვამია, რასაც დასთეს, იმას მოიმკიო. თუ ვითარება რადიკალურად არ შეიცვალა და სახელმწიფომაც ქართული სპორტისადმი დამოკიდებულება არ შეცვალა, დევიზის „უკეთ, ვიდრე ატლანტაში" გამართლება ძალზე გაგვიჭირდება, თუმცა, ზაზა თურმანიძე მაინც იმედიანადაა.

მიუხედავად ყველაფრისა, ხელი მაინც არ ჩაგვიქნევია და სიდნეიშიც ქართველ ხალხს კარგად გამოსვლას ვპირდებითო, გვითხრა მან, ხოლო თუ რა იგულისხმებოდა კარგად გამოსვლაში, ეს აღარ დაუკონკრეტებია.

**ბაჩა ბერიძე**

## ისინი იასპარეზებენ სიდნეიში

### აკაკი ჩაჩუა

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა**




*აკაკი ჩაჩუა დაიბადა 1969 წლის 16 სექტემბერს სამტრედიაში. ჭიდაობაში ვარჯიში დაიწყო 1980 წელს რევაზ გვენცაძის მეთვალყურეობით.*

*საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონატის III და II პრიზიორი, 1997 წლის ფინეთისა და ნორვეგიის „ა" კატეგორიის საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული, საბჭოთა კავშირის მრავალგზის პრიზიორი ახალგაზრდებში და 1989 წლის ჩემპიონი პროფესიონალებში, 2000 წლის ეგვიპტის „ა" კატეგორიის საერთაშორისო ტურნირის II პრიზიორი.*

*ცოლ-შვილიანი.*

**სამი შეკითხვა ლიცენზიანტებს**

**1. რატომ აირჩიეთ სპორტის ეს სახეობა?**

**2. გაიხსენეთ რაიმე კურიოზი თქვენი სპორტული ცხოვრებიდან?**

**3. სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე რომელი ადგილის დაკავებას ვარაუდობთ?**

*1. ჭიდაობაში პირველად სამტრედიაში 10 წლისა მივედი. ჩემი მეგობრები ვარჯიშობდნენ, მე კი დროს უქმად ვკარგავდი და ერთხელაც მათ გავყევი. დროთა განმავლობაში კი შემიყვარდა.*

*2. ამ შეკითხვით ჟურნალისტები ხშირად მომმართავენ ხოლმე და თითქმის ყველა იმედგაცრუებული დამიტოვებია, რადგან ასეთს ვერ ვიხსენებ.*

*3. ყველა სპორტსმენის ოცნება ოლიმპიური მედლის მოპოვებაა და გამონაკლისი არც მე გახლავართ. ყველას ვპირდები, რომ სიდნეიში სანუკვარი მიზნის მისაღწევად უკან არაფერზე დავიხევ, დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს.*

## ოლიმპიური კურიერი

**ვეტერანმა** ავსტრალიელმა მშვილდოსანმა საიმონ ფეარვებერმა სიდნეის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა. მშვილდოსან ქალთა გუნდში აგრეთვე იასპარეზებს საიმონის და კეიტი. საიმონი 1979 წლიდან ავსტრალიის მშვილდოსანთა ნაკრების უცვლელი წევრი გახლავთ, თუმცა მნიშვნელოვან წარმატებებს მან მხოლოდ 1996 წელს მიაღწია, როდესაც ნაკრების უფროს მწვრთნელად სამხრეთ კორეელი ლიკისაიკი დაინიშნა. ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობით საიმონმა გაიმარჯვა მალაიზიისა და ლონდონის საერთაშორისო ტურნირებში და არცთუ ისე ურიგოდ იასპარეზა ატლანტის ოლიმპიურ თამაშებში, სადაც საბოლოოდ მეშვიდე ადგილზე გავიდა. თავის მხრივ კეიტ ფეარვებერმა შარშან წარმატებით იასპარეზა ორ საერთაშორისო ტურნირში და შვიდწლიანი კარიერის განმავლობაში პირველად შევიდა მსოფლიოს 20 საუკეთესო მშვილდოსანთა შორის (17-ე ადგილი).

***

**სახელოვანი** როკ ჯგუფის „MIDNIGHT OIL"-ის ლიდერი რობ ჰერსტი შეუდგა სიმღერის „LET THERE BE A WINNER"-ის ჩაწერას, რომელიც სიდნეიში საკალათბურთო ტურნირზე აჟღერდება. მის ჩაწერაში მონაწილეობდნენ ცნობილი მომღერლები ბრაიან ჯონსონი, მიჯ იური, დევიდ კნოპფლერი და ჰოლივუდის ვარსკვლავები მელ გიბსონი და ბრიუს უილისი.

# «ოცნების გუნდის» გახსენება



ბორის ბეკერი (მარცხნივ) და მიხაელ შტიხი 1992 წლის ოლიმპიადაზე

**1992 წლის** ბარსელონას ოლიმპიური თამაშების მთავარი მოვლენა კალათბურთელთა ტურნირში ამერიკელ პროფესიონალთა გამოსვლა იყო. ბერდის, ჯორდანისა და ჯონსონის გუნდის დაუვიწყარმა თამაშმა აშკარად დაჩრდილა კატალონიის დედაქალაქში სპორტის მრავალ სახეობებში გამართული ასპარეზობები. მაგრამ ბარსელონაში იყო სხვა „ოცნების გუნდიც". ვგულისხმობთ გერმანელ ჩოგბურთელთა ნაკრებს.

1991 წლის შემდეგ, როდესაც გერმანულმა ჩოგბურთმა, სპეციალისტთა აზრით, თავის პიკს მიაღწია, მათი ფედერაციის მესვეურები დილემის წინაშე აღმოჩნდნენ, თუ ვისზე გადაეტანათ ძირითადი აქცენტი: უიმბლდონის ჩემპიონ მიხაელ შტიხზე თუ გერმანიის ყველაზე პოპულარულ სპორტსმენ ბორის ბეკერზე. ბოლოს უპირატესობა ბორისს მიაკუთვნეს. მაშინ დევისის თასზე თამაშისთვის ბორისი 2 მილიონ 600 ათას გერმანულ მარკას მიიღებდა, შტიხი კი „მხოლოდ" 1 მილიონ 200 ათასს. ფედერაციის მესვეურთა ამ გადაწყვეტილებამ ისე აღაშფოთა მიხაელი, რომ მან ერთი პირობა ნაკრების შემადგენლობაში თამაშზე უარი განაცხადა, თუმცა მოგვიანებით მაინც დათანხმდა.

1992 წელი შტიხმა საკმაოდ ცუდად დაიწყო. პირველი ოთხი თვის განმავლობაში გამართულ ტურნირებზე მიხაელი მხოლოდ ორჯერ — ჰამბურგისა და მიუნხენის ტურნირების ფინალში გავიდა, სადაც შესაბამისად სტეფან ედბერგთან და მაგნუს გუსტაფსონთან დამარცხდა. ბეკერი კი დიდებულად თამაშობდა — ორი ტურნირი მოიგო და ორშიც ფინალში გავიდა.

ამასობაში ახლოვდებოდა ოლიმპიური თამაშები, სადაც ერთეულთა თანრიგში გერმანელებიდან ბეკერი, შტიხი, კარლ-უვე შტეები, ალექსანდრ მრონცი და დევიდ პრინოშილი უნდა გამოსულიყვნენ, წყვილთა თანრიგში კი ბეკერ-შტეების დუეტს უნდა მიეღო მონაწილეობა. ბოლო მომენტში შტეებმა თავაზიანი უარი შეუთვალა ფედერაციის მესვეურებს და გერმანელებმაც ერთი შეხედვით მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღეს: ბეკერთან ერთად წყვილში მიხაილ შტიხი უნდა გამოსულიყო.

შტიხი, სხვათა შორის, უყოყმანოდ დათანხმდა „ბუმ-ბუმ" ბორისთან ერთად თამაშზე და „დრიმ თიმად" შერაცხული დუეტიც შეუდგა მზადებას ოლიმპიური ტურნირისთვის. ოლიმპიადამდე მიხაელი და ბორისი ოთხ ტურნირში გამოვიდნენ და თითქმის ასპროცენტიან შედეგს მიაღწიეს: გამარჯვება მონტე-კარლოსა და მიუნხენში და ფინალი ქუინს კლაბში. აღსანიშნავია, რომ ბალახისსაფარიან კუინს-კლაბის გარდა დანარჩენი სამი შეჯიბრი თიხნარზე გაიმართა.

ოლიმპიური ტურნირი საკმაოდ მოულოდნელად დაიწყო: პირველივე წრეში წააგეს თავიანთი მატჩები ედბერგმა, ლეკონტმა, მაიოტმა და კიდევ რამდენიმე ელიტარულმა ჩოგბურთელმა, მეორე წრიდან კი ერთეულთა ტურნირს გამოეთიშა მიხაელ შტიხიც, თანაც კარლ-უვე შტეებთან დამარცხდა: კორტიდან გასვლისას მიხაელს ტრიბუნებიდან უსტვინეს, რის გამოც იგი მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე არ გამოცხადებულა. „დიდი ხანია ასე საშინლად არ მითამაშია. 15 ეისთან ერთად უამრავი ორმაგი შეცდომა დავუშვი, რამაც მოგების არანაირი შანსი არ დამიტოვა" — განაცხადა მატჩის შემდეგ მიხაელმა.

წყვილთა თანრიგში კი ბეკერისა და შტიხის დუეტი დამაჯერებლად მიიწევდა წინ. ბეკერი და მისი მეწყვილე დიდებულად თამაშობდნენ ბადესთან, თუმცა უკანა ხაზზე თამაშში აშკარად მოიკოჭლებდნენ. მეოთხედფინალსა და ნახევარფინალში გერმანელებმა ჯამში 117 უნებლიე შეცდომა დაუშვეს, მაგრამ ამავდროულად მოიგეს ბადესთან გათამაშებული ქულების 72 პროცენტი (!) და მოაწოდეს 25 ეისი. 1.93 სმ სიმაღლის შტიხი და მასზე სამი სანტიმეტრით დაბალი ბორისი ნახევარფინალში სამ მატჩ პოინტს დაუძვრნენ და საბოლოოდ გავიდნენ ფინალში, სადაც მათ წინააღმდეგ სამხრეთაფრიკელთა დუეტი — ფერეირა/ნორვალი — წარსდგა.

— ფინალამდე ნახევარი საათით ადრე გასახდელში შტეფი გრაფი შემოვიდა და ოქროს მედლების მოგება გვისურვა, — იხსენებს ბეკერი — მიუხედავად ისედაც საბრძოლო განწყობისა, გრაფის სიტყვებმა ჩვენზე მაინც დიდი ზეგავლენა მოახდინა. შტეფის სულ რაღაც ორ საათში თავად ჰქონდა ჩასატარებელი ფინალური შეხვედრა ჯენიფერ კაპრიატის წინააღმდეგ".

ფინალური შეხვედრა მეტად დაძაბული გამოდგა. პირველი სეტის საწყის 15 წუთში მიღებაზე დიდებულად თამაშობდა ნორვალი, ბადესთან სტაბილურად იგებდა ქულებს ფერეირა, გერმანელები კი შეცდომას შეცდომაზე უშვებდნენ, რაც საბოლოოდ ანგარიშშიც აისახა — 4:1! წინ სამხრეთაფრიკელები იყვნენ.

— შევატყე, რომ მიხაელი ზომაზე მეტად ღელავდა. დაწყნარება ვურჩიე და თქვენ წარმოიდგინეთ, საკუთარი თავი დააწყნარეო, მისგან პასუხად მივიღე. მის ნათქვამს ყურადღება არ მივაქციე და სულ მალე კორტზე სახეშეცვლილი შტიხი გამოჩნდა, დაწყნარებული და საკუთარ თავში დარწმუნებული — გაიხსენა ბორისმა.

თამაშის სადავეები გერმანელებმა ხელთ იგდეს და პირველი სეტიც მათი გამარჯვებით 7:6(5) დასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ მეორე სეტში ტეფტონურმა წყვილმა ორჯერ დაკარგა მოწოდება და სეტიც შესაბამისად მათმა მოწინააღმდეგეებმა მოიგეს, მესამე და მეოთხე სეტებში გერმანელებმა გაჭირვებით, მაგრამ მაინც შესძლეს მატჩის გამარჯვებამდე მიყვანა. 7:6(5), 4:6, 7:6(5), 6:3 ჩემპიონებს მატჩის მსვლელობისას 52 უნებლიე შეცდომა და 16 ეისი დაუგროვდათ.

— „ბარსელონაში მაყურებელმა ორი „დრიმ თიმი" იხილა. ერთი ბერდისა და ჯორდანის, ხოლო მეორე დღეს ჩვენს წინააღმდეგ თამაშობდა. მათი დამარცხება შეუძლებელი იყო — თამაშის შემდეგ თავს იმართლებდა პიტ ნორვალი.

— დღესაც კარგად მახსოვს დაჯილდოვების ცერემონიალი. უზომოდ გახარებული ბორისი და სიხარულისაგან ატირებული მიხაელი. მათ უდიდესი სიხარული მოუტანეს გერმანიას და სამუდამოდ დაიმკვიდრეს ადგილი მსოფლიოს ჩოგბურთის ისტორიაში" — აღფრთოვანებას ვერ ფარავდა გერმანიის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი კლაუდია კოდე-კილში.

ორი დღის შემდეგ ფრანკფურტის აეროპორტში ბეკერსა და შტიხს 20 ათასზე მეტი გულშემატკივარი დახვდა. „გერმანია ამაყობს თქვენით და მადლობას გიხდით თავდადებისთვის" — ეწერა ერთ-ერთ ტრანსპარანტზე.

ბარსელონაში გერმანელებმა საბოლოოდ 82 მედალი მოიპოვეს, რაშიც ბეკერისა და შტიხის ნადავლიც გახლდათ.

**ზურაბ თალაქვაძე**

ოლიმპიური ჩანართი მოამზადა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრესსამსახურმა

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

„კროკოს“ მთავარი ოფისი ფურცელაძის ქუჩაზე
(კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში)
11⁰⁰ საათიდან 18⁰⁰ საათამდე მუშაობს

### ინგლისი. პირველი დივიზიონი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩარლტონი | 44 | 27 | 10 | 7 | 78:40 | 91 | 15 | 3 | 4 | 36:15 | 12 | 7 | 3 | 42:25 |
| სიტი | 44 | 24 | 11 | 9 | 73:39 | 83 | 16 | 2 | 4 | 47:17 | 8 | 9 | 5 | 26:22 |
| იფსვიჩი | 44 | 23 | 12 | 9 | 66:41 | 81 | 15 | 3 | 4 | 37:17 | 8 | 9 | 5 | 29:24 |
| ბარნსლი | 44 | 23 | 10 | 11 | 86:64 | 79 | 15 | 4 | 3 | 48:22 | 8 | 6 | 8 | 38:42 |
| ბირმინგემი | 44 | 22 | 10 | 12 | 65:43 | 76 | 15 | 4 | 3 | 37:16 | 7 | 6 | 9 | 28:27 |
| ჰადერსფილდი | 44 | 21 | 11 | 12 | 62:44 | 74 | 14 | 5 | 3 | 43:19 | 7 | 6 | 9 | 19:25 |
| ვულვზი | 43 | 19 | 11 | 13 | 59:46 | 68 | 14 | 5 | 3 | 42:20 | 5 | 6 | 10 | 17:26 |
| ბოლტონი | 43 | 18 | 13 | 12 | 63:48 | 67 | 12 | 5 | 4 | 40:25 | 6 | 8 | 8 | 23:23 |
| ფულემი | 44 | 16 | 16 | 12 | 46:38 | 64 | 12 | 7 | 3 | 30:13 | 4 | 9 | 9 | 16:25 |
| ბლექბერნი | 44 | 15 | 17 | 12 | 53:45 | 62 | 10 | 9 | 3 | 32:16 | 5 | 8 | 9 | 21:29 |
| ქუინზ პარკი | 44 | 15 | 17 | 12 | 59:52 | 62 | 9 | 11 | 2 | 30:20 | 6 | 6 | 10 | 29:32 |
| ნორვიჩი | 44 | 13 | 15 | 16 | 43:48 | 54 | 10 | 6 | 6 | 24:21 | 3 | 9 | 10 | 19:27 |
| ტრანმერი | 44 | 14 | 12 | 18 | 54:65 | 54 | 10 | 8 | 4 | 34:25 | 4 | 4 | 14 | 20:40 |
| შეფილდ იუნ. | 44 | 13 | 14 | 17 | 56:67 | 53 | 10 | 7 | 5 | 36:22 | 3 | 7 | 12 | 20:45 |
| პორტსმუთი | 44 | 13 | 12 | 19 | 54:62 | 51 | 9 | 6 | 7 | 35:24 | 4 | 6 | 12 | 19:38 |
| სტოკპორტი | 44 | 12 | 15 | 17 | 51:64 | 51 | 8 | 8 | 6 | 31:28 | 4 | 7 | 11 | 20:36 |
| ნოტინგემი | 44 | 12 | 14 | 18 | 48:53 | 50 | 8 | 10 | 4 | 27:18 | 4 | 4 | 14 | 21:35 |
| გრიმსბი | 44 | 13 | 11 | 20 | 40:65 | 50 | 10 | 8 | 4 | 26:23 | 3 | 3 | 16 | 14:42 |
| კრ. პალასი | 44 | 11 | 15 | 18 | 53:65 | 48 | 6 | 11 | 5 | 31:25 | 5 | 4 | 13 | 22:40 |
| კრიუ | 44 | 13 | 9 | 22 | 43:64 | 48 | 9 | 5 | 8 | 26:28 | 4 | 4 | 14 | 17:36 |
| ვესტ ბრომვიჩი | 44 | 9 | 18 | 17 | 41:60 | 45 | 6 | 11 | 6 | 25:27 | 3 | 7 | 11 | 16:33 |
| უოლსოლი | 44 | 10 | 13 | 21 | 51:75 | 43 | 6 | 6 | 10 | 25:34 | 4 | 7 | 11 | 26:41 |
| პორტველი | 44 | 7 | 15 | 22 | 48:66 | 36 | 6 | 6 | 10 | 27:29 | 1 | 9 | 12 | 21:37 |
| სუინდონი | 44 | 8 | 11 | 25 | 35:73 | 35 | 5 | 6 | 11 | 22:35 | 3 | 5 | 14 | 13:38 |

### ინგლისი. მეორე დივიზიონი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პრესტონი | 44 | 26 | 11 | 7 | 69:35 | 89 | 14 | 4 | 4 | 34:21 | 12 | 7 | 3 | 35:14 |
| უიგანი | 44 | 22 | 16 | 6 | 70:35 | 82 | 15 | 3 | 4 | 37:13 | 7 | 13 | 2 | 33:22 |
| ბარნლი | 44 | 23 | 13 | 8 | 65:46 | 82 | 15 | 3 | 4 | 40:23 | 8 | 10 | 4 | 25:23 |
| ჯილინგემი | 43 | 23 | 10 | 10 | 73:46 | 79 | 14 | 3 | 4 | 40:20 | 9 | 7 | 6 | 33:26 |
| მილუოლი | 44 | 22 | 13 | 9 | 73:47 | 79 | 13 | 7 | 2 | 40:18 | 9 | 6 | 7 | 33:29 |
| როვერსი | 44 | 23 | 10 | 11 | 67:42 | 79 | 13 | 6 | 3 | 32:17 | 10 | 4 | 8 | 35:25 |
| სტოკი | 43 | 21 | 13 | 9 | 63:40 | 76 | 11 | 7 | 3 | 32:17 | 10 | 6 | 6 | 31:23 |
| ნოტსი | 44 | 18 | 10 | 16 | 58:51 | 64 | 9 | 5 | 8 | 30:25 | 9 | 5 | 8 | 28:26 |
| ბრისტოლი | 44 | 14 | 19 | 11 | 55:52 | 61 | 7 | 14 | 1 | 31:16 | 7 | 5 | 10 | 24:36 |
| უიკომბი | 44 | 15 | 13 | 16 | 54:51 | 58 | 11 | 4 | 7 | 32:23 | 4 | 9 | 9 | 22:28 |
| ოლდემი | 44 | 16 | 10 | 18 | 48:53 | 58 | 8 | 4 | 10 | 26:27 | 8 | 6 | 8 | 22:26 |
| რედინგი | 44 | 15 | 13 | 16 | 53:62 | 58 | 9 | 9 | 4 | 27:18 | 6 | 4 | 12 | 28:44 |
| ლუტონი | 44 | 16 | 9 | 19 | 59:64 | 57 | 10 | 6 | 6 | 40:34 | 6 | 3 | 13 | 19:30 |
| რექსჰემი | 44 | 15 | 11 | 18 | 50:60 | 56 | 8 | 6 | 8 | 22:24 | 7 | 5 | 10 | 28:37 |
| ბერი | 43 | 13 | 16 | 14 | 58:58 | 55 | 8 | 9 | 5 | 37:32 | 5 | 7 | 9 | 21:26 |
| ბორნმუთი | 44 | 16 | 7 | 21 | 55:58 | 55 | 11 | 5 | 6 | 35:17 | 5 | 2 | 15 | 20:41 |
| ბრენტფორდი | 44 | 13 | 12 | 19 | 47:59 | 51 | 8 | 5 | 9 | 27:31 | 5 | 7 | 10 | 20:28 |
| კოლჩესტერი | 44 | 14 | 9 | 21 | 56:78 | 51 | 10 | 4 | 8 | 33:36 | 5 | 5 | 12 | 23:42 |
| კემბრიჯი | 44 | 12 | 12 | 20 | 63:61 | 48 | 8 | 6 | 8 | 37:31 | 4 | 6 | 12 | 26:30 |
| ოქსფორდი | 44 | 11 | 9 | 24 | 41:72 | 42 | 5 | 5 | 12 | 22:38 | 6 | 4 | 12 | 19:34 |
| კარდიფი | 43 | 8 | 17 | 18 | 42:61 | 41 | 4 | 10 | 8 | 22:34 | 4 | 7 | 10 | 20:27 |
| ბლექპული | 44 | 8 | 15 | 21 | 46:74 | 39 | 4 | 9 | 9 | 24:35 | 4 | 6 | 12 | 22:39 |
| სკანთორპი | 44 | 9 | 12 | 23 | 39:70 | 39 | 4 | 6 | 12 | 15:32 | 5 | 6 | 11 | 24:38 |
| ჩესტერფილდი | 44 | 6 | 14 | 24 | 30:60 | 32 | 4 | 7 | 11 | 15:24 | 2 | 7 | 13 | 15:36 |

### ინგლისი. მესამე დივიზიონი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სუონსი | 44 | 23 | 12 | 9 | 47:29 | 81 | 14 | 6 | 2 | 29:11 | 9 | 6 | 7 | 18:18 |
| როტერჰემი | 44 | 23 | 11 | 10 | 69:34 | 80 | 13 | 4 | 5 | 42:16 | 10 | 7 | 5 | 27:18 |
| ნორთჰემპტონი | 44 | 23 | 7 | 14 | 60:44 | 76 | 15 | 2 | 5 | 35:18 | 8 | 5 | 9 | 25:26 |
| დარლინგტონი | 44 | 20 | 15 | 9 | 63:35 | 75 | 12 | 9 | 1 | 41:15 | 8 | 6 | 8 | 22:20 |
| პიტერბორო | 43 | 21 | 11 | 11 | 62:52 | 74 | 14 | 4 | 4 | 39:28 | 7 | 7 | 7 | 23:24 |
| ბარნეტი | 44 | 21 | 10 | 13 | 56:50 | 73 | 12 | 5 | 5 | 34:22 | 9 | 5 | 8 | 22:28 |
| ჰარტლპული | 44 | 20 | 9 | 15 | 56:47 | 69 | 16 | 1 | 5 | 31:15 | 4 | 8 | 10 | 25:32 |
| ჩელტენემი | 44 | 19 | 10 | 15 | 48:40 | 67 | 12 | 4 | 6 | 27:17 | 7 | 6 | 9 | 21:23 |
| პლიმუთი | 44 | 16 | 17 | 11 | 53:48 | 65 | 12 | 10 | 0 | 38:17 | 4 | 7 | 11 | 15:31 |
| როჩდეილი | 44 | 17 | 13 | 14 | 54:52 | 64 | 8 | 6 | 8 | 20:24 | 9 | 7 | 6 | 34:28 |
| ტორკი | 43 | 17 | 12 | 14 | 57:50 | 63 | 12 | 6 | 4 | 34:18 | 5 | 6 | 10 | 23:32 |
| მაკლსფილდი | 44 | 17 | 11 | 16 | 64:59 | 62 | 9 | 7 | 6 | 35:28 | 8 | 4 | 10 | 29:31 |
| ბრაიტონი | 43 | 15 | 15 | 13 | 61:45 | 60 | 9 | 6 | 6 | 37:25 | 6 | 9 | 7 | 24:20 |
| ჰალი | 44 | 14 | 14 | 16 | 42:40 | 56 | 7 | 8 | 7 | 26:20 | 7 | 6 | 9 | 16:20 |
| ლინკოლნი | 44 | 14 | 14 | 16 | 66:67 | 56 | 10 | 6 | 6 | 37:23 | 4 | 8 | 10 | 29:44 |
| მენსფილდი | 44 | 16 | 7 | 21 | 48:62 | 55 | 9 | 5 | 8 | 31:24 | 7 | 2 | 13 | 17:38 |
| ჰალიფაქსი | 44 | 15 | 9 | 20 | 44:55 | 54 | 7 | 5 | 10 | 22:23 | 8 | 4 | 10 | 22:32 |
| საუთენდი | 43 | 14 | 11 | 18 | 51:57 | 53 | 10 | 5 | 6 | 35:28 | 4 | 6 | 12 | 16:29 |
| ლეიტონი | 44 | 13 | 11 | 20 | 45:50 | 50 | 7 | 6 | 9 | 22:22 | 6 | 5 | 11 | 23:28 |
| იორკი | 44 | 11 | 15 | 18 | 37:53 | 48 | 6 | 10 | 6 | 19:21 | 5 | 5 | 12 | 18:32 |
| ექსეტერი | 44 | 11 | 11 | 22 | 45:67 | 44 | 8 | 6 | 8 | 26:28 | 3 | 5 | 14 | 19:39 |
| ჩესტერი | 44 | 10 | 9 | 25 | 44:77 | 39 | 5 | 5 | 12 | 20:35 | 5 | 4 | 13 | 24:42 |
| კარლაისლი | 44 | 9 | 11 | 24 | 41:73 | 38 | 6 | 7 | 9 | 22:26 | 3 | 4 | 15 | 19:47 |
| შრიუსბერი | 44 | 8 | 13 | 23 | 37:64 | 37 | 5 | 6 | 11 | 19:25 | 3 | 7 | 12 | 18:39 |

### საფრანგეთი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 31 | 19 | 5 | 7 | 62:31 | 62 | 12 | 4 | 0 | 32:9 | 7 | 1 | 7 | 30:22 |
| ლიონი | 31 | 15 | 7 | 9 | 38:35 | 52 | 9 | 5 | 2 | 22:10 | 6 | 2 | 7 | 16:25 |
| პსჟ | 31 | 14 | 9 | 8 | 47:37 | 51 | 10 | 4 | 2 | 27:17 | 4 | 5 | 6 | 20:20 |
| ბორდო | 31 | 14 | 8 | 9 | 48:36 | 50 | 11 | 3 | 2 | 31:13 | 3 | 5 | 7 | 17:23 |
| ბასტია | 31 | 11 | 11 | 9 | 40:34 | 44 | 11 | 4 | 0 | 30:5 | 0 | 7 | 9 | 10:29 |
| სედანი | 31 | 12 | 8 | 11 | 39:40 | 44 | 8 | 4 | 3 | 20:13 | 4 | 4 | 8 | 19:27 |
| ოსერი | 31 | 12 | 7 | 12 | 31:35 | 43 | 10 | 2 | 3 | 23:14 | 2 | 5 | 9 | 8:21 |
| სტრასბური | 31 | 12 | 7 | 12 | 41:48 | 43 | 9 | 4 | 3 | 28:19 | 3 | 3 | 9 | 13:29 |
| სენტ ეტიენი | 31 | 11 | 9 | 11 | 41:44 | 42 | 6 | 5 | 4 | 24:20 | 5 | 4 | 7 | 17:24 |
| რენი | 31 | 11 | 7 | 13 | 42:43 | 40 | 9 | 3 | 4 | 30:18 | 2 | 4 | 9 | 12:25 |
| ლანსი | 31 | 11 | 7 | 13 | 33:37 | 40 | 7 | 3 | 5 | 21:16 | 4 | 4 | 8 | 12:21 |
| მარსელი | 31 | 9 | 12 | 10 | 39:39 | 39 | 6 | 6 | 4 | 26:17 | 3 | 6 | 6 | 13:22 |
| ტრუა | 31 | 12 | 3 | 16 | 32:47 | 39 | 8 | 1 | 6 | 20:17 | 4 | 2 | 10 | 12:30 |
| მეცი | 31 | 7 | 17 | 7 | 34:30 | 38 | 5 | 9 | 2 | 21:14 | 2 | 8 | 5 | 13:16 |
| ნანტი | 31 | 10 | 7 | 14 | 36:38 | 37 | 8 | 2 | 6 | 26:17 | 2 | 5 | 8 | 10:21 |
| ნანსი | 31 | 9 | 8 | 14 | 37:42 | 35 | 6 | 4 | 5 | 21:17 | 3 | 4 | 9 | 16:25 |
| ლე ავრი | 31 | 9 | 7 | 15 | 28:45 | 34 | 7 | 4 | 4 | 18:13 | 2 | 3 | 11 | 10:32 |
| მონპელიე | 31 | 7 | 9 | 15 | 37:44 | 30 | 4 | 7 | 4 | 20:16 | 3 | 2 | 11 | 17:28 |

### შოტლანდია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 31 | 24 | 6 | 1 | 85:22 | 78 | 13 | 1 | 1 | 43:10 | 11 | 5 | 0 | 42:12 |
| სელტიკი | 31 | 18 | 4 | 9 | 81:36 | 58 | 10 | 3 | 3 | 51:16 | 8 | 1 | 6 | 30:20 |
| ჰართსი | 32 | 13 | 8 | 11 | 44:38 | 47 | 6 | 5 | 5 | 23:17 | 7 | 3 | 6 | 21:21 |
| მოზერუელი | 32 | 11 | 9 | 12 | 42:61 | 42 | 6 | 2 | 7 | 22:33 | 5 | 7 | 5 | 20:28 |
| დანდი იუნ. | 31 | 11 | 6 | 14 | 33:48 | 39 | 6 | 4 | 5 | 15:18 | 5 | 2 | 9 | 18:30 |
| ჰიბერნიანი | 31 | 9 | 11 | 11 | 45:51 | 38 | 6 | 6 | 5 | 29:27 | 3 | 5 | 6 | 16:24 |
| დანდი | 32 | 10 | 5 | 17 | 41:59 | 35 | 2 | 3 | 10 | 16:31 | 8 | 2 | 7 | 25:28 |
| კილმარნოკი | 32 | 7 | 13 | 12 | 34:42 | 34 | 4 | 5 | 6 | 13:17 | 3 | 8 | 6 | 21:25 |
| სტ. ჯონსტონი | 31 | 8 | 10 | 13 | 31:40 | 34 | 4 | 6 | 6 | 14:17 | 4 | 4 | 7 | 17:23 |
| აბერდინი | 31 | 7 | 6 | 18 | 35:74 | 27 | 5 | 4 | 8 | 23:36 | 2 | 2 | 10 | 12:38 |

### იტალია. სერია B

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვიჩენცა | 31 | 16 | 6 | 9 | 55:33 | 54 | 12 | 2 | 1 | 37:11 | 4 | 4 | 8 | 18:22 |
| ბრეშა | 31 | 14 | 12 | 5 | 45:27 | 54 | 9 | 4 | 3 | 27:10 | 5 | 8 | 2 | 18:17 |
| ატალანტა | 31 | 15 | 8 | 8 | 41:28 | 53 | 11 | 3 | 2 | 29:14 | 4 | 5 | 6 | 12:14 |
| ნაპოლი | 31 | 13 | 11 | 7 | 43:34 | 50 | 8 | 6 | 1 | 25:13 | 5 | 5 | 6 | 18:21 |
| სამპდორია | 31 | 12 | 11 | 8 | 33:29 | 47 | 6 | 6 | 3 | 17:14 | 6 | 5 | 5 | 16:15 |
| სალერნიტანა | 31 | 12 | 9 | 10 | 45:43 | 45 | 9 | 4 | 2 | 27:13 | 3 | 5 | 8 | 18:30 |
| ჯენოა | 31 | 12 | 7 | 12 | 37:33 | 43 | 10 | 4 | 2 | 28:13 | 2 | 3 | 10 | 9:20 |
| ტრევიზო | 31 | 11 | 9 | 11 | 40:37 | 42 | 10 | 4 | 1 | 30:13 | 1 | 5 | 10 | 10:24 |
| კიევო | 31 | 10 | 10 | 11 | 39:41 | 40 | 7 | 7 | 2 | 23:16 | 3 | 3 | 9 | 16:25 |
| კოზენცა | 31 | 9 | 13 | 9 | 27:30 | 40 | 8 | 5 | 3 | 16:10 | 1 | 8 | 6 | 11:20 |
| ჩეზენა | 31 | 8 | 15 | 8 | 37:34 | 39 | 7 | 9 | 0 | 25:11 | 1 | 6 | 8 | 12:23 |
| რავენა | 31 | 9 | 12 | 10 | 30:29 | 39 | 7 | 6 | 2 | 16:6 | 2 | 6 | 8 | 14:23 |
| ტერნანა | 31 | 8 | 14 | 9 | 33:38 | 38 | 5 | 8 | 2 | 20:16 | 3 | 6 | 7 | 13:22 |
| პესკარა | 31 | 7 | 16 | 8 | 44:41 | 37 | 5 | 6 | 4 | 26:18 | 2 | 10 | 4 | 18:23 |
| ალზანო | 31 | 9 | 10 | 12 | 28:37 | 37 | 8 | 3 | 4 | 20:19 | 1 | 7 | 8 | 8:18 |
| ემპოლი | 31 | 9 | 10 | 12 | 28:44 | 37 | 9 | 4 | 2 | 19:15 | 0 | 6 | 10 | 9:29 |
| მონცა | 31 | 6 | 17 | 8 | 30:35 | 35 | 5 | 11 | 0 | 16:11 | 1 | 6 | 8 | 14:24 |
| პისტოიეზე | 31 | 9 | 9 | 13 | 28:34 | 32 | 8 | 5 | 3 | 17:10 | 1 | 4 | 10 | 11:24 |
| სავოია | 31 | 6 | 11 | 14 | 29:44 | 29 | 5 | 8 | 3 | 18:15 | 1 | 3 | 11 | 11:29 |
| ფერმანა | 31 | 5 | 10 | 16 | 29:50 | 25 | 5 | 5 | 6 | 17:20 | 0 | 5 | 10 | 12:30 |

### იტალია. სერია C1/a

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სიენა | 31 | 15 | 10 | 6 | 37:20 | 55 | 11 | 3 | 2 | 26:9 | 4 | 7 | 4 | 11:11 |
| პიზა | 31 | 13 | 11 | 7 | 31:22 | 50 | 7 | 4 | 4 | 19:15 | 6 | 7 | 3 | 12:7 |
| ჩიტადელა | 31 | 12 | 12 | 7 | 32:25 | 48 | 8 | 5 | 3 | 19:10 | 4 | 7 | 4 | 13:15 |
| ვარეზე | 31 | 11 | 14 | 6 | 36:26 | 47 | 8 | 6 | 2 | 22:11 | 3 | 8 | 4 | 14:15 |
| ლუკეზე | 31 | 11 | 14 | 6 | 33:27 | 47 | 9 | 5 | 2 | 19:10 | 2 | 9 | 4 | 14:17 |
| ბრეშელო | 31 | 11 | 12 | 8 | 31:29 | 45 | 6 | 7 | 3 | 17:13 | 5 | 5 | 5 | 14:16 |
| სპალ | 31 | 11 | 11 | 9 | 32:28 | 44 | 7 | 5 | 3 | 16:9 | 4 | 6 | 6 | 16:19 |
| ალბინოლეფე | 31 | 10 | 12 | 9 | 31:31 | 42 | 7 | 5 | 3 | 20:12 | 3 | 7 | 6 | 10:13 |
| ლივორნო | 31 | 9 | 14 | 8 | 34:31 | 41 | 6 | 6 | 4 | 20:15 | 3 | 8 | 4 | 14:16 |
| კომო | 31 | 8 | 16 | 7 | 27:23 | 40 | 4 | 10 | 2 | 13:10 | 4 | 6 | 5 | 14:13 |
| მოდენა | 31 | 8 | 14 | 9 | 23:30 | 38 | 4 | 9 | 3 | 11:12 | 4 | 5 | 6 | 12:18 |
| რეჯანა | 31 | 9 | 10 | 12 | 30:31 | 37 | 7 | 4 | 4 | 18:13 | 2 | 6 | 8 | 12:18 |
| კარარეზე | 31 | 8 | 12 | 11 | 28:34 | 36 | 4 | 9 | 2 | 17:13 | 4 | 3 | 9 | 11:21 |
| ლუმეცანე | 31 | 6 | 14 | 11 | 26:33 | 32 | 4 | 7 | 5 | 16:15 | 2 | 7 | 6 | 10:18 |
| ლეკო | 31 | 6 | 14 | 11 | 23:31 | 32 | 3 | 9 | 3 | 10:9 | 3 | 5 | 8 | 13:22 |
| კრემონეზე | 31 | 5 | 16 | 10 | 25:31 | 31 | 3 | 9 | 3 | 15:15 | 2 | 7 | 7 | 10:16 |
| მონტევარკი | 31 | 5 | 13 | 13 | 23:36 | 28 | 4 | 6 | 5 | 13:15 | 1 | 7 | 8 | 10:21 |
| სანდონა | 31 | 3 | 17 | 11 | 23:37 | 26 | 2 | 9 | 4 | 13:15 | 1 | 8 | 7 | 10:22 |

### იტალია. სერია C1/b

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კროტონე | 31 | 18 | 11 | 2 | 56:20 | 65 | 12 | 3 | 0 | 34:6 | 6 | 8 | 2 | 22:14 |
| ანკონა | 31 | 16 | 11 | 4 | 46:22 | 59 | 10 | 6 | 0 | 31:12 | 6 | 5 | 4 | 15:10 |
| არეცო | 31 | 13 | 11 | 7 | 46:33 | 50 | 7 | 8 | 1 | 31:16 | 6 | 3 | 6 | 15:17 |
| ვიტერბეზე | 31 | 13 | 11 | 7 | 44:35 | 50 | 8 | 7 | 1 | 27:13 | 5 | 4 | 6 | 17:22 |
| ასკოლი | 31 | 11 | 16 | 4 | 46:27 | 49 | 5 | 8 | 2 | 26:14 | 6 | 8 | 2 | 20:13 |
| კატანია | 31 | 11 | 13 | 7 | 35:26 | 46 | 7 | 6 | 2 | 20:10 | 4 | 7 | 5 | 15:16 |
| პალერმო | 31 | 11 | 13 | 7 | 26:22 | 46 | 7 | 6 | 2 | 16:7 | 4 | 7 | 5 | 10:15 |
| ნოჩერინა | 31 | 9 | 15 | 7 | 25:22 | 42 | 8 | 7 | 1 | 17:6 | 1 | 8 | 6 | 7:15 |
| სტაბია | 31 | 9 | 13 | 9 | 36:34 | 40 | 7 | 5 | 4 | 24:15 | 2 | 8 | 5 | 12:19 |
| ჯულიანოვა | 31 | 10 | 8 | 13 | 33:41 | 38 | 7 | 4 | 4 | 16:11 | 3 | 4 | 9 | 17:30 |
| აველინო | 31 | 9 | 10 | 12 | 27:30 | 37 | 8 | 4 | 3 | 20:10 | 1 | 6 | 9 | 7:20 |
| ბენევენტო | 31 | 8 | 13 | 10 | 27:31 | 37 | 6 | 6 | 3 | 18:11 | 2 | 7 | 7 | 9:20 |
| დი სანგრო | 31 | 8 | 12 | 11 | 27:35 | 36 | 6 | 4 | 6 | 18:19 | 2 | 8 | 5 | 9:16 |
| ლოდიჯანი | 31 | 7 | 11 | 13 | 35:46 | 32 | 6 | 4 | 5 | 20:18 | 1 | 7 | 8 | 15:28 |
| გუალდო | 31 | 6 | 13 | 12 | 29:40 | 31 | 5 | 9 | 2 | 16:12 | 1 | 4 | 10 | 13:28 |
| ფ. ანდრია | 31 | 6 | 12 | 13 | 24:35 | 30 | 4 | 8 | 4 | 13:13 | 2 | 4 | 9 | 11:22 |
| ატლეტიკო | 31 | 5 | 9 | 17 | 23:46 | 24 | 4 | 5 | 7 | 14:22 | 1 | 4 | 10 | 9:24 |
| მარსალა | 31 | 5 | 6 | 20 | 21:61 | 21 | 2 | 4 | 9 | 10:20 | 3 | 2 | 11 | 11:41 |

### გერმანია. მეორე ბუნდესლიგა

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 28 | 15 | 8 | 5 | 52:27 | 53 | 10 | 4 | 0 | 37:9 | 5 | 4 | 5 | 15:18 |
| ბოხუმი | 28 | 14 | 6 | 8 | 49:40 | 48 | 9 | 1 | 4 | 30:21 | 5 | 5 | 4 | 19:19 |
| კოტბუსი | 28 | 14 | 3 | 11 | 50:34 | 45 | 10 | 1 | 2 | 30:11 | 4 | 2 | 9 | 20:23 |
| ნიურნბერგი | 28 | 12 | 9 | 7 | 44:40 | 45 | 10 | 4 | 0 | 32:14 | 2 | 5 | 7 | 12:26 |
| გლადბახი | 28 | 11 | 11 | 6 | 47:35 | 44 | 9 | 3 | 3 | 32:16 | 2 | 8 | 3 | 15:19 |
| ჰანოვერი | 28 | 11 | 7 | 10 | 45:42 | 40 | 7 | 4 | 3 | 27:19 | 4 | 3 | 7 | 18:23 |
| ვალდჰოფი | 28 | 9 | 12 | 7 | 42:41 | 39 | 8 | 5 | 1 | 30:19 | 1 | 7 | 6 | 12:22 |
| ალემანია | 28 | 10 | 9 | 9 | 37:44 | 39 | 6 | 4 | 3 | 20:13 | 4 | 5 | 6 | 17:31 |
| ბერლინი | 28 | 9 | 10 | 9 | 35:39 | 37 | 7 | 4 | 3 | 20:16 | 2 | 6 | 6 | 15:23 |
| ობერჰაუზენი | 28 | 8 | 11 | 9 | 32:31 | 35 | 6 | 6 | 2 | 22:14 | 2 | 5 | 7 | 10:17 |
| ფიურტი | 28 | 7 | 14 | 7 | 30:33 | 35 | 2 | 11 | 1 | 9:7 | 5 | 3 | 6 | 21:26 |
| ქემნიცი | 28 | 9 | 8 | 11 | 36:40 | 35 | 6 | 5 | 3 | 27:18 | 3 | 3 | 8 | 9:22 |
| ზტ. პაული | 28 | 7 | 13 | 8 | 29:32 | 34 | 3 | 9 | 2 | 12:11 | 4 | 4 | 6 | 17:21 |
| მაინცი | 28 | 7 | 12 | 9 | 33:33 | 33 | 5 | 8 | 1 | 18:9 | 2 | 4 | 8 | 15:24 |
| კიკერსი | 28 | 8 | 7 | 13 | 43:49 | 31 | 7 | 3 | 4 | 25:21 | 1 | 4 | 9 | 18:28 |
| ოფენბახი | 28 | 6 | 11 | 11 | 27:42 | 29 | 6 | 3 | 6 | 18:22 | 0 | 8 | 5 | 9:20 |
| ფორტუნა | 28 | 5 | 11 | 12 | 25:40 | 26 | 5 | 6 | 3 | 17:14 | 0 | 5 | 9 | 8:26 |
| კარლსრუე | 28 | 4 | 10 | 14 | 31:45 | 22 | 3 | 5 | 6 | 12:15 | 1 | 5 | 8 | 19:30 |

### ავსტრია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 30 | 19 | 5 | 6 | 53:20 | 62 | 12 | 2 | 1 | 32:6 | 7 | 3 | 5 | 21:14 |
| ტიროლი | 30 | 19 | 5 | 6 | 43:24 | 62 | 11 | 2 | 1 | 24:5 | 8 | 3 | 5 | 19:19 |
| შტურმი | 30 | 17 | 7 | 6 | 55:25 | 58 | 11 | 2 | 2 | 39:14 | 6 | 5 | 4 | 16:11 |
| რიდი | 30 | 13 | 6 | 11 | 47:31 | 45 | 9 | 2 | 4 | 29:11 | 4 | 4 | 7 | 18:20 |
| აუსტრია | 30 | 12 | 6 | 12 | 40:40 | 42 | 8 | 1 | 6 | 25:23 | 4 | 5 | 6 | 15:17 |
| გრაცერი | 30 | 12 | 4 | 14 | 35:44 | 40 | 8 | 3 | 4 | 20:13 | 4 | 1 | 10 | 15:31 |
| ზალცბურგი | 30 | 10 | 8 | 12 | 29:35 | 38 | 8 | 4 | 4 | 20:13 | 2 | 4 | 8 | 9:22 |
| ლინცერი | 30 | 7 | 7 | 16 | 34:44 | 28 | 5 | 4 | 6 | 22:16 | 2 | 3 | 10 | 12:28 |
| ბრეგენცი | 30 | 7 | 5 | 18 | 25:63 | 26 | 4 | 5 | 6 | 14:23 | 3 | 0 | 12 | 11:40 |
| ლუსტენაუ | 30 | 4 | 7 | 19 | 19:54 | 19 | 3 | 5 | 7 | 13:18 | 1 | 2 | 12 | 6:36 |

### დანია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჰერფიოლგე | 26 | 13 | 5 | 8 | 39:37 | 44 | 9 | 2 | 3 | 27:18 | 4 | 3 | 5 | 12:19 |
| ბრონდბიუ | 26 | 12 | 7 | 7 | 46:30 | 43 | 9 | 3 | 1 | 30:10 | 3 | 4 | 6 | 16:20 |
| ვიბორგი | 26 | 12 | 6 | 8 | 39:36 | 42 | 5 | 4 | 3 | 17:15 | 7 | 2 | 5 | 22:21 |
| ოლბორგი | 26 | 10 | 11 | 5 | 46:28 | 41 | 7 | 3 | 3 | 27:13 | 3 | 8 | 2 | 19:15 |
| სილკებორგი | 26 | 11 | 7 | 8 | 42:28 | 40 | 8 | 4 | 1 | 23:7 | 3 | 3 | 7 | 19:21 |
| ლიუნგბიუ | 26 | 12 | 4 | 10 | 41:37 | 40 | 9 | 0 | 5 | 29:18 | 3 | 4 | 5 | 12:19 |
| აკადემისკი | 26 | 10 | 8 | 8 | 37:30 | 38 | 5 | 4 | 4 | 21:15 | 5 | 4 | 4 | 16:15 |
| კოპენჰაგენი | 26 | 10 | 4 | 12 | 36:31 | 34 | 7 | 2 | 4 | 20:14 | 3 | 2 | 8 | 16:17 |
| ოდენსე | 26 | 7 | 9 | 10 | 24:33 | 30 | 2 | 6 | 5 | 11:20 | 5 | 3 | 5 | 13:13 |
| ორჰუსი | 26 | 7 | 7 | 12 | 27:39 | 28 | 5 | 3 | 4 | 17:14 | 2 | 4 | 8 | 10:25 |
| ვაილე | 26 | 5 | 10 | 11 | 30:53 | 25 | 2 | 6 | 5 | 15:28 | 3 | 4 | 6 | 15:25 |
| ესბიერგი | 26 | 6 | 4 | 16 | 27:52 | 22 | 3 | 4 | 6 | 12:13 | 3 | 0 | 10 | 15:39 |

### ესპანეთი. მეორე დივიზიონი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლას პალმასი | 36 | 16 | 11 | 9 | 48:34 | 59 | 8 | 6 | 4 | 24:13 | 8 | 5 | 5 | 24:19 |
| ვილიარეალი | 36 | 16 | 10 | 10 | 52:38 | 58 | 9 | 5 | 4 | 24:17 | 7 | 5 | 6 | 28:21 |
| ესტრემადურა | 36 | 15 | 12 | 9 | 43:37 | 57 | 11 | 7 | 0 | 29:9 | 4 | 5 | 9 | 14:28 |
| ლეიდა | 36 | 16 | 7 | 13 | 55:44 | 55 | 10 | 4 | 4 | 31:16 | 6 | 3 | 9 | 24:28 |
| სპორტინგი | 36 | 16 | 7 | 13 | 48:41 | 55 | 9 | 3 | 6 | 26:18 | 7 | 4 | 7 | 22:23 |
| ოსასუნა | 36 | 16 | 6 | 14 | 35:30 | 54 | 10 | 3 | 5 | 21:10 | 6 | 3 | 9 | 14:20 |
| სალამანკა | 36 | 14 | 11 | 11 | 43:36 | 53 | 8 | 4 | 5 | 23:14 | 6 | 7 | 6 | 20:22 |
| ლევანტე | 36 | 13 | 13 | 10 | 45:43 | 52 | 10 | 6 | 2 | 28:13 | 3 | 7 | 8 | 17:30 |
| ტენერიფე | 36 | 13 | 11 | 12 | 44:41 | 50 | 9 | 6 | 3 | 31:17 | 4 | 5 | 9 | 13:24 |
| კორდობა | 36 | 13 | 11 | 12 | 39:38 | 50 | 10 | 2 | 6 | 24:22 | 3 | 9 | 6 | 15:16 |
| მერიდა | 36 | 12 | 13 | 11 | 34:33 | 49 | 7 | 7 | 4 | 20:14 | 5 | 6 | 7 | 14:19 |
| ლეგანესი | 36 | 13 | 13 | 10 | 37:37 | 49 | 8 | 7 | 3 | 18:8 | 5 | 6 | 7 | 19:29 |
| ბადახოსი | 36 | 9 | 21 | 6 | 33:29 | 48 | 4 | 10 | 4 | 18:20 | 5 | 11 | 2 | 15:9 |
| ალბასეტე | 36 | 12 | 12 | 12 | 41:46 | 48 | 7 | 6 | 4 | 20:17 | 5 | 6 | 8 | 21:29 |
| ელჩე | 36 | 10 | 16 | 10 | 39:43 | 46 | 6 | 9 | 3 | 22:21 | 4 | 7 | 7 | 17:22 |
| ეიბარი | 36 | 11 | 13 | 12 | 39:45 | 46 | 7 | 7 | 4 | 21:16 | 4 | 6 | 8 | 18:29 |
| ხეტაფე | 36 | 12 | 8 | 16 | 35:40 | 44 | 8 | 4 | 6 | 21:17 | 4 | 4 | 10 | 14:23 |
| ატლეტიკო B | 36 | 11 | 9 | 16 | 38:49 | 42 | 6 | 4 | 8 | 24:26 | 5 | 5 | 8 | 14:23 |
| კომპოსტელა | 36 | 9 | 14 | 13 | 43:49 | 41 | 6 | 6 | 6 | 24:21 | 3 | 8 | 7 | 19:28 |
| უელვა | 36 | 10 | 9 | 17 | 36:47 | 39 | 5 | 5 | 9 | 22:25 | 5 | 4 | 8 | 14:22 |
| ლოგრონიესი | 36 | 9 | 11 | 16 | 44:49 | 38 | 6 | 8 | 4 | 27:23 | 3 | 3 | 12 | 17:26 |
| ტოლედო | 36 | 7 | 8 | 21 | 27:49 | 29 | 6 | 4 | 9 | 19:22 | 1 | 4 | 12 | 8:27 |

### პორტუგალია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 31 | 21 | 8 | 2 | 51:21 | 71 | 13 | 3 | 0 | 31:9 | 8 | 5 | 2 | 20:12 |
| პორტუ | 31 | 21 | 6 | 4 | 60:20 | 69 | 15 | 1 | 0 | 40:8 | 6 | 5 | 4 | 20:12 |
| ბენფიკა | 31 | 18 | 6 | 7 | 52:32 | 60 | 12 | 2 | 1 | 31:11 | 6 | 4 | 6 | 21:21 |
| ბოავიშტა | 31 | 15 | 6 | 10 | 36:28 | 51 | 9 | 2 | 4 | 19:12 | 6 | 4 | 6 | 17:16 |
| ჟილ ვისენტე | 31 | 13 | 9 | 9 | 44:31 | 48 | 9 | 4 | 2 | 31:11 | 4 | 5 | 7 | 13:20 |
| გიმარაეში | 31 | 14 | 5 | 12 | 44:35 | 47 | 12 | 1 | 3 | 30:13 | 2 | 4 | 9 | 14:22 |
| მარიტიმუ | 31 | 12 | 11 | 8 | 36:30 | 47 | 7 | 7 | 1 | 16:6 | 5 | 4 | 7 | 20:24 |
| ამადორა | 31 | 9 | 14 | 8 | 33:30 | 41 | 5 | 6 | 4 | 17:13 | 4 | 8 | 4 | 16:17 |
| ბელენენსეში | 31 | 9 | 13 | 9 | 35:34 | 40 | 6 | 8 | 2 | 21:16 | 3 | 5 | 7 | 14:18 |
| ბრაგა | 31 | 12 | 4 | 15 | 39:40 | 40 | 8 | 1 | 7 | 23:18 | 4 | 3 | 8 | 16:22 |
| ლეირია | 31 | 9 | 11 | 11 | 28:30 | 38 | 6 | 6 | 4 | 17:12 | 3 | 5 | 7 | 11:18 |
| ალვერკა | 31 | 10 | 7 | 14 | 36:44 | 37 | 8 | 4 | 4 | 23:15 | 2 | 3 | 10 | 13:29 |
| ფარენსე | 31 | 7 | 10 | 14 | 30:55 | 31 | 5 | 5 | 5 | 19:21 | 2 | 5 | 9 | 11:34 |
| რიუ ავე | 31 | 7 | 9 | 15 | 30:47 | 30 | 6 | 6 | 4 | 22:19 | 1 | 3 | 11 | 8:28 |
| სალგეიროში | 31 | 8 | 6 | 17 | 25:43 | 30 | 4 | 5 | 6 | 12:18 | 4 | 1 | 11 | 13:25 |
| კამპომაიორ. | 31 | 8 | 6 | 17 | 28:47 | 30 | 7 | 3 | 6 | 16:17 | 1 | 3 | 11 | 12:30 |
| სეტუბალი | 31 | 8 | 5 | 18 | 23:47 | 29 | 6 | 2 | 7 | 17:20 | 2 | 3 | 11 | 6:27 |
| სანტა კლარა | 31 | 5 | 10 | 16 | 29:45 | 25 | 3 | 7 | 5 | 15:20 | 2 | 3 | 11 | 14:25 |

### ბელგია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 32 | 21 | 8 | 3 | 83:35 | 71 | 11 | 3 | 2 | 46:17 | 10 | 5 | 1 | 37:18 |
| ბრიუგე | 32 | 19 | 4 | 9 | 65:31 | 61 | 12 | 0 | 4 | 44:14 | 7 | 4 | 5 | 21:17 |
| გენტი | 32 | 19 | 3 | 10 | 74:51 | 60 | 9 | 2 | 5 | 41:28 | 10 | 1 | 5 | 33:23 |
| სტანდარდი | 32 | 18 | 2 | 12 | 65:47 | 56 | 11 | 1 | 4 | 34:15 | 7 | 1 | 8 | 31:32 |
| მუსკრონი | 32 | 15 | 8 | 9 | 65:44 | 53 | 9 | 4 | 3 | 35:19 | 6 | 4 | 6 | 30:25 |
| ლიერსი | 32 | 15 | 7 | 10 | 63:43 | 52 | 12 | 2 | 2 | 41:13 | 3 | 5 | 8 | 22:30 |
| ბეერსხოტი | 32 | 15 | 7 | 10 | 52:43 | 52 | 12 | 3 | 1 | 36:14 | 3 | 4 | 9 | 16:29 |
| ვესტერლო | 32 | 14 | 8 | 10 | 66:63 | 50 | 12 | 3 | 1 | 50:24 | 2 | 5 | 9 | 16:39 |
| გენკი | 32 | 14 | 6 | 12 | 58:57 | 48 | 7 | 4 | 5 | 29:22 | 7 | 2 | 7 | 29:35 |
| ლოკერენი | 32 | 10 | 11 | 11 | 49:55 | 41 | 7 | 4 | 5 | 32:26 | 3 | 7 | 6 | 17:29 |
| მეხელენი | 32 | 12 | 5 | 15 | 46:72 | 41 | 9 | 4 | 3 | 31:22 | 3 | 1 | 12 | 15:50 |
| აალსტი | 32 | 11 | 3 | 18 | 52:68 | 36 | 7 | 1 | 8 | 28:28 | 4 | 2 | 10 | 24:40 |
| ბევერენი | 32 | 9 | 8 | 15 | 48:60 | 35 | 4 | 6 | 6 | 21:24 | 5 | 2 | 9 | 27:36 |
| სტ. ტრუიდენი | 32 | 9 | 7 | 16 | 38:60 | 34 | 6 | 5 | 5 | 18:23 | 3 | 2 | 11 | 20:37 |
| ჰარელბეკე | 32 | 9 | 5 | 18 | 52:69 | 32 | 7 | 4 | 5 | 35:29 | 2 | 1 | 13 | 17:40 |
| გეელი | 32 | 5 | 13 | 14 | 31:54 | 28 | 4 | 6 | 6 | 19:23 | 1 | 7 | 8 | 12:31 |
| შარლერუა | 32 | 6 | 9 | 17 | 38:61 | 27 | 4 | 3 | 9 | 21:31 | 2 | 6 | 8 | 17:30 |
| ლომელი | 32 | 4 | 12 | 16 | 30:62 | 24 | 3 | 8 | 5 | 17:25 | 1 | 4 | 11 | 13:37 |

### ჰოლანდია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 31 | 24 | 3 | 4 | 94:23 | 75 | 12 | 1 | 2 | 51:11 | 12 | 2 | 2 | 43:12 |
| ჰერენვენი | 31 | 20 | 3 | 8 | 61:34 | 63 | 11 | 2 | 3 | 36:16 | 9 | 1 | 5 | 25:18 |
| აიაქსი | 31 | 17 | 7 | 7 | 70:45 | 58 | 11 | 1 | 4 | 43:23 | 6 | 6 | 3 | 27:22 |
| ფეიენოორდი | 31 | 16 | 9 | 6 | 58:38 | 57 | 9 | 3 | 3 | 24:10 | 7 | 6 | 3 | 34:28 |
| ვიტესი | 31 | 16 | 8 | 7 | 61:41 | 56 | 12 | 1 | 2 | 39:21 | 4 | 7 | 5 | 22:20 |
| ტვენტე | 31 | 15 | 11 | 5 | 50:33 | 56 | 11 | 3 | 2 | 34:18 | 4 | 8 | 3 | 16:15 |
| ალკმარი | 31 | 17 | 4 | 10 | 64:50 | 55 | 8 | 3 | 5 | 27:13 | 9 | 1 | 5 | 37:37 |
| როდა | 31 | 13 | 7 | 11 | 54:48 | 46 | 9 | 0 | 6 | 35:23 | 4 | 7 | 5 | 19:25 |
| ტილბურგი | 31 | 13 | 7 | 11 | 52:59 | 46 | 8 | 5 | 3 | 32:29 | 5 | 2 | 8 | 20:30 |
| უტრეხტი | 31 | 13 | 3 | 15 | 51:57 | 42 | 9 | 3 | 3 | 30:19 | 4 | 0 | 12 | 21:38 |
| ვალვაიკი | 31 | 11 | 6 | 14 | 40:58 | 39 | 5 | 6 | 5 | 22:30 | 6 | 0 | 9 | 18:28 |
| სიტარდი | 31 | 9 | 7 | 15 | 42:50 | 34 | 6 | 5 | 5 | 29:25 | 3 | 2 | 10 | 13:25 |
| სპარტა | 31 | 10 | 4 | 17 | 45:64 | 34 | 7 | 2 | 7 | 28:27 | 3 | 2 | 10 | 17:37 |
| გრააფსხაპი | 31 | 8 | 8 | 15 | 38:52 | 32 | 5 | 5 | 5 | 20:19 | 3 | 3 | 10 | 18:33 |
| ნაიმეგენი | 31 | 7 | 6 | 18 | 35:56 | 27 | 7 | 1 | 8 | 17:20 | 0 | 5 | 10 | 18:36 |
| მაასტრიხტი | 31 | 5 | 6 | 20 | 35:66 | 21 | 3 | 4 | 8 | 19:29 | 2 | 2 | 12 | 16:37 |
| კამბური | 31 | 4 | 7 | 20 | 29:62 | 19 | 2 | 5 | 8 | 16:26 | 2 | 2 | 12 | 13:36 |
| დენ ბოსხი | 31 | 3 | 10 | 18 | 28:71 | 19 | 2 | 8 | 5 | 17:29 | 1 | 2 | 13 | 11:42 |

### საფრანგეთი. მეორე დივიზიონი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 34 | 22 | 7 | 5 | 50:24 | 73 | 14 | 1 | 1 | 27:7 | 8 | 6 | 4 | 23:17 |
| გენგამი | 34 | 18 | 10 | 6 | 60:37 | 64 | 10 | 4 | 3 | 35:19 | 8 | 6 | 3 | 25:18 |
| ტულუზი | 34 | 16 | 7 | 11 | 45:29 | 55 | 8 | 3 | 6 | 25:13 | 8 | 4 | 5 | 20:16 |
| სოშო | 34 | 15 | 7 | 12 | 46:39 | 52 | 9 | 2 | 6 | 26:19 | 6 | 5 | 6 | 20:20 |
| ლავალი | 34 | 13 | 13 | 9 | 38:35 | 49 | 10 | 3 | 4 | 23:16 | 3 | 10 | 5 | 15:19 |
| ლე მანი | 34 | 11 | 15 | 8 | 40:37 | 48 | 7 | 10 | 0 | 23:12 | 4 | 5 | 8 | 17:25 |
| აიაჩო | 34 | 13 | 8 | 13 | 34:37 | 47 | 9 | 2 | 6 | 17:13 | 4 | 6 | 7 | 17:24 |
| გენიონი | 33 | 10 | 16 | 7 | 41:29 | 46 | 5 | 8 | 3 | 22:14 | 5 | 8 | 4 | 19:15 |
| კაენი | 34 | 10 | 16 | 8 | 42:34 | 46 | 6 | 8 | 3 | 28:18 | 4 | 8 | 5 | 14:16 |
| შატორუ | 34 | 11 | 11 | 12 | 35:38 | 44 | 6 | 5 | 5 | 18:17 | 5 | 5 | 7 | 14:18 |
| ლორიანი | 34 | 11 | 10 | 13 | 29:34 | 43 | 5 | 8 | 4 | 19:13 | 6 | 2 | 9 | 10:21 |
| კანი | 34 | 10 | 12 | 12 | 29:32 | 42 | 7 | 5 | 5 | 14:14 | 3 | 7 | 7 | 15:18 |
| ნიმი | 34 | 10 | 11 | 13 | 37:39 | 41 | 6 | 7 | 4 | 24:21 | 4 | 4 | 9 | 13:18 |
| ნიორი | 34 | 9 | 14 | 11 | 37:41 | 41 | 8 | 5 | 4 | 21:19 | 1 | 9 | 7 | 16:22 |
| ნიცა | 34 | 7 | 20 | 7 | 25:30 | 41 | 4 | 12 | 1 | 14:8 | 3 | 8 | 6 | 11:22 |
| ვასკეალი | 34 | 8 | 15 | 11 | 30:36 | 39 | 6 | 8 | 4 | 19:17 | 2 | 7 | 7 | 11:19 |
| კრეტეი | 34 | 10 | 9 | 15 | 32:45 | 39 | 8 | 7 | 4 | 26:22 | 2 | 3 | 11 | 9:26 |
| ამიენი | 33 | 7 | 14 | 12 | 30:38 | 35 | 4 | 8 | 4 | 15:14 | 3 | 6 | 8 | 15:24 |
| ვალანსი | 34 | 5 | 14 | 15 | 30:48 | 29 | 5 | 7 | 5 | 16:15 | 0 | 7 | 10 | 14:33 |
| ლუანი | 34 | 5 | 9 | 20 | 28:56 | 24 | 4 | 6 | 7 | 16:19 | 1 | 3 | 13 | 12:37 |

### საბერძნეთი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 29 | 25 | 2 | 2 | 75:17 | 77 | 13 | 1 | 0 | 45:8 | 12 | 1 | 2 | 30:9 |
| პანათინაიკოსი | 29 | 24 | 4 | 1 | 76:21 | 76 | 14 | 1 | 0 | 46:7 | 10 | 3 | 1 | 30:14 |
| ოფი | 29 | 15 | 9 | 5 | 51:37 | 54 | 9 | 3 | 3 | 31:22 | 6 | 6 | 2 | 20:15 |
| აეკ | 29 | 15 | 6 | 8 | 54:37 | 51 | 10 | 0 | 4 | 30:14 | 5 | 6 | 4 | 24:23 |
| პანიონიოსი | 29 | 14 | 2 | 13 | 46:49 | 44 | 8 | 2 | 4 | 25:16 | 6 | 0 | 9 | 21:33 |
| პაოკ | 29 | 11 | 10 | 8 | 48:37 | 43 | 8 | 4 | 3 | 33:18 | 3 | 6 | 5 | 15:19 |
| არისი | 29 | 12 | 7 | 10 | 41:36 | 43 | 8 | 5 | 2 | 28:15 | 4 | 2 | 8 | 13:21 |
| ირაკლისი | 29 | 13 | 4 | 12 | 50:49 | 43 | 11 | 0 | 3 | 33:18 | 2 | 4 | 9 | 17:31 |
| ქსანტი | 29 | 10 | 8 | 11 | 32:37 | 38 | 9 | 4 | 2 | 23:10 | 1 | 4 | 9 | 9:27 |
| იონიკოსი | 29 | 9 | 10 | 10 | 36:41 | 37 | 7 | 5 | 3 | 22:11 | 2 | 5 | 7 | 14:30 |
| პანილიაკოსი | 29 | 10 | 4 | 15 | 35:41 | 34 | 7 | 1 | 6 | 21:19 | 3 | 3 | 9 | 14:22 |
| პანაჰაიკი | 29 | 7 | 11 | 11 | 30:38 | 32 | 6 | 3 | 6 | 21:17 | 1 | 8 | 5 | 9:21 |
| კალამატა | 29 | 8 | 8 | 13 | 30:49 | 32 | 4 | 8 | 3 | 15:14 | 4 | 0 | 10 | 15:35 |
| ეთნიკოსი | 29 | 9 | 4 | 16 | 25:45 | 31 | 8 | 2 | 4 | 20:13 | 1 | 2 | 12 | 5:32 |
| კავალა | 29 | 8 | 6 | 15 | 31:51 | 30 | 7 | 3 | 4 | 20:21 | 1 | 3 | 11 | 11:30 |
| პროდეფტიკი | 29 | 5 | 7 | 17 | 24:44 | 22 | 4 | 6 | 5 | 13:17 | 1 | 1 | 12 | 11:27 |
| აპოლონი | 29 | 5 | 6 | 18 | 22:44 | 21 | 3 | 4 | 7 | 11:20 | 2 | 2 | 11 | 11:24 |
| ტრიკალა | 29 | 4 | 6 | 19 | 26:59 | 18 | 2 | 5 | 7 | 14:21 | 2 | 1 | 12 | 12:38 |

# ლეგენდა უიმბლდონზე



მარტინა ნავრატილოვა

მარტინა ნავრატილოვა აპირებს თავისი ისედაც შთამბეჭდავი ტიტულების კოლექციას კიდევ ერთი შემატოს — წლევანდელ უიმბლდონზე ის ქალთა წყვილებში გამარჯვებას გეგმავს.

43 წლის ცოცხალმა ლეგენდამ ამ რამდენიმე დღის წინ „ოლ ინგლენდ კლაბის“ თავკაცებს სთხოვა, მისთვის უაილდ ქარდი გამოეყოთ წყვილებში საასპარეზოდ და, რაღა თქმა უნდა, თანხმობაც მიიღო.

„ეს ფანტასტიკური იქნება, მოუთმენლად ველი უიმბლდონის დაწყებას. დარწმუნებული ვარ, კარგ დროს გავატარებ და დიდ სიამოვნებასაც მივიღებ. იცით, თამაში ჯერაც არ დამვიწყებია“ — აღნიშნა BBC-სთან ინტერვიუში მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა.

ოფიციალურად დიდ სპორტს ნავრატილოვა 1994-ის ბოლოს გამოეთხოვა, თუმცა 1995-ში უიმბლდონზე თავისი უკანასკნელი გამარჯვება იზეიმა შერეულ წყვილებში. მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე მარტინას სულ 19 ტიტული აქვს მოპოვებული (9 ერთეულებში, 7 წყვილებსა და სამიც შერეულ წყვილებში), ერთით ნაკლები, ვიდრე კიდევ ერთ ლესბოსელ ბილი ჯინ კინგს.

ნავრატილოვას დაბრუნებაც სწორედ ამ რეკორდის გაუმჯობესების სურვილმა გამოიწვია. „ვფიქრობ, მარტინას ყოველთვის ეჭირა თვალი ამ მიღწევაზე. ბოლო ხანს ის ბევრს ვარჯიშობდა და მშვენიერ ფორმაშიცაა. უიმბლდონისადმი მას განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს და იქ დაბრუნების შესაძლებლობა არასოდეს გამოურიცხავს“ — განაცხადა ჩოგბურთელის წარმომადგენელმა ლინდა დოზორეცმა.

დოზორეცის თქმით, ნავრატილოვას უიმბლდონზე თამაშის იდეა შარშან, შერეულ წყვილებში შტეფი გრაფისა და ჯონ მაკინროის ასპარეზობის ხილვის შემდეგ გაუჩნდა. ეს უკანასკნელი ხომ მასზე არანაკლებ ასაკოვანია და პენსიაზეც რამდენიმე წელია გავიდა, თუმცა გაცილებით ახალგაზრდა მეტოქეებს მაინც არაფერი დაუთმო.

როგორც უკვე გაუწყეთ, მარტინა უიმბლდონამდე ისტბურნის ტურნირზე გაივლის გენერალურ რეპეტიციას, მთელი ინგლისური ოდისეის მანძილზე კი მისი მეწყვილე ზორბა სამხრეთაფრიკელი მარიან დე შვარდტი იქნება.





ჰალილ მუტლუ

# მუტლუ 500 გრამით დამძიმდა

სოფიაში ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი დაიწყო. ორიოდე დღე გამოხდება და ჩვენებური გიორგი ასანიძეც გავა ფიცარნაგზე, ოღონდ ის 77-კილოგრამიანთა წონით კატეგორიაში იასპარეზებს, იქამდე კი საქმე ჯერ არ მისულა. ბულგარეთის დედაქალაქში თავიდან მსუბუქი წონის ძალოსნებმა ასწიეს შტანგა. დასაწყისიდანვე ორი მსოფლიოს რეკორდი დამყარდა, ერთი აკვრასა და ერთიც ატაცში. აკვრაში თურქმა ჰალილ მუტლუმ იყოჩაღა, რომელიც თავად 56 კილოგრამი არცაა და 166,5 კილოიან სიმძიმეს კი მოერია. ამით მან, შარშან ათენის მსოფლიოს პირველობაზე დამყარებულ თავისსავე რეკორდს 500 გრამი შემატა და ევროპული ოქროც შეირგო. ქალთაგან ჩემპიონატის სტარტის გმირი ბულგარელი დონკა მინჩევა გახდა, რომელმაც 48 კილოგრამამდე კატეგორიაში მოიპოვა პირველობა და თანაც უახლოეს მდევარზე 17,5 კილოგრამით მეტი ასწია აკვრისა და ატაცის ჯამში. ამ უკანასკნელში მინჩევასგან მიღწეული შედეგი უფრო დასაფასებელი გახლავთ, რადგან ამ წონაში 85 კილოგრამი დღემდე არავის დაუმორჩილებია.

დავით გულუა

# ჩოგბურთის სასახელო შვილები

ATP ტურის ყოველწლიურმა დაჯილდოების ცერემონიალმა მონტე კარლოში მეტად უფერულად ჩაიარა — გამარჯვებულთა უმეტესობას ხომ თავისი პრიზის მისაღებად მილიონერთა ქალაქში ჩასვლითაც კი არ შეუწუხებია თავი.

არ იყო ანდრე აგასი, რომელიც კარიერაში პირველად აღიარეს წლის საუკეთესო ჩოგბურთელად და არც პიტ სამპრასი, რომელსაც იგივე ჯილდო მანამდე ზედიზედ ექვსჯერ მოეგო.

მონაკოელებს ზრდილობიანი უარი შეუთვალა ავსტრალიელმა პატრიკ რაფტერმაც, რომელსაც სტეფან ედბერგის სახელობის პრიზი ერგო კორტზე ჯენტლმენური საქციელისთვის.

როგორც მოსალოდნელი იყო, წლის საუკეთესო წყვილად ინდოელები, მაჰეშ ბჰუპატი და ლეანდერ პაესი დაასახელეს. ისინი შარშან ოთხივე დიდი სლემის ტურნირის ფინალში გავიდნენ და სერიოზული კონკურენტები, აგასის მსგავსად, არც ჰყოლიათ.

1999-ის ყველაზე გაუმჯობესებულ მოთამაშის კატეგორიაში ეკვადორელმა ნიკოლას ლაპენტიმ მცირედით აჯობა გერმანელ ნიკოლას კიფერს. „მაუგლიმ“ ამ 12 თვის მანძილზე კლასიფიკაციაში 92-დან მერვე ადგილზე გადაინაცვლა და უამრავი, ძირითადად მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა გულიც მოინადირა.

ელიტაში დაბრუნებისთვის გარჯა ამერიკელ კრის ვუდრაფს დაუფასეს. მძიმე ტრავმების შედეგად ამერიკელმა 1998-ში ერთადერთ ტურნირზე ითამაშა და წლის ბოლოს კლასიფიკაციაში 1342-ე ადგილზე ჩამოქვეითდა, თუმცა მუხლი მოირჩინა თუ არა, თითქმის 1300 (!) საფეხურით წაიწია წინ.

საუკეთესო ახალბედის კატეგორიაში არჩევანი ძალიან დიდი იყო, თუმცა საბოლოოდ შვედ ანდრეას ვინსიგერასა და შვეიცარიელ როჯერ ფედერერს ჟიურიმ 20 წლის ესპანელი ხუან კარლოს ფერერო ამჯობინა. ფერერომ მშობლიურ თიხნარის კორტებზე შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწია და მალიორკას ტურნირის ფინალში თვით ალექს კორეტხაც დაამარცხა.



ანდრე აგასი

ATP ტურის გულუხვმა თავკაცობამ რამდენიმე დამაშვრალ ჩოგბურთელს ტიტულთა რაოდენობის დამრგვალებაც საგანგებო პრიზებით მიულოცა. იუბილართა შორის მოხვდნენ ალბერტ კოსტა (10 გამარჯვება ტურნირებზე), ევგენი კაფელნიკოვი (20), ანდრე აგასი (40) და პიტ სამპრასი (60).



# ცილამ გერმანელებს აწყინა



მასპინძლებს გაგერმანელებულმა ჩინელმა გუან ჩუნგმაც ვერ უშველა

ბრემენის „სტადტჰალე არენაზე“ მაგიდის ჩოგბურთელთა ევროპის გუნდური პირველობა მიმდინარეობს, შემდეგ კი ერთეულთა შეჯიბრიც მოეწყობა. ქალებში თორმეტი ევროპული ნაკრები თამაშობს: გერმანია, რუსეთი, იტალია, რუმინეთი, შვედეთი და საფრანგეთი პირველ ჯგუფში და უნგრეთი, ხორვატია, ჩეხეთი, ინგლისი, ბელარუსი, ჰოლანდია — მეორეში. თუ ამ სიიდან ხორვატიას, რუმინეთს, იტალიას, უნგრეთსა და ბელარუსს ამოვაგდებთ და სამაგიეროდ დანიას, ავსტრიას, იუგოსლავიას, პოლონეთსა და ბელგიას ჩავრთავთ, კაცთა ნაკრებების ნუსხაც ხელთ გვექნება. ჩემპიონატის ნახევარფინალებამდე საჭირო ჯგუფური შეხვედრები ორივეგან უკლებლივ ჩატარდა. ქალებში ფავორიტებად გერმანელები ითვლებოდნენ და იმათაც თავიანთ ჯგუფში ყველა მატჩი ოფლისდაუღვრელად მოიგეს, ისევე, როგორც უნგრელებმა თავიანთში. არც მათი წარმატება გაკვირვებია ვინმეს უსაშველოდ, ქალთა სამაგიდე ჩოგბურთში მადიარებიც ისტორიულად ავტორიტეტები არიან. ჯგუფების მეორეადგილოსნებს, რუსებსა და ხორვატებს კი ფრიადმა გარჯამ მოუწიათ ნახევარფინალის საგზურებისთვის და ცხადია, არა ამიტომ, არამედ კლასით დაბლა დგომის გამო უკანასკნელებმა მასპინძლებთან და ჩრდილოელებმა კიდევ უნგრელებთან ერთნაირად სასტიკი ნახევარფინალური მარცხები იწვნიეს — 0:4. ფინალი გერმანიისა და უნგრეთის მონაწილეობით ძლიერ დამაინტრიგებელი იყო, რახან ეს ორი გუნდი ბრემენში სხვებზე ორი თავით მაღალი ჩანდა და ახლა მათში რომელი გამოდგებოდა მილიმეტრით მაინც აღმატებული, ერთობ საინტერესო გახლდათ. გადამწყვეტ შერკინებამდე მესამე ადგილის ბედი გაირკვა, როცა ხორვატიამ რუსეთს იოლად სძლია — 4:0. ფინალის გმირი კი უნგრელი ვეტერანი ქალბატონი, ცილა ბატორფი გახდა, რომელმაც ორი მოგებით უნგრელთა ერთიანი გამარჯვებაც გამოჭედა — 4:2. დაჯილდოების ცერემონიალზე გერმანელებმა ცრემლები ღვარეს, ხოლო მათმა მწვრთნელმა, მარტინ ადომეიტმა უნგრელთა გამარჯვებას მართებული უწოდა, თამაშიდან თამაშამდე უმატებდნენ, ჩვენ კი სწორედ ფინალის წინ გამოგველია ძალაო.

კაცთა ნახევარფინალისტებიდან ორი რომ შვედეთი და გერმანია იქნებოდა, რაღა გარკვევა უნდოდა — სკანდინაველები ახლახან მალაიზიაში მსოფლიოს ჩემპიონები ხომ გახდნენ და ჯგუფშიც სულ ვარჯიშ-ვარჯიშით მოიგეს ხუთივე მატჩი, ისევე, როგორც გერმანელებმა. მეორე ადგილებისთვის გაცეცხლებული ბრძოლა შედგა და ნახევარფინალის ერთი საგზური დანიას დარჩა, მეორე — პოლონეთს, თუმცა არც ერთი იყო ამაზე მეტის შემძლე და ნახევარფინალების შემდეგ ორივე ბრინჯაოს მოდავე შეიქნა. ისე, აუცილებლად უნდა შევნიშნოთ, რომ პოლონელებმა ლამის ჩემპიონატის სენსაცია გამოაცხვეს. ნახევარფინალში შვედეთის წინააღმდეგ ისინი 2:0 დაწინაურდნენ, მერე სამი ხელი წააგეს და ვერც ამან შეაშინათ. ტომაშ კრზეჟევსკიმ ცნობილი პეტერ კარლსონი დაამარცხა, ანგარიში გაათანაბრა და იორგენ პერსონს რომ ბოლოს არ ევარგა, ვინ იცის... მისმა იოლმა გამარჯვებამ მარტინ კუსინსკიზე — 21:14, 21:8 — მსოფლიოს ჩემპიონებს ევროპირველობის ფინალისტობაც არგუნა, სადაც მათ გერმანელები დაუხვდებიან.

დავით გულუა

# გვათამაშეთ სანტანდერში

ესპანეთსა და აშშ-ს შორის დევისის თასის ნახევარფინალური შეხვედრისთვის მასპინძელი ქალაქის შერჩევას საშველი არ დაადგა — ესპანელებს მატჩის ჩატარება სანტანდერში სურთ, ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციას (ITF) კი ეს იდეა გულზე მიანცდამაინც არ ეხატება.

„სანტანდერი არ არის ცნობილი ქალაქი, არც სილამაზით გამოირჩევა და არც საერთაშორისო დონის აეროპორტი აქვს“ — დაახლოებით ასეთი განცხადებით დაუწუნა ITF-მა არჩევანი ესპანელებს.

თუმცა მასპინძლები არ ნებდებიან და საერთაშორისო ფედერაციისგან დაბეჯითებით ითხოვენ ქვეყნის ჩრდილოეთში შეხვედრის ჩატარების ნებართვას. „ჩვენ ITF-ს კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ, გადახედოს თავის გადაწყვეტილებას. თუ არაფერი გამოვიდა, ალბათ, ვალენსიაში ვითამაშებთ, მაგრამ ძალიან გვსურს, სწორედ სანტანდერში ვიასპარეზოთ“ — აღნიშნა ესპანეთის ჩოგბურთის ფედერაციის თავკაცმა აგუსტო პუიოლმა.

ძნელი სათქმელია, რა დარჩენიათ ესპანელებს სწორედ სანტანდერში და რას უწუნებენ, ვთქვათ, მადრიდს ან ბარსელონას, მაგრამ პრეზიდენტს გუნდის კაპიტანმა ხუან ავენდონომაც დაუკრა კვერი: „სანტანდერში თამაშისთვის ისეთი პირობებია, როგორიც ჩვენ ჩოგბურთელებს ხელს აძლევს — ნელი საფარი, სწრაფი ბურთები (თითქოს სხვაგან ასეთი რამ არ მოიძებნებოდეს) და ნესტიანი კლიმატი“.

ავთანდილ სვანიძე

**ბარსელონა. ესპანეთი. OPEN SEAT GODO. თიხნარი. საპრიზო 1 მილიონი $**

პირველი წრე: **ტომი ჰაასი** (9, გერმანია) — გასტონ ეტლისი (არგენტინა) 7:5, 4:6, 6:4; **სარგის სარგსიანი** (სომხეთი) — ალბერტ კოსტა (10, ესპანეთი) 7:6 (7:2), 6:4; **მარატ საფინი** (რუსეთი) — მარიანო ზაბალეტა (12, ესპანეთი) 6:4, 6:4; **რიჩარდ კრაიჩეკი** (ჰოლანდია) — მიქაელ ტილსტრომი (შვედეთი) 7:6 (9:7), 7:6 (7:4); **დომინიკ ჰრბატი** (13, სლოვაკეთი) — ნიკლას კულტი (შვედეთი) 7:6 (7:1), 4:6, 7:5; **სერხი ბრუგერა** (ესპანეთი) — როჯერ ფედერერი (შვეიცარია) 6:1, 6:1; **კარლოს მოია** (ესპანეთი) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:4, 4:6, 6:4.

სწრაფად და შეღავათიან ფასებში ვასრულებთ
დიზაინერულ, საპროექტო, სამშენებლო,
სარემონტო და შენობის გამაგრებით სამუშაოებს
Tel. 96 56 67

## მშვილდოსნობა


ხათუნა ფუტკარაძე

# გუშინ ხათუნა ანთალიის დედოფალია

გუშინ ანტალიაში მშვილდოსანთა დიდი პრიზის გათამაშება დასრულდა, რომელშიც 41 ქვეყნის ნაკრებმა იასპარეზა. თუ უცხოურ სააგენტოებს დავუჯერებთ, მონაწილეთა სიძლიერით ტურნირი მსოფლიოს ჩემპიონატს არ ჩამოუვარდებოდა. მართლაც, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ქალთა შეჯიბრში ყველა უძლიერესმა მოისარმა მოზიდა მშვილდი. სასიხარულოა, რომ ასეთ ძლიერ შეჯიბრში, კლასიკური ისრებით სროლაში ყველას ჩვენებურმა ხათუნა ფუტკარაძემ აჯობა, რაც საოლიმპიადოდ საკუთარ ძალთა რწმენას ნამდვილად შემატებს. თურქეთში ასმათ დიასამიძეც გამოდიოდა და მხოლოდ მესამოცე ადგილს დასჯერდა. დიასამიძე ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება, სადაც ოლიმპიური ლიცენზიებიც გათამაშდება. მასპინძელთა სახელით მოასპარეზე ნატო ნასარიძე მეცხრე იყო.

## რაგბი

# დათვებს წვეულება აქვთ

3-7 მაისს ბათუმში საერთაშორისო ტურნირი მოეწყობა. ბათუმის „დათვები“ და თბილისის „ყოჩები“, რუსეთის ჩემპიონს — კრასნოიარსკის „კრასნი იარს“და რუმინულ „გრივიცა როშას“ დაუპირისპირდებიან. ტურნირი ორ დღედ, ოლიმპიური სისტემით ჩატარდება. წყვილებში გამარჯვებულების შეხვედრაში ტურნირის უძლიერესი გუნდი გამოვლინდება, დამარცხებულები კი მესამე ადგილისთვის ითამაშებენ.

გუნდები ბათუმის „დინამოს“ სტადიონზე შეერკინებიან ერთმანეთს. საპრიზო ფონდი კი 3000 დოლარია და როგორ განაწილდება ეს თანხა მონაწილეებზე, ამას საორგანიზაციო კომიტეტი გადაწყვეტს. შეხვედრებს ფრანგი როდოლფო კუნცე და რუსი ევგენი ზუევი განსჯიან, რომელთაც თბილისელი კოლეგები დაეხმარებიან.

ზაზა ბენიძე

## ჭადრაკი

# პოლგარმა კაცებში გაისეირნა

შაბათს შევიტყვეთ, ინდონეზიაში მე-16 კატეგორიის დიდი საერთაშორისო ტურნირი რომ იწყებოდა და ინფორმაციის სადღეისოდ დაგროვებას შევუდექით. საიმედოობისა და უახლესობის თვალსაზრისით, ცხადია, ყოველთვის პირველწყარო უნდა ეძებოს კაცმა, ჩვენც პოპულარული საჭადრაკო ინტერნეტ-სერვერები გვერდზე გადავდეთ და ვირტუალურად ინდონეზიას გავქუსლეთ, სადაც ტურნირის მიმდინარეობას თურმე ერთი ელექტრონული ჟურნალი აღწერდა. ჟურნალს „გატრა“ ერქვა და აი, უკვე მის „ფურცლებზე“ ვართ. გეტყვით, რომ ათი წუთის შემდეგ იმ ჟურნალის არსებობაც დაგვავიწყდა, რახან იქ ყველაფერი ინდონეზიურად ეწერა და აბა, როგორი საქმეა ამგვარი სტრიქონის გაგება: „ბიარ კაბის კალაჰ უტუტ ტეტაჰ მაინ დენგან-პენუჰ“, უცხო ენების მცოდნეებით სავსე „სარბიელშიც“ კი ვერავინ ითავა მათი თარგმნა. თანაც, იმ მცირედიდან, რაც ინდონეზიაში გავიგეთ, ცხადი გახდა, რომ იქაური ინფორმაცია წამითაც ადრე არ მოდიოდა სხვა სერვერებისაზე და ჩვენც დამშვიდებული სინდისით, „კასპაროვის საჭადრაკო კლუბის“, „ლონდონის საჭადრაკო ცენტრისა“ და „რუსჩეზის“ მასალათა საფუძველზე ვწერთ ამ წერილს.

ტურნირი კუნძულ ბალიზე მიმდინარეობს. ძნელია ყველა იმ ხატოვანი ეპითეტის ჩამოთვლა, რომლებითაც ეს დიდებული ადგილი შეუმკიათ. მსოფლიოში ულამაზესიაო, ძნელად ვიტყვით, მაგრამ სამეულს მიღმა არაფრით იქნება. რომელი წყნაროკეანური კრუიზის მარშრუტი გინდათ, მასზე არ გადიოდეს! რა ზღვიდან შეგიხედავთ და რა მთიდან გადმოგიხედავთ, საუცხოოა ყველა მხრიდან. ამ ესტეთიკურ სტრიქონებს იმად ვწერთ, რომ ავხსნათ, რატომ ისურვა საჭადრაკო აზრის რამდენიმე გიგანტმა ბალიზე ჩასვლა და 56-ათასდოლარიანი საპრიზო ფონდიც რომ იქვეა, ესეც არ გახლავთ პატარა საქმე.

ტურნირში მოთამაშე 9 დიდოსტატიდან და 1 ოსტატიდან მთავარი ფიგურები უეჭველად ანატოლი კარპოვი და ალექსანდრ ხალიფმანი არიან. დრომ ისე მოიტანა, მამაკაცთა ჭადრაკს სამი მსოფლიოს ჩემპიონი ჰყავს და მათი ყოველი შეხვედრა თავისთავად ინტრიგაა. კარპოვსა და კასპაროვს ერთმანეთთან უთვალავჯერ უთამაშიათ, კასპროვი და ხალიფმანი წლეულს ლინარესში დაეტაკნენ ერთმანეთს და მოლოდინის საწინააღმდეგოდ ამ უკანასკნელს თავი არ შეურცხვენია, კარპოვისა და ხალიფმანის რაიმე გამოკვეთილი ბატალიები კი ჯერ არ გვინახავს და ფიდე-ს გვირგვინის მოზიარეთა ინდონეზიური ჯახი ძლიერ მაცდური ჩანს. ბალიზე ქებულთაგან არიან კიდევ იუდით პოლგარი და იან ტიმანი, საშუალოდ ქებულნი — ამერიკელი იასერ სეირავანი, ესტონელი იან ელვესტი, ბრაზილიელი ჟილბერტო მილოში და ბოლოს, ცხრილის მეორე ნახევრისთვის განწირული მასპინძლები უტუტ ადიანტო და რუბენ გუნავანი ბირმელ ვინ ლეი ზოსთან ერთად, ზემოთ ნახსენები ერთადერთი ოსტატი რომ გახლავთ.


იუდით პოლგარი

3 ტურის შემდეგ მამაკაცები შერცხვენილები არიან, სატურნირო ცხრილს იუდით პოლგარი 2,5 ქულით თამადობს. საწყისი ტური ფიდე-ს ჩემპიონებისა იყო. კარპოვი რეიტინგებით ყველაზე საცოდავ გუნავანს შეხვდა და პოზიციურად მოუგო. მისი მძიმე არტილერია, პლუს ორი კუ და პლუს ორიც პაიკი მეტოქის ლაზიერის ფრთას მიესია, მაგრამ იქ ინდონეზიელი გაცვლებით გავიდა ფონს, ოღონდ პოზიცია დაუსუსტდა და რუსმა ენდშპილში პაიკის მოგებით საქმე ჩქარა მოამთავრა. კიდევ უფრო იჩქარა ხალიფმანმა, რომელმაც უკვე მე-20 სვლაზე შეაცდინა ბირმელი ოსტატი და ფიგურა წაალიტა, რის შემდეგაც პარტიამ აზრი დაკარგა. ვინ ლეიზომ 21-ე სვლაზე გადმოკიდა თეთრი ალამი და არ გეგონოთ, ბირმელის ეს წაგება ბოლომდე ლოგიკური იყოს, რეიტინგებით იგი ხალიფმანზე სულ მცირედითაა უკან და პირველი ერგასის მყარი წევრია. ჩემპიონებს კი ამის შემდეგ პარტია არ მოუგიათ, ორ-ორი ყაიმი იკმარეს და შედეგად მანდილოსანი გაუშვეს პირველ ადგილზე. პოლგარმა მეორე ტურში ადიანტოს მოუგო, შემდეგ კი შავებით სულაც ტიმანი შემუსრა. კარპოვისა და ხალიფმანის პარტია ჯერ არ შემდგარა, მას ელიან ასე მოუთმენლად ტურნირისკენ მაცქერალნი.

მანამდე კი მეოთხე ტურში კარპოვი და პოლგარი შეხვდნენ ერთმანეთს. 40-სვლიანი, კარო-კანის დაცვით დაწყებული შეტაკება უნაყოფოდ დასრულდა, მხარეებმა ქულა გაიყვეს. ვერც ხალიფმანმა მოიგო და საერთოდ, ამ ტურს ცხრილში ფაქტობრივად არაფერი შეუცვლია. 3 ტურის შემდეგ პოლგარი ლიდერობდა და ახლაც ლიდერობს, როგორც ეს ქვემორე ცხრილშიც ჩანს.

დავით გულუა

### სატურნირო ვითარება

1. იუდით პოლგარი — 3; 2-5. კარპოვი, ხალიფმანი, მილოში, სეირავანი — 2,5; 6-7. ადიანტო, ელვესტი — 2; 8. ტიმანი — ½; 9. გუნავანი — ½; 10. ვინ ლეი ზო — 0,5.




## ლჰოცზე 2000




ევერესტი, ლჰოცზე, მათკენ მიმავალი გზები და ბანაკები

# იქ, მაღლაც იპარავენ!

## ბენო გაგვიძარცვეს, სიმონეც ზედ მიაყოლეს

*სამთავა რვაათასიან ლჰოცზეზე მოიერიშე ქართულ-რუსული ექსპედიციის მეთაური ბენო ქაშაკაშვილი ჰიმალაიდან გვატყობინებს: „ჩვენ წინ მივიწევთ. 7300 მეტრის სიმაღლეზე მესამე ბანაკი დავდგით. თავი იჩინა ზოგიერთმა ორგანიზაციულმა პრობლემამ. ამიტომ ჯერჯერობით მაინცდამაინც არ ვამხელთ, რომ დღემდე დაულაშქრავ ლჰოცზეს შუათანა პიკზე ვაპირებთ ასვლას".*

თუ რა პრობლემებზეა საუბარი, ბენო ქაშაკაშვილი ამას აღარ იტყობინება. ეტყობა, ეს პრობლემები ისევ შერპ მთამსვლელებს უკავშირდება. საქმე ისაა, რომ რამდენიმე დღის წინათ ექსპედიციის მეთაურმა გვაცნობა, რომ მათი ექვსი შერპი მთამსვლელიდან ორი ავად გახდა, რაც თავისთავად უკვე პრობლემაა, მით უმეტეს, რომ კაცმა არ იცის, ჩადგებიან თუ არა ისინი მწყობრში. ეგეც არ იყოს, ის ორი შერპი, რაკი ბანაკების დადგმაში თუ ბარგის აზიდვაში ველარ მონაწილეობს და ზემოთ-ქვემოთ აღარ დადის, აკლიმატიზაციასაც ველარ გადის.

ისე, ამგვარი პრობლემები მთაში ჩვეულებრივი რამაა. აი, ის კი მეტად უჩვეულოა, რაც ქაშაკაშვილს დამართნია — იგი... გაუძარცვავთ!

„გუშინ ყინვარზე დავტოვე „LEKI"-ს ტელესკოპური ჯოხები და მომპარეს".

საქართველოში ამგვარი რამ კიდევ ჰო, მაგრამ ჰიმალაიში, იმ სიმაღლეზე რაღაც ჯოხები კი არა, ოქროს ზოდები რომ დატოვო, ხელს არ ახლებენ, მაგრამ რაღაც ჭირად ეს ჯოხები, ეტყობა, ბენო ქაშაკაშვილზე მეტად სხვა მთამსვლელს დასჭირდა და აიღო. მაგრამ, ჩანს, ახლა ქაშაკაშვილსაც ძალიან სჭირდება, რადგან იხვეწება, ჯოხები იქნებ სამთო ტურისტების მეშვეობით გამომიგზავნოთო.

მანამდე კი ქაშაკაშვილი, ალბათ, თავს იმით ინუგეშებს, რომ იგი ერთადერთი გაძარცული არ ყოფილა — ცნობილი იტალიელი მთამსვლელის სიმონე მოროსთვის, რომელიც ჩვენებურის პირით ისევ მხურვალე მოკითხვას გვითვლის, ფოტოაპარატი მოუპარავთ. ჰოდა, უფოტოაპარატოდ დარჩენილს, რომელიც ყაზახეთის წარმომადგენელ დენის ურუბკოსთან ერთად ლჰოცზე — ევერესტის ტრავერსი განუზრახავს, წარმატების შემთხვევაში მიზნის მიღწევის დამტკიცება გაუჭირდება (გაიხსენეთ გია თორთლაძისა და მერაბ ნემსიწვერიძის შარშანდელი დავიდარაბა!)

ისე, გვერდი-გვერდ აყუდებულ ევერესტსა და ლჰოცზეს იმდენი მთამსვლელი შესევია, მათ შორის კომერციული ექსპედიციების წევრები ანუ ვაი ალპინისტებიც, რომ ხელმრუდეთა გარევა მთლად საკვირველი არ უნდა იყოს. წარმოიდგინეთ, 23-ზე მეტი ექსპედიცია, მათი დამხმარე შერპები... ამათგან თავდაპირველად ლჰოცზეზე მხოლოდ ორი ექსპედიცია აპირებდა ასვლას, დანარჩენები კი დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე. მერე ლჰოცზეზე მოიერიშეთა ექსპედიციების რაოდენობა სულ ცოტა ორით გაზრდილა. ოფიციალურად ესენი არიან ბენო ქაშაკაშვილის ქართულ-რუსული, ჰენრი ტოდის დიდი ბრიტანეთის, ტომაზ ზეროვნიკის სლოვენიური და ბულგარული ბორისლავ დიმიტროვის საერთაშორისო ექსპედიციები.

იმავდროულად ბულგარელი მეთაურობს სხვა ექსპედიციასაც, რომელშიც არიან რუსები დმიტრი მოსკალევი და იური სოიფერი.

ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი მორო-ურუბკოს „დუეტი", კი როგორც გაცნობეთ, ლჰოცზეზე ასვლის მერე გზას ევერესტისკენ გააგრძელებს.

ასეა თუ ისე, ამათაც და სხვა იქ დაბანაკებულებსაც, საითაც არ უნდა მიდიოდნენ, მესამე ბანაკამდე ერთი ბილიკი აქვთ გასავლელი, მერე კი მათი გზები იყრება.

სამწუხაროდ, ბენო ქაშაკაშვილის ცნობით, აქამდე ჭირვეული ქალივით არეულ-დარეული ამინდი სტაბილურად გაავდრდა — საბაზოს გაუთავებლად ათოვს და ათოვსო.

იმავე ცნობით, საბედნიეროდ, ჩვენი ბიჭები ჯანზე და ჯანმრთელად არიან.

წინ მეოთხე საბანაკო ადგილია, მერე ლჰოცზეს მთავარი პიკი, ბოლოს „ბარად" დასვენება, ისევ ბანაკები, ისევ ლჰოცზეს მთავარი პიკი და ტრავერსი შუათანა მწვერვალისკენ, სადაც მათ ნამდვილად ველარ გაძარცვავენ, რადგან იქ ჯერ ადამიანს ფეხი არ შეუდგამს და ქართულ-რუსული ექსპედიციის გარდა ამას ვერც ვერავინ ბედავს.

*ქართულ-რუსული ექსპედიციის წევრმა იური ბაიკოვსკიმ ბენო ქაშაკაშვილის ცნობას თავისიც დაადევნა. იგი იუწყება:*

*„25 აპრილს ვაპირებდით ზემოთ ასვლას, მაგრამ საშინელი უამინდობის გამო საბაზოში ვართ გამომწყვდეულები. კვლავ გადაუღებლად თოვს, ზემოთ კი 7 500 მეტრის სიმაღლეზე ქარის სისწრაფე წამში 40 მეტრია. ამიტომ ექსპედიციის წევრები საბაზოში დაბრუნდნენ და გამოდარებას ელიან. როგორც კი ამინდი საშუალებას მოგვცემს, ზემოთ ავალთ და მეოთხე ბანაკსაც დავდგამთ 7 900 მეტრის სიმაღლეზე. იქ უკვე ავზიდეთ ჟანგბადის საჭირო მარაგი, 1,5 კილომეტრი თოკი და ყინულის პალოები. ქვემოთ კი ბარდნის, მაგრამ ზემოთ უჩვეულოდ უთოვლობაა, რაც მეოთხე ბანაკის დასადგმელად საქმეს გვირთულებს. რაკი საკმაო თოვლი არ არის, კარვების დასადგმელად მოგვიწევს სამი ბაქნის მომზადება.*

*სხვა მხრივ ექსპედიციის საქმიანობა გეგმისამებრ მიმდინარეობს."*

**ავთანდილ გურასაშვილი**



# გრინმა სუფთა ჰაერი ჩაყლაპა

შარშანდელი მსოფლიოს პირველობის სამი ოქროს პატრონი, ამერიკელი მორის გრინი 14 დღე ისვენებდა (ფეხი ჰქონდა ნატკენი), შემდეგ კი ლია სარბიელზე სეზონში პირველად ირბინა. ეს მოხდა კანზასის შტატის ქალაქ ლორენსში, სადაც ბოლო დღეებია, სტუდენტური შეჯიბრი გახურებულა. კრის ჯონსონთან, ბრაიან ჰოვარდსა და ატო ბოლდონთან ერთად გრინმა 4X100 მეტრიანი ესტაფეტა დააჭაშნიკა და ჯგუფისგან ნაჩვენებმა 38,45 წამმა დიდად ასიამოვნა. „აქ რომ ჩემი მწვრთნელი იყოს — თქვა მან — რვა ქულას დამიწერდა ათბალიანი სისტემით. ჩემი შედეგი მარწმუნებს, რომ სწორ გზაზე ვდგავარ". გრინი სიდნეის ოლიმპიადის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი ფიგურა იქნება, თუკი ამერიკელ მძლეოსანთა ოლიმპიურ შესარჩევ ტურნირზე ღირსეულად გამოვა.

ეს ტურნირი საკრამენტოში გაიმართება და არაა გამორიცუხლი, გრინის საოლიმპიადე გეგმები იქ ოდნავ შეიკვეცოს. ამერიკელს სიდნეიში 100 მეტრზეც უნდა სირბილი (აქ იგი მსოფლიოს რეკორდსმენია) და 200-ზეც. ამ უკანასკნელზე კი მეტად მრისხანე კონკურენტი ჰყავს მაიკლ ჯონსონის სახით, რომელსაც სიდნეიში ასევე „ოქროს დუბლის" შესრულება მოსურვებია. დუბლის მეორე ნაწილი 400-მეტრიანი დისტანცია გახლავთ.

ერთი სიტყვით, 200 მეტრზე ორი გიგანტის — გრინისა და ჯონსონის ინტერესები გადაიკვეთა. აქაური რეკორდი სწორედ ჯონსონს ეკუთვნის და არა გვგონია, იოლად დათმოს. ანუ 12-დან 23 ივლისამდე, ერთ რომელიმე დღეს, საკრამენტოში ფრიად ცხარე შეჯიბრების მომსწრენი შევიქნებით, როგორსაც სიდნეიშიც ვერ ვიხილავთ.

**დავით გულუა**



## PLAY OFF

### მერვედფინალი

*სასწაული არ მოხდა. სერიაში 1:3 ჩამორჩენილმა სენტ ლუისმა სან ხოსეს ვერ მოუგო. შარშანდელი სენსაცია აღარ განმეორდა, როცა „ბლუზმენებმა" ამ ანგარიშიდან გამარჯვებამდე მიიყვანეს საქმე. სან ხოსემ კი, ბოლო შვიდ სეზონში მესამედ შემოგვთავაზა სიურპრიზი — 1994 და 95 წლებში ხომ დეტროიტი და კალგარი გაისტუმრა პირველი რაუნდიდან, ახლაც ფავორიტი გააგდო. აღსანიშნავია, რომ „ზვიგენებმა" სამჯერვე 7-მატჩიან სერიებში მოიგეს, ხოლო გადამწყვეტი გამარჯვება სტუმრად იზეიმეს.*

# სან ხოსე ფავორიტების ხაფანგია

25 აპრილი

**სენტ ლუისი — სან ხოსე 3:4**

**სენტ ლუისი — სან ხოსე 1:3**

**0:2 0:1 1:0**

**0:1 შტერნი 2'51 (1); 0:2 ნოლანი 19'49 (6); 0:3 ფრიზენი 34'14 (2); 1:3 იანგი 42'09 (6)**

არადა, წინა მატჩებში სენტ ლუისმა თითქოსდა გარდატეხა შეიტანა სერიაში. მეხუთე შეხვედრაში „ბლუზმენებმა" უმძიმეს ორთაბრძოლაში გამოსტაცეს ხელიდან გამარჯვება მეტოქეს, ფსიქოლოგიურად მომაგრდნენ და მეექვსედ, როგორც იქნა, ჩვეული თამაში აჩვენეს: საიმედო დაცვა, მოედნის შუაგულში პრესინგი და სწრაფი, უაღრესად ეფექტური კონტრშეტევები. სულ ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა და სწორედ აქ წაიფორხილეს სენტლუისელებმა. მათ თავად შეუწყვეს ხელი სანხოსელებს თავიანთი ვერაგული ჩანაფიქრის განხორციელებაში — ეს სწრაფად გატანილი გოლი გახლდათ. კვლავ არადამაჯერებლად ითამაშა მასპინძელთა მეკარე რომან ტურეკმა, რომელმაც რონ შტერნის დარტყმა უხეიროდ მოიგერია, ყვანჯი გაჰკრა შაიბას და კარში შეაგდო. ამან ისე დააბნია „ბლუზმენები", რომ მომდევნო სამ წუთში ლამის კიდევ ოთხი გოლი გაუშვეს, ხოლო როცა გონს მოეგნენ, უკვე გვიან იყო — პერიოდის მიწურულს იუენ ნოლანის მიერ მოედნის შუაგულიდან დარტყმული შაიბა ტურეკმა ვერ დაიმორჩილა. ეს უკვე საბედისწერო გამოდგა სენტლუისელთათვის, რომელთაც შემდგომ ვერაფრით გატეხეს მეტოქის დაცვის წინააღმდეგობა. სანხოსელთა ხუთეული ისე ჩასაფრდა თავისი ზონის მისადგომებთან, რომ მასპინძლებმა ვერა და ვერ მოახერხეს ჩინებულად მოთამაშე სტივ შილდსის კარამდე მიღწევა. ხოლო როდესაც ჯეფ ფრიზენმა მესამე შაიბა გაიტანა, ცხადი გახდა, რომ სენტ ლუისისთვის ეს მატჩი წლეულს ბოლო იქნებოდა.

არადა, მესამე მესამედში მასპინძლებმა თავად სტუმართაგან ბოძებული შანსი ვერ გამოიყენეს — ზედიზედ სამი გაძევება მხოლოდ ერთ საპასუხო გოლად აქციეს. ასე დასრულდა ეს მოულოდნელობებით აღსავსე სერია. მასზე კიდევ ბევრს ილაპარაკებენ, ერთი რამის თქმა კი ახლავე შეიძლება — ორთაბრძოლის ბედი გარკვეულწილად სანხოსელთა გამოცდილებამ გადაწყვიტა. მათმა თავკაცმა დერილ სატერმა, რომელმაც 90-იანი წლების დასაწყისი ჩაკაგოში გაატარა, ამ გუნდის აგრესიული, ზოგჯერ უხეში, უაღრესად მარტივ და პრიმიტიულ თამაშზე აგებული სტილი „ზვიგენებს" მოარგო, ჰოკეისტებიც ისეთი შეარჩია, სწორედ პლეი ოფში რომ უმატებენ ხოლმე. სენტ ლუისზე კი რა ითქმის? მას, ორი-სამი გამონაკლისის გარდა, სათასო ბრძოლებში გამოუცდელი მოთამაშეები ჰყავდა, მათ შორის რომან ტურეკი. ამიტომაც ვერ გაამართლა მან პლეი ოფში, მაშინ, როცა ჩემპიონატში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. პარტნიორებმაც ბევრად ვერაფრით უშველეს მეკარეს. სანხოსელთა ყოველი გოლის შემდეგ „ბლუზმენთა" დაცვაში ნამდვილი პანიკა იწყებოდა და ეს რა გასაკვირია, როცა მეხუთე მატჩში, მათ სამშაიბიანი უპირატესობა გაფლანგეს. ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ სენტ ლუისს მთავარი ბომბარდირი პავოლ დემიტრა აკლდა, რის გამოც „სლოვაკური ხაზი" აშკარად დასუსტდა. „ბლუზმენებს" ისღა დარჩენიათ, ეს საწყენი მარცხი მალე დაივიწყონ და სამომავლოდ ამგვარი შეცდომები აღარ გაიმეორონ.

*მეოთხედფინალში ითამაშებენ:*

**აღმოსავლეთი**

**ფილადელფია — პიტსბურგი**

**ტორონტო — ნიუ ჯერსი**

**დასავლეთი**

**დალასი — სან ხოსე**

**კოლორადო — დეტროიტი**

**ბომბარდირები:** ჰექტი (სენტ ლუისი) 10 (4+6); იაგრი (პიტსბურგი) 10 (3+7); ტომასი (ტორონტო); ნოლანი (სან ხოსე) და იანგი (სენტ ლუისი) 8 (6+2); ჰრდინა (პიტსბურგი) 7 (4+3); ოზოლინში (კოლორადო), სუნდინი (ტორონტო) და პრონგერი 7 (3+4); ტარჯონი (ორივე — სენტ ლუისი) 7 (0+7); დედმარში (კოლორადო) და ჰალმა (დალასი) 6 (3+3); ფიოდოროვი (დეტროიტი), გერინი (ედმონტონი), ბერეზინი (ტორონტო), შატანი (ბუფალო) და უეიტი (ედმონტონი) 5 (3+2).



REUTERS სენტ ლუისიდან

სანხოსელმა სტივ შილდსმა სენტლუისელ ლუბოშ ბარტეჩკოს „დაუფარა"

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სუპროლიგამ ევროლიგა განდევნა

FIBA SuproLeague

## ფიბა-ს ვერდიქტი გასაჩივრებას არ ექვემდებარება!

სალონიკში დასრულებულ წლევანდელი ევროლიგის „ოთხთა ფინალთან“ ერთად დასრულდა ამ შეჯიბრების ისტორიაც. ამიერიდან ევროლიგა აღარ იარსებებს — ასე გადაწყვიტა „ოთხთა ფინალის“ დღეებში სალონიკშივე გამართულმა სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფიბა) დირექტორთა საბჭოს სხდომამ. ევროლიგას სახელი გადაერქვა და მომავალი სეზონიდან ევროპული საკლუბო კალათბურთის უმთავრეს შეჯიბრებას „ფიბა სუპროლიგა“ ეწოდება.

თავის დროზე ევროლიგამ ევროკალათბურთიდან განდევნა შეჯიბრება, რომელსაც „ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება“ ერქვა. ცხადია, თასი, როგორც ამ ტურნირში გამარჯვებულის სარგო პრიზი, შენარჩუნდა. უბრალოდ, ასპარეზობას სახელი შეეცვალა. ამ შემთხვევაში სახელის გადარქმევა იქნებ გამართლებულიც იყო — ჯერ ერთი, ახალ შეჯიბრებაში მარტო ქვეყნების ჩემპიონები აღარ თამაშობენ (რამდენიმე ქვეყანამ ორ-ორი, ზოგიერთმა კი სამი გუნდის გამოყვანის უფლება მიიღო), მეორეც, მოხდენილი ჟღერადობის „ევროლიგა“ სავსებით გადმოსცემდა ევროპის უმთავრესი საკლუბო შეჯიბრების არსს და რაობას.

დღეს ევროლიგა თავად განიდევნა და მისი ადგილი აბსტრაქტული და, ცოტა არ იყოს, გაუგებარი სახელწოდების „სუპროლიგამ“ დაიკავა. სალონიკში გამართულ პრესკონფერენციაზე ფიბა-ს გენერალურმა მდივანმა ბორისლავ სტანკოვიჩმა დაახლოებით თხუთმეტი წუთი ისაუბრა შეჯიბრებისთვის სახელის შეცვლის აუცილებლობაზე, იმაზე, რომ ხელახალი ნათლობა ბევრ სახეიროს მოუტანს ევროკალათბურთს და ა.შ. ფიბა-ს ხელმძღვანელთა არგუმენტები იმდენად უსუსურია, რომ ნებისმიერი, თუნდაც საშუალოდ მომზადებული ოპონენტი მათ იოლად გააცამტვერებს. ჩვენი მიზანი ეს სულაც არაა, უბრალოდ, იმას მოგახსენებთ, თუ რას ეყრდნობოდა ფიბა „სუპროლიგის“ შემოღებისას.

*— სუპროლიგა უნდა იქცეს ევროპული კალათბურთის გამორჩეულ ტურნირად.*

*— სუპროლიგის დაფუძნება ხელს შეუწყობს „მსოფლიოში კალათბურთის განვითარების“ ფიბასეულ პროგრამას.*

*— სუპროლიგა განავითარებს ფიბა-ს მედიისა და მარკეტინგულ პროგრამებს, რომელთა მიზანია სპონსორების მოზიდვა და ტელე-ტრანსლაციათა ქსელის კიდევ უფრო გაფართოება. ამით ევროპაში კალათბურთის პოპულარობა უფრო გაიზრდება.*

ფიბა-ს, თურმე, საგანგებო გამოკითხვა მოუწყვია, რომლის შედეგების მიხედვით გადაუწყვეტია:

*— შეჯიბრებას უნდა შეეცვალოს სტრუქტურა. ახალი ფორმატი უფრო გაიოლებული იქნება.*

*— ევროპული კალათბურთი უფრო ახლოს უნდა გაიცნოს ხალხმა, პირველ რიგში, ტელევიზიის საშუალებით.*

*— შეჯიბრებას უნდა შეეცვალოს სახელი. ახალი სახელი უფრო იოლად დასამახსოვრებელი და აღსაქმელი უნდა იყოს.*

როგორც მოგახსენეთ, ამ არგუმენტების გაცამტვერება იოლზე იოლია. ჩვენ ერთს აღვნიშნავთ: ამისთანას რას უშლიდა ხელს ფიბა-ს სახელი „ევროლიგა“? განა იგივე პროგრამების თუ იდეების განხორციელება ძველი სახელით არ შეიძლებოდა? მეორეც — ალავერდი ფონეტიკოსებთან და ფსიქოლოგებთან: „ევროლიგა“ უფრო დასამახსოვრებელი და იოლად აღსაქმელი სახელია თუ „სუპროლიგა“, რომელიც თავისუფლად შეიძლება აგერიოს „სუპერლიგაში“ ან რამე მსგავსში?

თუმცა, ამაზე ლაპარაკი უკვე ნაგვიანევია. მთავარი ის გახლავთ, რომ 2000 წლის 19 ოქტომბერს დაიწყება სუპროლიგის გათამაშება, რომელიც 2001 წლის 6 მაისს ევროპის უძლიერეს კლუბს გამოავლენს.

### სტრუქტურა

2000-2001 წლების სუპროლიგაში, ბოლო წლების ევროლიგის დარად, 24 გუნდი იასპარეზებს. შეჯიბრება მოეწყობა ოთხ ეტაპად. ჯერ გაიმართება პირველი ჯგუფური ეტაპი, სადაც 24 გუნდი გაიყოფა ოთხ ექვსგუნდიან ჯგუფად. თამაშები წრიულად მოეწყობა. თითო ჯგუფიდან ოთხ-ოთხი საუკეთესო გუნდი გავა მეორე ჯგუფურ ეტაპზე. ბოლო ორ ადგილზე გასულები კი ასპარეზობას გამოეთიშებიან და 2001-2002 წლების სეზონში იასპარეზებენ იმ ევროტურნირში, რომელიც კორაჩისა და საპორტას თასების გაერთიანებით მიიღება (კორაჩისა და საპორტას თასების გაერთიანება 2001-2002 წლების სეზონისთვისაა დაგეგმილი).

მეორე ჯგუფურ ეტაპზე გაკეთდება ორი რვაგუნდიანი ჯგუფი. ყველა გუნდი მიმოსვლით ეთამაშება იმ მეტოქეებს, რომლებსაც პირველ ჯგუფურ ეტაპზე არ შეხვედრია. რვაგუნდიანი ჯგუფების ოთხ-ოთხი საუკეთესო გავა პლეი ოფის მეოთხედფინალში.

პლეი ოფის მეოთხედფინალი ორ მოგებამდე გაიმართება. გადამწყვეტი მატჩი, თუკი საჭირო გახდა, გაიმართება იმ გუნდის მოედანზე, რომელმაც მეორე ჯგუფურ ეტაპზე უფრო მაღალი ადგილი დაიკავა.

მეოთხედფინალების გამარჯვებულები ითამაშებენ „ოთხთა ფინალში“. ჯერ გაიმართება ნახევარფინალები, რომელთა გამარჯვებულებიც ფინალში შეხვდებიან ერთმანეთს. „ოთხთა ფინალი“ 2001 წლის 4-6 მაისს გაიმართება ესპანეთის ქალაქ ვიტორიაში.

### მონაწილენი

სუპროლიგის მონაწილეთა შერჩევის პრინციპი წლევანდელ ევროლიგასთან შედარებით შეცვლილია. ძირითადი მნიშვნელობა კვლავ ფიბა-ს რეიტინგს მიენიჭა და იქ დაწინაურებულმა ქვეყნებმა მეტი ადგილი მიიღეს. გარდა ამისა, ევროლიგა-2000-ის ფინალისტები „პანათინაიკოსი“ და „მაკაბი“ პირდაპირ დაუშვეს სუპროლიგაში. ამით საბერძნეთსა და ისრაელს თითო ადგილი მიემატათ. თითო ადგილი მიიღეს ქვეყნებმა, რომელთა გუნდებიც საპორტას თასი-2000-ის ნახევარფინალში გავიდნენ (ხორვატია, საბერძნეთი, იტალია, ლიტვა). ორი ადგილის მფლობელს კი ფიბა ამ დღეებში დაასახელებს.

სუპროლიგაში ერთი ქვეყნიდან მაქსიმუმ სამ გუნდს შეუძლია ასპარეზობა. ამ წესმა ყველაზე უფრო სლოვენია აზეირა. რეიტინგის მიხედვით, ამ ქვეყანას არ ეკუთვნოდა ადგილი სუპროლიგაში, მაგრამ საბერძნეთს ოთხი საგზური დაუგროვდა (ორი — რეიტინგით, ერთი — „პანათინაიკოსს“, ერთი — საპორტას თასის ნახევარფინალით). ამის გამო, ფიბა-მ საბერძნეთის ერთი ზედმეტი ადგილი რეიტინგში მე-13 სლოვენიას მისცა. აქვე აღვნიშნოთ, რომ რეიტინგში 1-4 ადგილებზე მყოფებმა ორ-ორი საგზური მიიღეს, 5-12 ადგილებზე გასულებმა — თითო.

ამრიგად, სუპროლიგის საგზურები ასე გადანაწილდა: საბერძნეთი, იტალია, ლიტვა — სამ-სამი ადგილი; ესპანეთი, ისრაელი, ხორვატია — ორ-ორი; საფრანგეთი, გერმანია, პოლონეთი, რუსეთი, თურქეთი, იუგოსლავია, სლოვენია — თითო. გავიმეორებთ, კიდევ ორი ადგილის მფლობელს ფიბა ამ დღეებში გამოაცხადებს.

**მერაბ რატიშვილი**

NBA

პლეი ოფი. პირველი წრე (სამ მოგებამდე)

# დანკანი ჩქარა!

25 აპრილი

| დასავლეთი | |
|---|---|
| სან ანტონიო | 1 |
| ფინიქსი | 1 |

**სან ანტონიო 85:70 ფინიქსი**

**სან ანტონიო: რობინსონი (25 ქულა, 15 მოხსნა, 5 პასი), ჯონსონი (21), ელიოტი (13 ქულა, 10 მოხსნა)**

**ფინიქსი: ჰარდევეი (19), როჯერსი (18 ქულა, 10 მოხსნა)**

ჩემპიონ „სან ანტონიოს“ არც ამ მატჩში ჰყავდა ტიმ დანკანი, მაგრამ მაინც მოახერხა გამარჯვება და სერიაში ანგარიში გაათანაბრა. პირველი თამაშისგან განსხვავებით, აქ უკეთ ირჯებოდა დევიდ რობინსონი, რომელიც დანკანის არყოფნით გამოწვეულ სიცარიელეს შემძლებისდაგვარად ავსებდა. რობინსონი, რაღა თქმა უნდა, დიდი ძალაა, მაგრამ თუ დანკანი დროულად არ დადგა ფეხზე, საეჭვოა, წინა სეზონის ტრიუმფატორებმა შარშანდელი წარმატება გაიმეორონ. გუნდის ექიმები იმედს იძლევიან, იგი მესამე მატჩისთვის სრულ მზადყოფნაში იქნებაო. ყმაწვილი ტიმი დროულად მიუსწრებს თავისიანებს, თორემ ჩემპიონი ფინიქსურ ბარიერს იოლად ვერ გადალახავს მიუხედავად იმისა, რომ არც არიზონელები თამაშობენ სრული საბრძოლო შემადგენლობით.

„სან ანტონიომ“ ეს შეხვედრა 15 ქულის სხვაობით კი მოიგო, მაგრამ ამან შეცდომაში არ შეგიყვანოთ. „ფინიქსი“ რა ბიჭი იქნება, კიდის და გულიოტას არყოფნით ცხვირი ჩამოუშვას და მეტოქეს ისე ჩაბარდეს. არც ამ მატჩში დათმო „სანზმა“ და „სფურზს“ გვარიანი წინააღმდეგობაც გაუწია. მატჩის დასაწყისი საკმაოდ თანაბარი ბრძოლით აღინიშნა. მასპინძლების შეტევებს 180-სანტიმეტრიანი აივერი ჯონსონი გაუძღვა, სტუმრებს ანფერნი ჰარდევეიმ უსარდლა და თამაშიც გაჩაღდა. აქვე ვთქვათ, რომ ორივე გუნდი ბევრს სცოდავდა, განსაკუთრებით შეტევების დაგვირგვინებისას. მასპინძლებმა თამაშიდან სროლების 35 პროცენტი ჩააგდეს, კიდევ უფრო სავალალოდ ესროდნენ სტუმრები — 86 სროლიდან 28-მ უწია კალათს, რამაც საბოლოოდ 32,6 პროცენტი შეადგინა. ეს ალბათ იმის შედეგია, რომ ორივე გუნდი დაცვას მომეტებულ ყურადღებას აქცევდა.

თამაში თანაბარი იყო თითქმის მთელი პირველი ნახევარი, რომლის მიწურულსაც მასპინძლები უცებ აფეთქდნენ. რობინსონმა ზედიზედ ექვსი ქულა მიითვალა, თავისიანებს სამწუთიანი მონაკვეთი 17:3 მოაგებინა და პირველი ნახევარიც 51:37 დასრულდა. ამით დამფრთხალმა ფინიქსელებმა სასწრაფოდ მიიღეს ზომები და მესამე მეოთხედში ალკვეთეს რობინსონის თარეში. ჩემპიონებს ყოველი ქულის მოპოვება დიდ ტანჯვად ექცათ, როგორც არასდროს, ისე გაუჭირდა „სან ანტონიოს“. ამ მხრივ არც სტუმრებს ულხინდათ. მათ 14 ქულა ჩააგდეს, „სან ანტონიო“ კი ცხრა ქულით შემოიფარგლა (აქედან შვიდი სათადარიგო ლოიდ დანიელსის ანგარიშზეა). სულ გუნდებმა ამ მეოთხედში ერთად 23 ქულა დააგროვეს, რაც ნბა-ს პლეი ოფების ანტირეკორდია. „სფურზს“ მხსნელად მოევლინა არაფრითცნობილი ლოიდ დანიელსი. აქვე ვთქვათ, რომ ამ თამაშში რეკორდიც დამყარდა — დანკანის შემცვლელმა სამაკი უოლკერმა მეტოქის რვა სროლას დააფარა, აქედან სამჯერ ჯეისონ კიდის ნაცვლად მოთამაშე ბებერ კევინ ჯონსონს, ვისაც ორი წელია, რიგიანად ბურთი არ სჭერია ხელში და ახლა დათანხმდა თავის კლუბს, დახმარებოდა. უოლკერის რვა დაფარება სარეკორდოდ ბევრია „სან ანტონიოს“ საპლეიოფო ისტორიაში.

ბოლო მეოთხედში საინტერესო არაფერი მომხდარა. მასპინძლებმა წვალებით, მაგრამ მაინც აღადგინეს სხვაობა.



მაიამი — დეტროიტი. მაიამელი ჯამალ მაშბურნი (№24) და გრანტ ჰილი უბურთოდაც იბრძვიან

REUTERS

| აღმოსავლეთი | |
|---|---|
| მაიამი | 2 |
| დეტროიტი | 0 |

**მაიამი 84:82 დეტროიტი**

**მაიამი: მაშბურნი (24), მურნინგი (22), კარტერი (10 ქულა, 13 პასი, 6 მოხსნა)**

**დეტროიტი: სტეკჰაუზი (26)**

ზედიზედ მეორე თამაში ჩააფლავა „დეტროიტის“ ლიდერმა და საერთოდ ლიგის ერთ-ერთმა უძლიერესმა მოთამაშემ გრანტ ჰილმა. რეგულარულ სეზონში და „სპრაიტის“ რეკლამებში ჰილი ისე ირჯება, კაცი ჩემპიონობას უწინასწარმეტყველებს, მაგრამ მისი კარგი თამაში რეგულარულ სეზონთან ერთად მთავრდება და პლეი ოფში სახელიღა რჩება. ასეა წლიდან წლამდე. სახელით კი პლეი ოფში ვერავის დააშინებ, მით უმეტეს, „მაიამის“, რომელსაც ლიგაში ყველაზე უკეთ ეხერხება თავის დაცვა გრანტ ჰილისთანა ბიჭებისგან. სტატისტიკა ყველაფერზე მეტყველებს, რეგულარული სეზონის 74 მატჩში საშუალოდ 25,7 ქულის ჩამგდები და ბომბარდირთა დავაში მესამე ადგილზე გასული ჰილი „მაიამისთან“ პირველად 13 ქულას დასჯერდა, ახლა კი მხოლოდ ცხრა ქულით შემოიფარგლა. მართალი რომ ითქვას, ჰილის მთლად მიწასთან გასწორება უსამართლობაც იქნებოდა. მას ჯანმრთელობამაც შეუშალა ხელი კოლოსალური ნიჭის წარმოჩენაში.

მიუხედავად იმისა, რომ ჰილმა „დეტროიტი“ დაალალატა, „მაიამიმ“ მხოლოდ ბოლო წამებზე გატეხა მეტოქე, როცა საფინალო სირენამდე ექვსი წამით ადრე ჯამალ მაშბურნმა სამიოდ მეტრიდან ჩააგდო. აქვე აღვნიშნოთ „მაიამის“ ერთ-ერთი ლიდერის, ტრავმირებული ტიმ ჰარდევეის შემცვლელი ენტონი კარტერი. იგი თავის პირველ პროფესიულ სეზონს ატარებს, მაგრამ უკვე მოასწრო და გუნდის რეკორდი ჩაიწერა. აქამდე „მაიამის“ არც ერთი მოთამაშეს პლეი ოფში 13 პასი არ გაეკეთებინა.

მაიამიში უკვე მეორე წრეში გასვლას ზეიმობენ და მოსისხლე „ნიუ იორკთან“ საბრძოლველად ემზადებიან.

**ირაკლი ფირაშვილი**


ბასკეტ

## იტალია

პლეი ოფის მეოთხედფინალი (სამ მოგებამდე)


| | |
|---|---|
| ფორტიტუდო | 2 |
| სიენა | 0 |
| **სიენა 65:72 ფორტიტუდო** | |
| მიულერი | 2 |
| ადეკო | 0 |
| **ადეკო 72:80 მიულერი** | |
| ბენეტონი | 2 |
| ტრიესტი | 0 |
| **ტრიესტი 73:99 ბენეტონი** | |
| კინდერი | 1 |
| ვიოლა | 1 |
| **ვიოლა 74:62 კინდერი** | |


## ქირავდება

საოფისედ 4 ოთახიანი ბინა. საერთო ფართი 150 კვ.მ. „დინამო“ სტადიონთან ქურდიანის (ყოფილი გლდანის) ქუჩაზე.

ტელ: 34-80-68


# ქორებს ბაზიერი გაუფრინდათ

NBA

ცუდი სეზონი ცუდად დასრულდა „ატლანტა ჰოქსისთვის“. თითქოს თავიანთი ულიმღამო თამაშით გამოწვეული სირცხვილი არ ეყოფოდათ ატლანტელ „ქორებს“, ორი დღის წინ მთავარი „ბაზიერი“ გაექცათ. სახელოვანმა ლენი ვილკენსმა „ჰოქსთან“ შვიდწლიანი მუშაობის შემდეგ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადადგომა გადაწყვიტა და აღარც დაუყოვნებია. ვილკენსის წასვლის მიზეზი ნათელია: ვინც არ დაიზარა, ყველამ დაჩაგრა არცთუ შორეულ წარსულში ეს საკმაოდ კარგი გუნდი. საბოლოოდ, სეზონის მიწურულს „ქორებს“ 82 თამაშიდან მხოლოდ 28 მოგება დაუგროვდათ და მთელ აღმოსავლეთ კონფერენციაში მხოლოდ „ჩიკაგოს“ აჯობეს. ეს შედეგი ამ კლუბისთვის ანტირეკორდია. იგივეა ვილკენსის ხანგრძლივი სამწვრთნელო კარიერისთვისაც. ვილკენსის ხელში „ატლანტა“ არასდროს ითვლებოდა გრანდად, თუმც პირველ ექვს წელიწადში ჯორჯიელებს არ ჰქონიათ პლეი ოფში გასვლის პრობლემა. წლეულს „ატლანტა“ ისე ჩაეშვა, საეჭვოა, მის ლიგის ელიტაში დაბრუნებას ერთი-ორი სეზონი ეყოს. გუნდს აშკარად ავნო სეზონის დასაწყისში განხორციელებულმა ცვლილებებმა. მუკი ბლეილოკის და სტივ სმიტის შემცვლელებმა ბიმბო კოულზმა და აიზია რაიდერმა ვერ გაამართლეს. უკვე კარგად შებერებული ლენი ვილკენსი ამაოდ ცდილობდა გუნდის შველას, არაფერი გამოუვიდა და მისი მდგომარეობის შესაფერისი გადაწყვეტილება მიიღო, ადგა და წავიდა.

ლენი ვილკენსისთვის „ატლანტა“ მეოთხე გუნდი იყო. მანამდე, 27 წლის განმავლობაში, იგი „სიეტლს“, „პორტლენდს“ და „კლივლენდს“ თავკაცობდა. ვერ ვიტყვით, რომ მისი გაწვრთნილი გუნდები ჯილდოებს ვეღარ ითვლიდნენო, მაგრამ სტაბილურობა ყოველთვის ახასიათებდათ. ვილკენსის 27-წლიან სამწვრთნელო კარიერაში ყველაზე დიდი წარმატებებია „სიეტლის“ გაჩემპიონება 1979 წელს და 1993-94 წლების სეზონის საუკეთესო მწვრთნელობა. ყველაზე მეტად კი ვილკენსი თავისი უამრავი გამარჯვებებით არის ცნობილი. მას, როგორც მწვრთნელს, 1179 თამაში მოუგია და ამ მხრივ იგი პირველია ნბა-ს ნახევარსაუკუნოვან ისტორიაში. 1998 წელს ვილკენსი „დიდების დარბაზში“ აირჩიეს, უკვე მეორედ, როგორც მწვრთნელი. პირველად მას ეს პატივი წილად ხვდა, როგორც 60-იანი წლების ლეგენდარულ კალათბურთელს. ვილკენსი ასევე შეიყვანეს ნბა-ს ყველა დროის ათ საუკეთესო მწვრთნელსა და ორმოცდაათ საუკეთესო მოთამაშეს შორის.

**ივანე ძობიაშვილი**

# ვითას შვიდწლიანი ბატონობა გადავარდა

ბათუმი. 26 აპრილი

**სტუ 67:63 აზოტი**

I ტაიმი 32:32
სტუ: თორთლაძე (10), ლოსაბერიძე (8), ჩუბინიძე (8), ორმოცაძე (9), ოთიურიძე (6); ტულუში (9), კორძაძე (11), მინაშვილი (5), მიქაძე (1)
აზოტი: ა. ქლენტი (4), გაბისონია (5), გოგობერიშვილი (32), ბაბიაშვილი (12), მ. ბერუაშვილი (6); ლ. ჩაჩუა (3), წიკლაური (1)
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

ბათუმი. 26 აპრილი

**სდასუ 75:68 მაკაბი**

I ტაიმი 35:30
სდასუ: ნ. ნოზაძე (5), ხოშტარია (16), გ. ჩხეიძე (8), გ. ნაცვლიშვილი (28), მაჭარაძე (11); არჩვაძე, უძილაური (7), ლ. აბულაძე
მაკაბი: დ. ბერიშვილი (11), ი. ბერიშვილი (12), ტალაბაძე (11), გ. ნოზაძე (4), შენგელია (26); მჭედლიშვილი (2), კრიხელი (2)
მსაჯები: ზურაბ აბაშიძე, მაკა კუპატაძე
კომისარი: მურმან ქურიძე

ბათუმი. 26 აპრილი

**ბასკო 89:67 ვითა**

I ტაიმი 40:32
ბასკო: აბრამიძე (16), ბელიაევი (4), ბუჟანიშვილი (20), ქარაბაკი (15), ვ. კილაძე (9); მაისურაძე, არხიპოვი (5), ჭეიშვილი, დავითულიანი (20)
ვითა: ტურაშვილი (1), გ. გაგნიძე (17), კოკოლიშვილი (13), ქავხიშვილი (3), ახალკაცი (20); ტ. გ[illegible]კიძე (5), ჭირაქაძე (8), პაპასკირი
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე
კომისარი: როლანდ ხომერიკი

**გიორგი ბიკაშვილი** ბათუმიდან

საქართველოს შვიდგზის ჩემპიონი „ვითა“ ჩვეულად, ზედიზედ მერვედ ნამდვილად ველარ გაიხარებს. გუშინ სდასუ-მ „მაკაბის“ რომ მოუგო, ამით „ვითას“ ყველანაირი იმედი გადაუწურა და ჩემპიონობას ვინ ჩივის, სულაც პლეი ოფის მიღმა დატოვა შვიდი წლის მანძილზე საუკეთესო ქართული კლუბი. ერთი რამ ნაღდია: წლეულს საქართველოს ახალი ჩემპიონი ეყოლება.

მორჩა, დამთავრდა, საბოლოოდ გაირკვა ოთხეული, „ბასკოს“, „აზოტსა“ და სტუ-ს გუშინ სდასუ-ც შეუერთდა. მეცხრე ეროვნულის ჩემპიონობას სწორედ ამათგან ერთ-ერთი იზეიმებს.

ცნობილია პლეი ოფის წყვილებიც. გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი „ბასკო“ მეოთხეადგილოსან სდასუ-ს დაეჭიდება სამ მოგებამდე. „აზოტი“ კი სტუ-ს დაუპირისპირდება.

მაშ, რაღა დარჩა გასარკვევი? საკითხავი ისღაა, მეორე ადგილს ვინ ირგუნებს: „აზოტი“ თუ სტუ. მეორეზე ყოფნა ხომ ნახევარფინალში მოედნის უპირატესობას იძლევა.

ამ თვალსაზრისით გუშინდელი „აზოტი“-სტუ ძალიან მნიშვნელოვანი იყო. თამაში საკმაოდ დაძაბული, თუმც არცთუ სანახაობრივი გამოდგა. თავიდან თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა. ორიოდ წუთის შემდეგ ანგარიშიც შესაბამისი იყო — 5:5, მერე და მერე კი „აზოტის“ უპირატესობა გამოიკვეთა. ოთარ ხმელიძის გუნდი მეტოქეზე ოდნავ უფრო ორგანიზებულად ათამაშდა, დაცვაში მარწუხები მოუჭირა სტუდენტებს და შეტევაში რამაზ გოგობერიშვილს დაეყრდნო. რუსთაველთა ლიდერი ძირითადად გარედან თამაშობდა. მოწინააღმდეგის შეცდომებს ჩაუსაფრდა და შესაძლებლობისთანავე შორი მანძილიდან ბომბავდა სტუ-ს კალათს. მოკლე მონაკვეთში რამაზმა ორი სამიანი ჩააგდო და უფრო თვალსაჩინო გახადა ვიცე-ჩემპიონის უპირატესობა. თავის მხრივ სტუდენტთა მწვრთნელი, ნუგზარ ჭეიშვილიც შეუდგა გამოსავლის ძიებას და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გუნდის დაცვითი თამაშისთვის სხვა რიტმი და მიმართულება მიეცა. შეგირდებს ხან კაცი კაცზე ათამაშებდა, ხან ზონურად და ამით ნელ-ნელა სტუ-მ მდგომარეობა გამოასწორა.

დაწინაურებას მაინც არ ანებებდა „აზოტი“ მეტოქეს. კარგად ჩაერთო თამაშში ლევან ჩაჩუა და გოგობერიშვილის კვალად მანაც შორიდან დალაშქრა სტუ-ს კალათი. ჭეიშვილმა ხშირ ცვლილებებს მიმართა და, ერთი შეხედვით, ამან არეულობა შეიტანა სტუ-ს რიგებში, რითაც კარგად ისარგებლა ვიცე-ჩემპიონმა და ტაიმის ბოლოსკენ რვა ქულით — 32:24 მოსწყდა მეტოქეს. ხმელიძის გუნდმა ეს უპირატესობა ბოლომდე ვერ შეიფერა და ძალიან მალევე გაფლანგა. პირველი ნახევრის უკანასკნელი წუთები „აზოტმა“ სულაც უქულოდ გაატარა და ეს მონაკვეთი 0:8 წააგო. დავით თორთლაძემ და კომპანიამ მეტოქე მიახვედრეს ასე იოლად არაფერს დათმობდნენ.

შესვენების შემდეგ ყველაფერი თავიდან დაიწყო, თუმც სცენარი მნიშვნელოვნად შეიცვალა. სტუ-მ მდევრის როლში ყოფნა იუკადრისა და ერთიორად მონდომებული ათამაშდა. შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით გაგრძელდა, ხან „აზოტი“ წინ, ხანაც სტუ. სოლიდურად დაწინაურებას ვერცერთი ახერხებდა. ადვილი მისახვედრი იყო, რომ გამარჯვებულის ვინაობას ბოლო წუთები გაარკვევდა.

ასეც მოხდა, დამთავრებამდე ორიოდ წუთით ადრე სტუ-მ ოთხი ქულით რომ მოიტოვა მეტოქე, „აზოტი“ მარცხის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. რამაზ გოგობერიშვილმა მალევე გაქვითა ორი ქულა, მაგრამ სტუ-ს საპასუხო შეტევისას მიხეილ ბერუაშვილი დაჯარიმდა დავით თორთლაძეზე, რომელმაც ორივე საჯარიმო გამოიყენა და შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა. დარჩენილ წამებში „აზოტმა“ ველარაფერი შეცვალა.

„მაკაბის“ წინააღმდეგ ძალიან მნიშვნელოვან თამაშს სდასუ სერიოზულად მიუდგა. მოსეშვილის გუნდს ოთხეულში ადგილი რომ გაენაღდებინა, უეჭველად უნდა მოეგო. ამიტომაც თავიდანვე აგრესიული დაცვა დაუპირისპირა მოწინააღმდეგეს და უფრო ორგანიზებულადაც შეუტია. ამან საოცარი შედეგი გამოიღო, სდასუ თავიდანვე 19 ქულით — 21:2 გაექცა „მაკაბის“, რაც უმეტესწილად გიგი ნაცვლიშვილის დამსახურება იყო. იგი ყოველგვარი შეფერხების გარეშე იჭრებოდა მეტოქის ფარქვეშ და უკან მუდმივად 2 ქულით ბრუნდებოდა. ნაცვლიშვილის შემჩერებელი კი არავინ ჩანდა „მაკაბიში“.

ასეთი დასაწყისის შემდეგ „მაკაბის“ გამარჯვება ძნელი წარმოსადგენი კი გახდა, მაგრამ ამ გუნდმა შეძლო და პირველი ტაიმის შუაწელშივე გაათანაბრა თამაში, რაშიც ლომის წილი კახა შენგელიამ და დავით ბერიშვილმა დაიდეს.

სდასუ პანიკამ მოიცვა, „ვითას“ კი გულში იმედი ჩაესახა, როცა დამთავრებამდე 10 წუთით ადრე ირაკლი ბერიშვილის სამიანის შემდეგ „მაკაბის“ ქულაღა აშორებდა მეტოქეს, მაგრამ მერე გამოჩნდა, რომ ეს ამ გუნდის მაქსიმუმი იყო. სდასუ-მ მეტი აღარ დაანება მოწინააღმდეგეს, ჩვეულად ათამაშდა და შოთა უძილაურის სამიანის შემდეგ, როცა ანგარიში 70:58 გახდა სტუდენტების სასარგებლოდ, თავად „მაკაბისაც“ დაეკარგა რწმენა.

„ვითას“ საკმაო მიზეზი ჰქონდა, ნირწამხდარი გასულიყო „ბასკოს“ წინააღმდეგ სათამაშოდ. ჩემპიონისთვის პრაქტიკულად ყველაფერი დამთავრებული იყო, თუმც მონდომა და ფიცხელი ბრძოლაც გაუჩაღა გათამაშების ლიდერს, რომელიც თავის მხრივ სულაც არ აპირებდა შინ თავის შერცხვენას. 13:13-ზე ბათუმელთა მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ წუთშესვენება ითხოვა, ტაქტიკური კორექტივების შეტანა გადაწყვიტა, ბიჭებს სათანადო რჩევა-დარიგება მისცა და სულ სხვა რიხით ათამაშდა „ბასკო“. რაც მთავარია, ზღვისპირელებმა ფარი დაიპყრეს, შეტევაშიც მეტოქეზე ლაღად მოქმედებდნენ და მათ სასარგებლოდ სხვაობა მალე ათქულიანი გახდა — 32:22. ქარაბაკის, მოგვიანებით კი დავითულიანის წყალობით „ბასკო“ კარგა ხანს ინარჩუნებდა ამ უპირატესობას და ტაიმსაც 10 ქულით მოიგებდა ბოლო, წამზე ქავხიშვილს რომ არ ჩაეგდო.

„ვითას“ კი დასაკარგი არაფერი ჰქონდა, მოთამაშეებს ფსიქოლოგიური წნეხი არ ზღუდავდა და ალბათ ამიტომაც იყო, რომ თითქმის ყველაფერი გამოსდიოდათ.

ესეცაა, რომ „ბასკომ“ ცოტა ნაადრევად ირწმუნა გამარჯვება და მოეშვა. კოკოლიშვილმა და გაგნიძემ ზედიზედ რომ ჩააგდეს სამიანები, აღმოჩნდა, რომ „ვითასაც“ ჰქონდა მოგების შანსი. ჩემპიონი მხოლოდ 2 ქულითღა ჩამორჩებოდა ბათუმელთა გუნდს — 52:54.

აი, მერე კი გამოფხიზლდა „ბასკო“. რეგულარული ჩემპიონატის ჩამაშხამებელმა, ემანდ, ბათუმშიც არ მაჭამოს სირცხვილიო და, გუნდი რადიკალურად გარდაიქმნა. წინ რაღა დაუდგებოდა, ხუთიოდ წუთშივე მოუთავა ხელი მეტოქეს...


1999 წლის 28 ივნისი. თბილისის „ვითა“ მეშვიდედ გახდა საქართველოს ჩემპიონი. წლეულს ვითელები ჩემპიონობით ველარ გაიხარებენ...

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 31 | 29 | 2 | 2834:2265 | 60 |
| სტუ | 31 | 23 | 8 | 2697:2327 | 54 |
| აზოტი | 31 | 23 | 8 | 2701:2331 | 54 |
| სდასუ | 31 | 19 | 12 | 2489:2326 | 50 |
| ვითა | 31 | 17 | 14 | 2492:2470 | 48 |
| მაკაბი | 31 | 14 | 17 | 2500:2351 | 45 |

## საუკეთესო მოთამაშე

### რამაზ გოგობერიშვილი -აზოტი-



*რამაზ გოგობერიშვილის თავგამოდებამ ამჯერად, მართალია, ვერ უშველა „აზოტს“ და ძალიან პრინციპულ შეხვედრაში სტუ-სთან დამარცხდა ვიცე-ჩემპიონი, მაგრამ ამ თამაშშიც და დანარჩენ მატჩებშიც გოგობერიშვილი აშკარად ყველას სჯობდა. მისი ზუსტი სამიანები და სწრაფი გარღვევები მოსვენებას უკარგავდა მეტოქეს, სულ კი რამაზმა 32 ქულა დააგროვა, რაც „აზოტის“ საბოლოო მონაგარის ნახევარზე მეტია.*

**— ექვსეულში ორჯერვე წააგეთ სტუ-სთან...**

— სტუ ძლიერი გუნდია, „აზოტის“ არ იყოს, მასაც ჩემპიონობის პრეტენზია აქვს და საფუძვლიანად. ვერ ვიტყვი, რომ ეს სტუ-ს საუკეთესო თამაში იყო, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენს წინააღმდეგ მეტისმეტად მოინდომა.

**— მონდომება არც „აზოტს“ აკლდა...**

— სხვანაირად არც შეიძლებოდა. მართალია პლეი ოფში უკვე გასულები ვართ, მაგრამ მოედნის უპირატესობა გვსურს რომ მოვიპოვოთ, ამ წაგებით კი ერთიორად გავირთულეთ ამოცანა.

**— და მაინც. რით ახსნით ამ მარცხს?**

— ბევრი მიზეზი აქვს. უმთავრესად იმით, რომ შეტევაში მთლად კარგად ვერ ავაწყვეთ თამაში, მეტოქე ძალიან გვავიწროვებდა. ამას უიღბლობაც დაერთო, ხელსაყრელი პოზიციიდან ბევრჯერ ავაცილეთ. პირადად მეც გამიცუდა ნასროლი ფარქვეშიდან. გადამწყვეტ მომენტში სამი-ოთხი უხეში შეცდომა დავუშვით, რითაც კარგად ისარგებლა სტუ-მ.

**— თქვენ იქნებ ვერც შეამჩნიეთ, მაგრამ გარედან კარგად ჩანს, რომ ზედმეტად ემოციური ხართ მოედანზე...**

— საერთოდ გულგრილად თამაში არ შემიძლია, თუმც გეთანხმებით, რომ დღეს ცოტა მეტიც მომივიდა. არაფერი, უბრალოდ მატჩის მსვლელობისას მითითებებს ვაძლევდი თანაგუნდელებს. ის ველარ გავითვალისწინე, რომ ეს ყველაზე არ მოქმედებს კარგად, შედარებით გამოუცდელ მოთამაშეს პირიქით, აბნევს კიდეც ჭკუის დარიგება.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ დაიღალა „აზოტი“?**

— ამ თამაშით თუ ვიმსჯელებთ მეტოქემ გამძლეობითაც გვაჯობა. სტუ-ს დიდი პლუსია ის, რომ სათადარიგო სკამზე უკლებლივ ყველა სრულფასოვანი მოთამაშე ჰყავს, „აზოტს“ კი ასეთი ფუფუნება ნამდვილად არ აქვს.

**— მეტოქეებში ვის გამოარჩევთ?**

— ალბათ, ყველას. თუ მაინცდამაინც გამორჩევაა, ვფიქრობ, ამას გოდერძი კორძაძე იმსახურებს.

**— წლეულს „აზოტმა“ პირველად ჩაინაცვლა მესამე ადგილზე, თუმც დაკარგული პოზიციის დაბრუნების შანსი გუნდს კიდევ შერჩა...**

— ბოლო თამაში სდასუ-სთან აუცილებლად უნდა მოვიგოთ. „ბასკომ“ კი სტუ-ს სძლიოს. ჩემი აზრით საკმაოდ რეალური შანსი გვაქვს, რომ ისევ მეორეობა დავიბრუნოთ. მოედნის უპირატესობა საერთოდ ბევრს წყვეტს და იოლად არ შეველევით.

### იტალია 2:0 პორტუგალია

1:0 ინძაგი (75), 2:0 ტოტი (88)

იტალია: ტოლდო, იულიანო, კანავარო, ნესტა, პესოტო (ვანოლი 89), ალბერტინი (დი ბიაჯო 46, ამბროზინი 89), ფიორე, კონტე (დი ფრანჩესკო 77), ძამბროტა, ფ. ინძაგი, დელვეკიო (ტოტი 46)

პორტუგალია: კიმი, შავიერი, ჟორჟე კოშტა, ფერნანდო კოუტუ, დიმაში, პაულო ბენტუ (ნუნუ გომეში 89), პაულო სოუზა, რუი კოშტა (ჟოაო პინტუ 70), ფიგუ, სერჟიო კონსეისაო, პაულეტა (სა პინტუ 59)

მსაჯი: ზამიტი (მალტა)

29 000 მაყურებელი

### რუმინეთი 2:0 კვიპროსი

1:0 მუტუ (58), 2:0 განეა (80პ)

რუმინეთი: სტელია (ლობონტი 76), კონტრა, ჩებოტარიუ, ნანუ (ჩივუ 46), ლინკარი (ჰილდანი 55), პოპესკუ, კარაბასი (ფილიპესკუ 68), დ. მუნტეანუ (როსუ 46), მოლდოვანი (განეა 61), ჰაჯი, მუტუ

კვიპროსი: პანაიოტუ, თეოდორუ, მ. ჰარალამპუსი (პოგიაცისი 74), იოანუ (კარასი 60), ზ. ჰარალამპუსი, მელანარკიტისი, ენგომიტისი (იასემაკისი 65), კონაფისი, ოკასი (ელეფტერიუ 78), არისტოკლეუსი (საციასი 82), კონსტანტინუ (აგათოკლეუსი 60)

მსაჯი: მარჩელ ლიკა (რუმინეთი)

20 000 მაყურებელი

### ჩრდ. ირლანდია 0:1 უნგრეთი

0:1 ჰორვატი (61)

ჩრდ. ირლანდია: მ. ტეილორი, გრიფინი (მერდოკი 71), ნოლანი, ა. ჰიუზი, ტაგარტი (უილიამსი 57), სონერი (რობინსონი 84), გილესპი (მალრინი 73), ლენონი, კირკი (კოტი 57), ჰელი, მაიკლ ჰიუზი

უნგრეთი: კირალი, ჰრუტკა, ფეჰერი, მატიუში, შებოკი, ლენდვაი, პეტო (კორსოში 56), დარდაი (ჰალმაი 46), ფ. ჰორვატი, ილეში, პრეისინგერი

მსაჯი: რიჩარდსი (უელსი)

12 000 მაყურებელი

### რუსეთი 2:0 აშშ

1:0 ტიტოვი (63), 2:0 კარპინი (90)

რუსეთი: ნიგმატულინი, ხლესტოვი, ხოხლოვი (ონოპკო 46), სოლომატინი, დემენკო, სმერტინი, ალენიჩევი (ტიხონოვი 46), კარპინი, ტიტოვი, სემაკი (პანოვი 60), ბესჩასტნიხი

აშშ: კელერი, ჰეიდუკი (ბ. ვესტი 88), ბერჰალტერი, ფრეზერი, რეჟისი, ლუისი (კრეისი 73), კ. რეინა, ჯონსი, არმასი (დეერინგი 46), სანე, მაკბრაიდი

მსაჯი: დარიუს მიეზელიუსი (ლიტვა)

15 000 მაყურებელი

### ბულგარეთი 0:1 უკრაინა

0:1 შევჩენკო (54)

ბულგარეთი: ზდრავკოვი, დონჩევი, მარკოვი, ი. პეტკოვი, ბ. ივანოვი, ს. პეტროვი (პეევი 10), ბორიმიროვი (ალექსანდროვი 60), მ. პეტკოვი (ტოპუზაკოვი 46), ბალაკოვი, დონკოვი (მ. პეტროვი 55), ტოდოროვი (გ. ივანოვი 55)

უკრაინა: შოვკოვსკი, სტაროსტიაკი (ლუჟნი 46), ტიმოშჩუკი (მაქსიმიუკი 61), გოლოვკო, ვაშჩუკი, დმიტრულინი (გუსინი 46), ზუბოვი (მიხაილენკო 46), კოვალევი (ნესმაჩნი 46), მიზინი (კოსტიუკი 46), შევჩენკო (კორმილცევი 72), მოროზი (რებროვი 46)

მსაჯი: საშო ლაზარევსკი (მაკედონია)

1 500 მაყურებელი





საფრანგეთი — სლოვენია 3:2. ორი გოლის გამტანი დავიდ ტრეზეგე სტუმარ ალეშ ჩეჰს უწესოდ მოექცა

### დანია 0:1 შვედეთი

0:1 პეტერსონი (37)

დანია: შმაიხელი, ჰაინცე, ჰოგი, ჰენრიკსენი, ჰელვეგი (კოლდინგი 81), შონბერგი (ს. ანდერსენი 81), სტენ-ნილსენი, ტოფტინგი (ლაურსენი 57), გრონკიაერი, დალ ტომასონი, სანდი (ბეკი 46)

შვედეთი: ჰედმანი (კილშტედტი 46), ნილსონი (მელბერგი 46), პ. ანდერსონი, ბიორკლუნდი (კამარკი 46, ლუკიჩი 57), სუნდგრენი, დ.ანდერსონი (ანდერს ანდერსონი 72), მილდი, მიალბი, ალექსანდერსონი, კ. ანდერსონი (ანდრეას ანდერსონი 83), პეტერსონი (ოლბოკი 46)

მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)

28 491 მაყურებელი

### ჩეხეთი 4:1 ისრაელი

1:0 ნედვედი (14), 2:0 კოლერი (37), 3:0 ნედვედი (57), 3:1 ბერკოვიჩი (81), 4:1 ვაგნერი (90)

ჩეხეთი: სრნიჩეკი, ნოვოტნი, რეპკა, გაბრიელი (ლატალი 53), ფუკალი, პ. ჰორვატი (როსიცკი 72), ნედვედი (ბარანეკი 80), ულიხი (პობორსკი 64), ბეიბლი, კუკა (ლოკვენცი 70), კოლერი (ვაგნერი 64)

ისრაელი: კორნფეინი, ტალქარი (ბახარი 60), გრაიები, შელაჰი (კეისი 11), გერშონი, ბენადო, ბანინი (ნიმნი 53), ბერკოვიჩი, ტალი, რევივო (ტიკვა 75), ბადირი

მსაჯი: ზბიგნევ მარჟიკი (პოლონეთი)

4 972 მაყურებელი

### ავსტრია 1:2 ხორვატია

1:0 ვასტიჩი (17), 1:1 ფლოგელი (28ს.კ.), 1:2 სტანიჩი (66)

ავსტრია: ვოლფარტი, ჰაცი, ნოიკირხნერი (ლიპა 67), ვინკლჰოფერი, შტრანცლი, შოპი (ჩერნი 46), ჰერცოგი, ფლოგელი, ვასტიჩი, ვაისენბერგერი (მაირლები 67), პრილასნიგი (კირხლერი 46)

ხორვატია: პლეტიკოსა (პავლოვიჩი 46), სარიჩი, რ. კოვაჩი, სოლდო (ტუდორი 86), შტიმაცი, ტომასი, ასანოვიჩი (ბისკანი 84), სტანიჩი (სიმიჩი 84), რაპაიჩი (ჟივკოვიჩი 75), ნ. კოვაჩი, ბოკშიჩი

მსაჯი: მიხაელ ფრიოლიხი (გერმანია)

14 500 მაყურებელი

### ჰოლანდია 0:0 შოტლანდია

ჰოლანდია: ვან დერ სარი, ოიერი, კონტერმანი, ფ. დე ბური, ნუმანი, ბოსველტი, მაკაი (ტალანი 60), დავიდსი, ჰასელბაინკი (ვან ჰოიდონკი 67), ბერხკამპი (კლუივერტი 46), ოვერმარსი (ზენდენი 46)

შოტლანდია: სალივანი, დეილი (ონილი 85), რიჩი, ვეირი, ელიოტი, ლამბერტი, დოდსი, ბარლი (დარანტი 46), მაკნამარა (ბერჩილი 67), ჰათჩისონი, მაკკანი

მსაჯი: ჰარტმუტ შტრამპე (გერმანია)

30 000 მაყურებელი

### გერმანია 1:1 შვეიცარია

0:1 ჰ. იაკინი (33), 1:1 კირსტენი (84)

გერმანია: ლემანი, ბაბელი (ვიორნსი 34), მათეუსი, ლინკე, ბალაკი, ციგე (ბოდე 20), რემერი (ნოივილი 67), ვოში (კირსტენი 46), შოლი (ჰამანი 23), ბირჰოფი, პრეეცი (პაულო რინკი 46)

შვეიცარია: ცუბერბიულერი, მაცარელი, მიულერი, ჰაასი, ჰ. იაკინი (რეი 68), კანტალუპი (ჟენერე 86), სფორცა, ვოგელი, მ. იაკინი, სესა, ბუელმანი (გერბერი 80)

მსაჯი: მორგან ნორმანი (შვედეთი)

32 000 მაყურებელი

### პოლონეთი 0:0 ფინეთი

პოლონეთი: მატიშეკი, კლოსი, კუკიელკა, მიხალ ჟევლიაკოვი, ვალდოხი, მიხალსკი (კრჟინოვეკი 46), სვიერჩევსკი, მარტინ ჟევლიაკოვი (გილევიჩი 46), კარვანი (კაჟოროვსკი 79), კრიჟალოვიჩი (ჟურავსკი 71)

ფინეთი: ნიემი, ილონენი, ლეჰკოსუო, პენტილა, ტიჰინენი, გრონლუნდი (რიიჰილაჰტი 46), ნურმელა (ჰელინი 46), ვისი, ფორსელი (ჰაატელაინენი 58), ლიტმანენი (კოტილა 90), კოლკა (ტუომელა 88)

მსაჯი: ატილა იუჰოსი (უნგრეთი)

15 000 მაყურებელი

### ნორვეგია 0:2 ბელგია

0:1, 0:2 ვერჰეინი (55, 90)

ნორვეგია: მირე, ბერგდოლმო, ჰოფტუნი, ბერგი, ტ. ანდერსენი, ივერსენი, მიუკლანდი, კარეუ (სოლბაკენი 75), სოლსკიაერი (ტ. ფლო 46), რეკდალი (რისეტი 81), რიისე (სორენსენი 60)

ბელგია: გასპერჩიჩი (დე ვლიგერი 31), ჟენო (დეფლანდრე 46), ვალგაერენი, სტალენსი, ლეონარი (ჰენდრიქსი 46), კლემენტი (ვანდერჰეიგი 46), ვალემი, გოორი, ბრონო (დე ბილდე 63), ნილისი, ვერჰეინი

მსაჯი: მაიკლ მაკკარი (შოტლანდია)

11 927 მაყურებელი

### ლიხტენშტაინი 0:1 ფარერები

0:1 არგე (71)

ლიხტენშტაინი: ჟელე, ოსპელტი, მარტინ შტოკლასა, ჰეფტი, ცეხი, ჰასლერი, ბეკი, ფრიკი, მიხაელ შტოკლასა, ტელსერი, გიგონი

ფარერები: კნუდსენი, დამი, ი. ჰანსენი, ბენიამინსენი, ო. ჰანსენი (იარნსკორი 77), ნ. იონსენი (იაკობსენი 77), კ. მორკორე (ბორგი 54), ი. იონსონი, ა. მორკორე (არგე 54), ტ. იონსონი, პეტერსენი (ი. იონსენი 90)

1 000 მაყურებელი

### საფრანგეთი 3:2 სლოვენია

0:1 ნოვაკი (3), 0:2 უდოვიჩი (9), 1:2 ტრეზეგე (62), 2:2 ბლანი (78), 3:2 ტრეზეგე (90)

საფრანგეთი: ბარტეზი, ტურამი, ბლანი, ლებეფი, ლიზარაზუ, პირესი (პეტი 61), ვიეირა, დეშამპი (ვერელი 61), ზიდანი, ანრი (ტრეზეგე 46), დიუგარი (მიკუ 46)

სლოვენია: დაბანოვიჩი, კნავსი, მილანიჩი, მილინოვიჩი, ნოვაკი (გაიზერი 88), კარიჩი (გალიჩი 64), ჩეჰი, რუდონია, ზაჰოვიჩი, უდოვიჩი (ოსტერცი 57), პავლინი (პავლოვიჩი 63)

50 000 მაყურებელი

### ირლანდია 0:1 საბერძნეთი

0:1 ლაკისი (15)

ირლანდია: გივენი (ა. კელი 46), კანინგემი, სტონტონი, დანი, ბრინი, ბ. ქუინი (დელაპი 34), ფინანი (დოჰერთი 70), კინსელა, კონოლი (მაჰონი 54), რობი კინი, კილბეინი

საბერძნეთი: ნიკოპოლიდისი, ბასინასი (გუმასი 75), ვენეტიდისი, დაბიზასი, უზუნიდისი, პურსანიდისი, გეორგიადისი (ნინიადისი 88), ამანატიდისი, ლიბეროპულოსი (ნალიცისი 90), ცარტასი (კიპარისისი 58), ლაკისი (ზიკოსი 63)

მსაჯი: ჰიუ დალასი (შოტლანდია)

23 157 მაყურებელი

### ანდორა 2:0 ბელარუსი

1:0 ლუჩენდო (56პ), 2:0 ჟული სანჩესი (62)

ანდორა: ალვარესი, რამირესი, ალონსო, ტ. ლიმა, ი. ლიმა, გარსია, გონსალესი, ჟული სანჩესი, ესკურა, რუისი, ლუჩენდო

ბელარუსი: ტუმილოვიჩი, იახიმოვიჩი, შტანიუკი, გურენკო, ოსტროვსკი, იასკოვიჩი, ჩაიკა, ტარლოვსკი, სტრიპეიკისი, ვ. მაკოვსკი, რომაშჩენკო

მსაჯი: არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი)

500 მაყურებელი

### ლუქსემბურგი 1:1 ესტონეთი

0:1 ოპერი (83), 1:1 ვანეკი (90)

ლუქსემბურგი: ბესიჩი, რაიტერი, საიბენი, შააკი, ვანეკი, ჰოლცი, კარდონი, შტრასერი, პეტერსი (პოზინგი 56), შნაიდერი (კრისტოფი 46), ჰუსი (ბრაუნი 77)

ესტონეთი: პოომი, ლემსალუ, პიიროია, კირსი, ჰაავისტუ, ანისტე (ალონენი 72), ტერეხოვი (იურისონი 68), სახაროვი (ოპერი 46), კრისტალი (ალასი 68), რეიმი, ზელინსკი

მსაჯი: მარტინ ლუინგე (ჰოლანდია)

1 200 მაყურებელი

### იუგოსლავია 7:1 იუგოსლავია XI

0:1 დივიჩი (5), 1:1, 2:1 დ. სტანკოვიჩი (15, 40), 3:1 კოვაჩევიჩი (44), 4:1 კომლიენოვიჩი (50), 5:1 კეჟმანი (76), 6:1 კომლიენოვიჩი (85), 7:1 კეჟმანი (90)

### სან მარინო 0:1 მოლდოვა

0:1 კლეშჩენკო (49)

### კორეა 1:0 იაპონია

1:0 სუკ იო (78)

## ახალგაზრდული ნაკრებები

### პოლონეთი 2:0 ფინეთი

1:0 გრჟელანდი (20), 2:0 ნაიევსკი (87)

### პორტუგალია 2:2 რუმინეთი

1:0 ვერისიმუ (5), 1:1 კ. მუნტეანუ (39), 1:2 მარა (68), 2:2 რიკარდუ რამირესი (80)

### ბულგარეთი 1:2 უკრაინა

0:1 პალინიჩენკო (12), 1:1 რუსევი (30პ), 1:2 შევჩუკი (61)

### დანია 1:2 შვედეთი

1:0 ლაურსენი (19), 1:1 ელმანდერი (56), 1:2 ფარნერუდი (76)

### გერმანია 3:0 შვეიცარია

1:0 ტიმი (5), 2:0 კუმერლე (77), 3:0 ფრაერი (89)

### ნორვეგია 2:0 ბელგია

1:0 ჯორჯი (1), 2:0 ჰოსეტი (13)

### ჰოლანდია 2:0 შოტლანდია

1:0 ვან სტინველდტი (43პ), 2:0 კრომკამპი (57)

### ირლანდია 1:2 საბერძნეთი

0:1 ხარისტიასი (56), 0:2 ლუბუტესი (76), 1:2 ბაკერი (90)

### სან მარინო 0:3 მოლდოვა

## ინგლისი

III დივიზიონი

გადადებული მატჩი

**ბრაიტონი 0:0 პიტერბრო**

## ესპანეთი

თასის ნახევარფინალი

საპასუხო მატჩი

***ესპანიოლი* 1:0 რეალი (0:0)**

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი

## სამხრეთ ამერიკა

### ბოლივია 1:1 კოლუმბია

1:0 ერვინ სანჩესი (17), 1:1 კასტილიო (32)

ბოლივია: ფერნანდესი, რიბეირო, პენა, სანდი (რიმბა 33), ი. კასტილიო, კრისტალდო, სორია, გუტიერესი (გალინდო 63), ერვინ სანჩესი, უგო ანტელო (სუარესი 46), მორენო

კოლუმბია: ო. კორდობა, ი. კორდობა, ბერმუდესი, იეპესი, ვივეროსი, მარტინესი (კარდონა 79), დინასი, ოვიედო (ორტეგონი 82), რინკონი, რიკარდი (ანხელი 74), ჟ. კასტილიო

მსაჯი: გუსტავო მენდესი (ურუგვაი)

ამ შეხვედრამ პერუელი თანამსაჯი იური პინედა კინალამ შეიწირა: ტრიბუნიდან ნასროლი ბოთლი თავში მოხვდა და დაზაფრულ-დარეტიანებული მინდორზე გაიშხლართა.





სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli